პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
8 აპრილი **სამშაბათი** 2014
№066 (14 287) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

**80** აპრილში ლელო იუბილარია

# ფედერაციას უნდა, მინისტრს არა

## კამათი სამთავრობო სხდომაზე

ინტერვიუ რევაზ არველაძესთან ↳2



# ტონგა ვანადგურეთ

## 20-წლამდელებმა მსოფლიოს ალაფა დიდებულად დაიწყეს




ხაიმე ოლეარსის ფოტო

↳13

↳12



# ბარსას ძლევა = სიმბოლური ნაკრები...

სანიკიძე ტურის რჩეულებში მოხვდა



# იქნება დღეს რონალდო?

რეალის ვარსკვლავმა გუშინ ვარჯიში ვერ დაამთავრა

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

↳9

ქართული ფეხბურთი

პროექტი

# გეოგრაფიის გაკვეთილები

## ფეხბურთის ფედერაცია და მთავრობა უმაღლეს ლიგაში გუნდებს სეზონის ბოლოს დათვლის

საქმეს ისეთი პირი უჩანს, მომავალ სეზონში საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა 16 იქნება. არა, ჯერჯერობით ეს ამბავი გადაწყვეტილი არ არის და მუშაობა მიმდინარეობს. საკითხი უკვე უმაღლეს დონეზე განიხილება და როგორც „ლელოსთვის" საფეხბურთო კულუარებში გახდა ცნობილი, უმაღლესში გუნდების გაზრდის წინააღმდეგი არც მთავრობაში არიან.

თუმცა სწორედ მთავრობის ერთი წევრი, სპორტის მინისტრი **ლევან ყიფიანი** გუნდების გაზრდის წინააღმდეგი რომ არის, ეს არც კანცელარიაში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემსწავლელი კომისიის მორიგ შეხვედრაზე დაუმალავს. კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის, ვიცე-პრემიერის კახა კალაძისა და რამდენიმე მინისტრის თვალწინ, სპორტის მინისტრსა და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებს შორის კამათი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა სიტყვა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდაზე ჩამოვარდა და 16 და 18-გუნდიანი ჩემპიონატის მოდელების ავ-კარგიანობაზე ილაპარაკეს. ფეხბურთის ფედერაცია, რომელსაც კომისიის სხდომაზე პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა, გენმდივანი რევაზ არველაძე და ვიცე-პრეზიდენტები ალექსანდრე ჩივაძე და მურთაზ ხურცილავა წარმოადგენდნენ, არგუმენტებით ცდილობდა დამტკიცებას, რომ უკეთესი იქნება მომავალ სეზონში უმაღლესი ლიგა 16 ან 18 გუნდამდე თუ გაიზრდება, სპორტის მინისტრი კი მათ აზრს არ ეთანხმებოდა. პრემიერ-მინისტრთან შეკრებილებმა სხვა საფეხბურთო საკითხებზეც ისაუბრეს, მაგალითად ევროპის სუპერთასის და ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის მასპინძლობაზეც, მაგრამ სადღეისოდ, ქართულ ფეხბურთში ყველაზე აქტუალური სწორედ ქვეყნის ჩემპიონატის ფორმატის შეცვლაა და სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ, მით უმეტეს, სამთავრობო სხდომის შემდეგ, ფეხბურთის ფედერაციის გენმდივან რევაზ არველაძეს ვესტუმრეთ...

- თავდაპირველად მსურს აღვნიშნო, რომ ჩვენი კომისიის შეხვედრა ოპერატიულად ხდება ხოლმე და ჩამოყალიბების დღიდან, ქვეყნის პრემიერ-მინისტრის, ვიცე-პრემიერისა და მინისტრების თანდასწრებით უკვე მეორედ შევიკრიბეთ. პრემიერ-მინისტრმა გულისყურით მოგვისმინა და შესაძლებლობის ფარგლებში ყველა საკითხში დახმარებას დაგვპირდა. იქვე გადაწყდა და შეიქმნა საგანგებო ქვე-კომისიაც, რომელიც უფრო ხშირად შეიკრიბება და ყველა მიმდინარე საკითხის კურსში იქნება.

**- ვიცით, რომ ფეხბურთის ფედერაცია უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდის წინააღმდეგი არ არის. კომისიის სხდომაზე ამასთან დაკავშირებით რა ითქვა?**

- შეხვედრისას ჩვენ არგუმენტებით ვეცადეთ აგვეხსნა - თუ რატომ იქნება ქართული ფეხბურთისთვის მომგებიანი 16-გუნდიან ჩემპიონატზე გადასვლა. საამისოდ ბევრი საფუძველი არსებობს, თუმცა ამ ფორმატს თან, ალბათ, მინუსებიც ახლავს. ამიტომაც ვამბობთ და შევიმუშავეთ როგორც 16, ასევე 18-გუნდიანი ჩემპიონატის მოდელი და საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანეთ. ფეხბურთის ფედერაცია მზად არის ყველა დაინტერესებულს მოუსმინოს და სათანადო დასკვნები გააკეთოს.

**- ზოგადად, საიდან წამოვიდა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდის იდეა და რატომ ფიქრობთ, რომ 16 თუ 18 გუნდამდე ლიგის გაზრდა ქართული ფეხბურთისთვის მომგებიანი იქნება?**

- უპირველეს ყოვლისა, გაიზრდება საფეხბურთო გეოგრაფია და ქვეყნის უმაღლეს ლიგაში გამოსვლის საშუალება გაცილებით მეტ ფეხბურთელს, მწვრთნელსა თუ პერსონალს ექნება. უმაღლესი ლიგის ყველა კლუბში ასაკობრივი გუნდები შეიქმნება და უმაღლესი ლიგის კლუბებში 100-150 ჭაბუკი ფეხბურთელით მეტი ითამაშებს. ფაქტობრივად, ფეხბურთი მთელს ქვეყანას მოედება. უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა თუ გაიზრდება, რაღაც დოზით ეს ხელოვნურად მოხდება და მთლად ბოლომდე არ იქნება სპორტული პრინციპი დაცული, მაგრამ რაც მთავარია, დაჩაგვრით არავინ დაიჩაგრება.

**- თუ გადაწყვიტეთ, როდიდან გაიზრდება უმაღლესში გუნდების რაოდენობა?**

- მომავალი სეზონიდან. იქამდე კი შესაბამისი რეგლამენტი შემუშავდება.

**- უმაღლესში თუ 16 გუნდი ითამაშებს, პირველ ლიგაში რამდენი გუნდი დარჩება?**

- ვფიქრობთ 18 გუნდი საკმარისი იქნება და მათთვის დუბლშემადგენლობებიც აუცილებელი იქნება. როგორ იქნება პირველიდან უმაღლესში აღზევება თუ პირიქით გავარდნა, ამ ყველაფერს რეგლამენტი დაარეგულირებს.

**- ბუნებრივი კითხვაა: სადღეისოდ 12 გუნდი ვერ პასუხობს უმაღლესის მოთხოვნებს და 16-მდე გაზრდა უშველის საქმეს?**

- ასევე ბუნებრივია, რომ გუნდების რაოდენობის გაზრდას თან გარკვეული რისკებიც ახლავს. ჩვენ კი, თუ საფეხბურთო ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კონკრეტული გარანტიები არ გვექნება, ფორმატის ცვლილებაზე უარს ვიტყვით. ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, სტადიონები იგულისხმება. უკვე შეიძლება თქმა, რომ დღეს არსებულ არენებს მომავალი სეზონიდან ბოლნისისა და მარტვილის სტადიონები შეუერთდება. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ფოთში, ქობულეთში, სამტრედიასა და სხვადასხვა ქალაქში.

**- ისე, ბათუმში და ზუგდიდში სტადიონები საერთოდ არ არის, „ბათუმი" კი უმაღლესში გადასვლის ერთ-ერთი კანდიდატია...**

- მიმაჩნია, რომ ბათუმის და ზუგდიდის გუნდები უმაღლეს ლიგაში საერთოდ რომ არ იყვნენ, ამ ქალაქებში სტადიონები მაინც უნდა იყოს.

**- ცხადია, გუნდების რაოდენობა სახელმწიფო დახმარების გარეშე არ გაიზრდება. უმაღლესი ლიგის 16 გუნდს სახელმწიფო რამდენით დაეხმარება?**

- როგორც პროგრამაში არის მითითებული, ჩვენი ხედვით კარგი იქნება უმაღლესის თითოეული გუნდი 1.3-1.5 მილიონ ლარს თუ მიიღებს, ამ თანხის ათვისებას კი პროფესიული ფეხბურთის ლიგა აღრიცხავს და ფედერაციას კლუბების მაკონტროლებლის ფუნქცია მოეხსნება. ამ თანხის გარდა კი ჩვენივე პროექტით კლუბები, პრემიალურების სახით, თითოეული გამარჯვებისთვის დაახლოებით 20 ათას ლარს მიიღებენ.

**- უმაღლესი ლიგაში გუნდების რაოდენობის შემცირებაზე ფედერაციაში ლაპარაკი არ ყოფილა?**

- არა, შემცირებაზე არ გვიფიქრია.

**- ხომ არ სჯობს, უმაღლესში გუნდების რაოდენობა ათამდე შემცირდეს და იგივე თანხა ამ 10 გუნდზე განაწილდეს? ასეთ შემთხვევაში ცოტა და ფინანსურად უფრო მძლავრი კლუბები ითამაშებენ უმაღლეს ლიგაში, თანაც ხარისხიც ამაღლდება.**

- ასეთ შემთხვევაში, უმაღლეს ლიგაში დასაქმებულთა რაოდენობა და ქვეყანაში ფეხბურთის გეოგრაფია შემცირდება და აქცენტის გაკეთებაც პირველ ლიგაზე მოგვიწევს.

**- როდისთვის გადაწყდება რაოდენობის გაზრდა-არგაზრდის საკითხი?**

- როგორც კი დავრწმუნდებით, რომ 16 ან 18-გუნდიანი ჩემპიონატის მოდელი სასარგებლო იქნება. ჯერჯერობით კი მთავრობასთან ერთად მუშაობა ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

**კობა ინასარიძე**



დანაშაული და სასჯელი

# აჭარულები

## ქობულეთში კარი დაიხურა, ქედაში – სტადიონი

ქობულეთის „შუქურა", გუნდი, რომლისთვისაც საქართველოს თასის ნახევარფინალი საოცნებო იყო, სწორედაც რომ ნახევარფინალშია, მაგრამ... ვაი, ასეთ ნახევარფინალს. ამას წინათ, პირველი ლიგის „შუქურა" - „კოლხეთის" შეხვედრის შემდეგ ქობულეთელმა ქომაგებმა სტუმრების ავტობუსის მინები ჩალეწეს და დიდი არეულობა გამოიწვიეს. იქამდე კი ტრიბუნაზე საქმე „კოლხეთის" ქომაგებსაც გაურჩიეს, რის გამოც თამაში 6 წუთით იყო შეწყვეტილი. აი, სწორედ ამგვარი უსაქციელობის გამო ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომიტეტმა ქობულეთელ ქომაგს „ჩელე არენას" კარი მიუხურა და „შუქურასაც" მომდევნო სამი საშინაო მატჩის ჩატარება ცარიელი ტრიბუნების წინ მოუწევს. ამ სამი შეხვედრიდან ერთ-ერთი კი სწორედ თასის ნახევარფინალის „ჩიხურასთან" თამაშია. ამ სასჯელის გარდა სტკ-მ „შუქურას" და „კოლხეთს" ტრიბუნაზე ჩხუბისთვის 1400-1400 ლარის გადახდა დააკისრა. შეგახსენებთ, ის მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა.

დისციპლინარებმა დასაჯეს მეორე აჭარული გუნდიც - ქედის „ბეთლემი". 28 მარტს „ბეთლემმა" ვანის „სულორს" უმასპინძლა. ადგილობრივები კი მატჩის ბოლოსკენ სტუმართა გოლმა ალაშფოთა, რაც მოედანზე შეჭრით და მსაჯ აბო მონიავას უმოწყალოდ ცემით გამოხატეს. ამ ინციდენტის შემდეგ შეხვედრა აღარც განახლებულა. შედეგი: „ბეთლემი" სპორტულ-ტექნიკურმა კომიტეტმა 10 ათასი ლარით დააჯარიმა და შინ 5 მატჩის ჩატარება აუკრძალა, ზედაც „სულორთან" 0:3 ტექნიკური ნაგება ჩაუთვალა. 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300-ლარიანი ჯარიმა კი სტკ-მ ქედელ ფეხბურთელ რომან ქობულაძესაც გამოუწერა.

გეტყვით, რომ საქართველო ჩემპიონატის სადისციპლინო კოდექსის შესაბამისად პირველი ლიგის დამრღვევები უმაღლესლიგელების ნახევარ სასჯელს იღებენ.

**კობა ინასარიძე**

ლეგიონი

# ხიზანიშვილის მორიგი ტრავმა, ამჯერად მენისკი

ბოლო ტურებია, თურქეთის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ქაისერისპორს" ვერ ეხმარება ქართველი მცველი **ზურაბ ხიზანიშვილი.**

კლუბის ექიმთა ბოლო დასკვნის მიხედვით, ზურა თავის კლუბს კიდევ 1 თვე ვერ დაეხმარება. მოკლედ, გადარჩენისთვის „ქაისერიმ" ხიზანიშვილის გარეშე უნდა იბრძოლოს.

ქართველი მცველის დაბრუნება თითქოს მალე უნდა მომხდარიყო, მაგრამ მორიგი ტრავმა მან „ბეშიქთაშთან" მატჩის წინ ვარჯიშზე მიიღო. როგორც თურქული „სპორქსი" იუწყება, ეს ნამდვილი შოკი იყო „ქაისერის" ხელმძღვანელობისთვის. ქართველს მენისკის პრობლემა დაუდგინდა და მინიმუმ 4-კვირიანი უქმობაც გამოუწერეს.


ზურაბ ხიზანიშვილი

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ტაბიძე სტაჟირებას გააგრძელებს

"ლელოს"მკითხველისთვის ცნობილია, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა და „საბურთალოს" ფეხბურთელი **ჯიმი ტაბიძე** მადრიდის „რეალის" ასაკობრივ გუნდში სტაჟირებაზე იმყოფება. ტაბიძე ოთხშაბათს მადრიდში ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ შეხვედრასაც დაესწრო, სადაც „რეალმა" „დორტმუნდს" უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა.

ქართველ ახალგაზრდას „სამეფო გუნდში" 10 დღე უნდა ევარჯიშა, თუმცა „საბურთალოს" გენერალურმა დირექტორმა **კახა ჭუმბურიძემ** ახალგაზრდა ფეხბურთელთან დაკავშირებით საინტერესო სიახლე გაამხილა.

„მადრიდის „რეალის" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ტაბიძე კიდევ ერთი კვირის განმავლობაში დარჩება, რათა სრულად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები" - ამბობს ჭუმბურიძე.

**მერაბ მამულაშვილი**

# ბეგლარიშვილის გოლი საუკეთესოებში

ტალინის "ფლორას" ქართველი ლეგიონერის, **ზაქარია ბეგლარაშვილის** გოლი ესტონეთის თვის გოლების ნომინანტებში მოხვდა. მან 8 მარტს მეისტრილიგის შეხვედრაში "პაიდესთან" 21-ე წუთზე ანგარიში მეტად ეფექტური დარტყმით გახსნა: მცველებთან ბრძოლაში მეკარისგან დაუცველი მცირე კუთხე შენიშნა და მეტად რთული პოზიციიდან გაიტანა.

"სპორტ.ეე"-ს მიერ ჩატარებულ კონკურსში ბეგლარიშვილის გოლიც შეიტანეს და მან გულშემატკივართა 24 პროცენტის მოწონება დაიმსახურა.

**მერაბ მამულაშვილი**

ამბები. ჩიხურა

# ჯაბა ჯიღაური: დიდი სტიმული მაქვს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის **ჯაბა ჯიღაურის** ტრანსფერი თბილისის "დინამოს" ეკუთვნის. იყო დრო, ჯიღაური თბილისელთა ესპანელი დამრიგებლის, **ალექს გარსიას** ფავორიტი გახლდათ და ძირითადი შემადგენლობის ლამის შეუცვლელ წევრად ითვლებოდა.

მაგრამ **დუშან უჰრინმა** ჯერ მეორე შემადგენლობაში დააქვეითა, შემდეგ კი იჯარით საჩხერეს "ჩიხურაში" გაუშვა. საქართველოს ჩემპიონატის ბოლო ტურში "ჩიხურასა" და "დინამოს" შეხვედრაში თბილისელთა კარში ერთადერთი გოლი სწორედ მან გაიტანა.

*"ჩემთვის სასიხარულოა, რომ ჩვენს უშუალო შეხვედრაში თავი გამოვიჩინე. გუნდიდან წამოსვლის გამო ფეხბურთის მიმართ სტიმული ნაღდად არ შემცირებია. პირიქით, ორმაგად მონდომებული ვარ, რომ მოვუმატო და "დინამოში" დავბრუნდე. ნაკრებშიც და "ჩიხურაშიც" მენდობიან და მათამაშებენ, რაც უმნიშვნელო ამბავი არაა. მეც ვცდილობ, საქმეს პროფესიონალურად მივუდგე. მოკლედ, იმედგაცრუებული სულაც არ ვარ"* – ამბობს ჯიღაური.

"ჩიხურას" ნახევარმცველს გუნდის ბოლოდროინდელი წაგებების მიზეზზეც ვკითხეთ: *"დინამოსთან" კი გავიტანე, მაგრამ გული დამწყდა, "ჩიხურამ" რომ ვერ მოიგო. თუმცა, ზედიზედ ხუთი წაგების შემდეგ, ლიდერთან ფრე მაინც კარგი იყო და დარწმუნებული ვარ, შემდეგ შეხვედრებში სტიმულად გამოგვადგება. ვერაფრით აგვიხსნია, საგაზაფხულო ეტაპზე რა მოგვივიდა. შემადგენლობაც გაძლიერდა, მაგრამ რატომღაც ავირიეთ და დასანანია, რომ მეორე ადგილიდან მეოთხეზე დავქვეითდით. მაგრამ დრო კიდევ არის და დარჩენილ ტურებში მდგომარეობის გამოსწორება შესაძლებელია".*

# კვარაცხელია მალე დაბრუნდება

"ჩიხურა" - "დინამოს" მატჩში მასპინძელთა ცენტრალურ მცველს **გია კვარაცხელიას** არ უთამაშია. გუნდის მთავარი მწვრთნელი, **სოსო ფრუიძე** შიშობდა, რომ გამოცდილ მცველს სერიოზული ტრავმა ჰქონდა და გუნდს დიდხანს ვერ დაეხმარებოდა. ცხადია, ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე, როდესაც გუნდი ევროსაგზურისთვის იბრძვის, სასიამოვნო ამბავი არ იყო.

თუმცა, ფრუიძის შიში უსაფუძვლო გამოდგა. კვარაცხელიას თქმით, ის მოედანს მალე დაუბრუნდება: *"მეტალურგთან" შეხვედრისას მუხლი გამისივდა და ვიფიქრეთ, რომ მენისკის ბრალი იყო. მაგრამ შიში უსაფუძვლო აღმოჩნდა, ექიმმა გამომიკვლია და სერიოზული არაფერია, ვარჯიშს დაახლოებით, 10 დღეში დავიწყებ".*

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს თასი. ნახევარფინალების წინათქმა

# გზა ფინალისა და ევროპისაკენ!..

ამ ბოლო წლებში ჩვენს ჩემპიონატში იმდენი უცნაურობები ხდებოდა (და ახლაც გრძელდება - გ.ტ.), რომ გულშემატკივარის მხრიდან ინტერესიც შენელდა და ქართულმა სპორტულმა მედიამაც არაერთხელ გამოხატა ღია პროტესტი (სხვადასხვა ფორმით); სამაგიეროდ, იმით „ვხარობდით", რომ ჩემპიონატისგან განსხვავებით, სათასო პაექრობებში, როგორც სხვა ქვეყნებში ხდება, ინტრიგა იყო ბევრად მეტი და მოულოდნელ შედეგებსაც ეჭვქვეშ არავინ აყენებდა. თუმცა, სამწუხაროდ, ასევე ამ ბოლო წლებში თასის გათამაშებაშიც არაერთი ნეგატიური ფაქტი დაფიქსირებულა; ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არცთუ ისე დიდი ხნის ამბავს შეგახსენებთ, როცა ჯერ მეოთხედფინალები არ იყო ჩატარებული და ყველამ წინასწარ იცოდა იმ კონკრეტულ სეზონში თასი რომელ გუნდს უნდა აელო! ოღონდ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამ შემთხვევაში მაინც ნუ დავადანაშაულებთ: ბევრად უფრო „ზემოდან" წამოსულ დირექტივას წინ ვინ უნდა დადგომოდა?..

...საბედნიეროდ, უკვე მეორე წელიწადია, ჩვენი ფეხბურთის მესვეურებს არც ძალოვანი სტრუქტურებიდან აქვთ ბრძანება მიღებული (გინდა თუ არა, ამა და ამ გუნდმა თასი უნდა აიღოს!) და არც რაიმე პოლიტიკური ნიშნით არის საჭირო რომელიმე კონკრეტული გუნდისათვის ფინალამდე „მიცილება". თუმცა, ამ ქვეყანაზე ეჭვიან ხალხს რა გამოლევს და აქა-იქ მაინც გაისმის ხმები იმის თაობაზე, რომ ზოგიერთ გუნდს მუდამ მეტისმეტად იღბლიანი წილისყრა თან სდევს-ხოლმე...

ასეა თუ ისე, დღეს საქართველოს თასის პირველი ნახევარფინალური მატჩები უნდა გაიმართოს და ოთხი გუნდიდან ერთ-ერთი თასთან ერთად, ევროტურნირების საგზურსაც მოიპოვებს. ოღონდ, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ „დინამოს", ფაქტობრივად, გარანტირებული აქვს ჩემპიონობა და ფინალშიც თუ გავიდა, მაშინ მეორე ნახევარფინალური წყვილის გამარჯვებული უკვე ავტომატურად ხდება ევროპალიგის მონაწილე. რაც შეეხება „ჩიხურას", ამ გუნდს ჩემპიონატიდანაც არ დაუკარგავს ევროტურნირის საგზურის მოპოვების შანსი, აი, „დილამ" და „შუქურამ" კი მხოლოდ და მხოლოდ თასის გათამაშებიდან უნდა მოახერხონ ამის მიღწევა. ისე, ალბათ, ბევრს უკვირს კიდეც „შუქურას" ასეთი წარმატება: პირველი ლიგის გუნდი რომ ნახევარაფინალში გასულიყოს, საქართველოს თასის ისტორიაში მხოლოდ მესამედ ხდება. პირველად ამ წარმატებას მალხაზ ჟვანიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე „მერანმა" მიაღწია (2009/10 წლების სეზონი). მეორედ კი „გაგრამ", თანაც 2010/11 წლების სეზონში უკრაინელი სპეციალისტის ანატოლი პისკოვეცის დამოძღვრილმა გუნდმა სულაც საქართველოს თასი მოიპოვა!



2013 წლის 24 ნოემბერი. დინამო-დილა 1:1. გიორგი ლორია (მარცხნივ) და ირაკლი მოდებაძე ამჟამად თანაგუნდელები არიან
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

08.04. თბილისი
დინამო არენა
18:00

**დინამო (თბ)**

**დილა**

ჩემპიონატის მსგავსად, თბილისის „დინამო" თასის ნებისმიერი გათამაშების დაწყებამდეც უპირველეს ფავორიტად მიიჩნევა და ამაში გასაკვირი არაფერია; ანუ, ის ფაქტი, რომ წინა სეზონის მსგავსად „დინამო" ახლაც ნახევარფინალშია, ჩვეულებრივი ამბავია. უფრო ზუსტად, ის არის ხოლმე მოულოდნელი, როცა საქართველოს თასის ათგზის მფლობელი ამ გათამაშებას ადრეულ სტადიაზე გამოეთიშება ხოლმე...

ათი წელი გავიდა იმის მერე, რაც „დინამომ" ზედიზედ ორჯერ შეძლო თასის მოპოვება და აი, ამის შანსი წლეულს გაჩნდა; მით უფრო, რომ გუნდის მთავარ მწვრთნელს **მალხაზ ჟვანიასაც** დამატებითი მოტივაცია ექნება პირველი ტიტულის მოსაპოვებლად და, საერთოდ, პირველი „დუბლის" შესასრულებლად. მოტივაციას თავი დავანებოთ და ისიც ვთქვათ, რომ „დინამო" ყველანაირად შეეცდება წარმატების მიღწევას: კლუბის პრეზიდენტი **რომან ფიფია** ხომ დღევანდელი იუბილარია!..

ნახევარფინალამდე „დინამოს" პრობლემა არ შეჰქმნია: პირველლიგელი ხობის „კოლხეთიც" უპრობლემოდ დაამარცხა მერვედფინალში და უფრო ძლიერ „მეტალურგსაც" ორივე მატჩი მოუგო მეოთხედფინალში. ამ სეზონში თასზე ჩატარებული ოთხი მატჩიდან აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გოლების უმრავლესობა ლეგიონერთა ანგარიშზეა: **ჩისკომ** და **პატრიკ ვუომ** მეტოქეთა კარში ოთხ-ოთხი გოლი გაიტანეს, **დარკო გლიშიჩმა** კი - სამი. ამათგან, რაღა თქმა უნდა, ჩისკოს მიერ რუსთავში გატანილი მართლაც სუპერგოლი უნდა გამოვყოთ: „დინამოს" ესპანელმა ლეგიონერმა, ფაქტობრივად, 45 მეტრიდან ზუსტად გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში!..

...„დილამ" თასის ეს გათამაშება **გიორგი დევდარიანის** ხელმძღვანელობით დაიწყო, მერე გუნდი **რამაზ სოლოლაშვილმა** ჩაიბარა და სწორედ მისი თავკაცობით შეძლო გორელთა გუნდმა ნახევარფინალის საგზურის მოპოვება. ნახევარფინალში „დილას" პრობლემა არ შეჰქმნია, სამაგიეროდ, უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუხდა მეოთხედფინალში ბათუმის „დინამოსთან". მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრისათვის მოულოდნელად, „დილა" ჩემპიონატში ზედა ექვსეულში ვერ მოხვდა და, აქედან გამომდინარე, ევროპაში „გასასვლელად" ერთადერთი გზა თასზე წარმატებით ასპარეზობაა. გორელ ქომაგთა სამწუხაროდ, ნახევარფინალის წილისყრისას ყველაზე ძალიან სწორედ „დილას" არ გაუმართლა, თუმცა თასზე არაერთხელ მომხდარა სენსაციები და ორრაუნდიანი დაპირისპირების წინ პროგნოზებისგან ყველამ თავი უნდა შეიკავოს. მით უმეტეს, რომ 2011/12 წლების თასის გათამაშებაში თბილისის „დინამომ" მერვედფინალში ვერ დაძლია „დილას" ბარიერი და ორი მატჩის ჯამში გათამაშებას გამოეთიშა. პირველი შეხვედრა თბილისში... ნაკრების ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე" ჩატარდა და **ალექს გარსიას** დამოძღვრილმა „დინამომ" მატჩის მიწურულს მოახერხა ანგარიშის გათანაბრება. იმ შეხვედრაში დინამოელთაგან გოლები გაიტანეს **ჯაბა ჯიღაურმა** და **გიორგი კახელიშვილმა,** „დილას" მხრიდან კი - **ვლადიმერ ჯოჯუამ** და **დავით ჩაგელიშვილმა.** იმ მატჩში „დილას" **გია ცეცაძე** მოძღვრავდა. აი, საპასუხო შეხვედრაში კი, გორში, „ქართლის" სტადიონზე რომ ჩატარდა, ალექს გარსიას ოპონენტი ამჯერად უკვე რამაზ სოლოლაშვილი გახლდათ და ეს მატჩი გორელთა გუნდისათვის სასურველი შედეგით (0:0) დამთავრდა და „დინამოც" ასე ადრეულ სტადიაზე გამოეთიშა ასპარეზობას. აქვე, იმასაც ვიტყვით, რომ საქართველოს თასის გათამაშების ისტორიაში ეს მესამე შემთხვევაა, როცა „დინამო" და „დილა" ერთმანეთს ნახევარფინალში უპირისპირდებიან და ორჯერვე ფინალში „დინამო" გავიდა. თუმცა, 1998 და 2004 წელს ჩატარებულ მატჩებზე, ალბათ, სჯობს, რომ შემდგომში ვისაუბროთ; უფრო ზუსტად, საპასუხო ნახევარფინალების წინ...

08.04. ქობულეთი
ჩელე არენა
16:00

**შუქურა**

**ჩიხურა**

ერთი შეხედვით, ამ წყვილს გამოკვეთილი ფავორიტი უნდა ჰყავდეს: საქართველოს სუპერთასის მფლობელი და თასის წინა გათამაშების ფინალისტი „ჩიხურა" ზედიზედ მეორედ შეეცდება ამ ტიტულის მოპოვებას; თანაც, შარშანდელისგან განსხვავებით, **სოსო ფრუიძის** დამოძღვრილ გუნდს მეტოქედ ამჯერად პირველი ლიგის წარმომადგენელი ქობულეთის „შუქურა" ჰყავს.

მეტოქისგან განსხვავებით, „ჩიხურა" ამ გათამაშებაში მერვედფინალიდან ჩაერთო, სადაც ორივე მატჩში უპრობლემოდ აჯობა გია ცეცაძის გაწვრთნილ „ლოკომოტივს", რომელიც 17-18 წლის ბიჭებით იყო დაკომპლექტებული. აი, მეოთხედფინალში კი „ჩიხურას" უმძიმესი პაექრობების გადახდამ მოუწია: ჩინებულად ათამაშებულ „სიონთან" სტუმრად ფრედ დამთავრებული შეხვედრის შემდეგ საჩხერელთა გუნდი შინ 0:1-ს აგებდა, მაგრამ მატჩის მიწურულს **დავით ოდიკაძემ** ანგარიში გაათანაბრა, მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე კი **ნიკა კვასხვაძემ** ნახევარფინალის საგზურის მომტანი გოლი გაიტანა!

...„ჩიხურა" ზედიზედ მეორე წელიწადია ნახევარფინალში გადის, აი, „შუქურას" საუკეთესო შედეგი კი თასის გათამაშებაში აქამდე მეოთხედფინალი იყო: 2002-03 წლების სეზონში ქობულეთელთა გუნდმა ორივე მატჩი დიდი ანგარიშით (0:5, 1:5) წააგო ქუთაისის „ტორპედოსთან". საერთოდაც, საქართველოს თასის გათამაშების ისტორიაში „შუქურას" არაერთი სეზონი აქვს „გაცდენილი", ხოლო როცა მონაწილეობდა, ხშირად მარცხდებოდა დიდი ანგარიშით. აი, თუნდაც როგორც თასის წინა გათამაშებაში მოხდა: 1/16 ფინალში „შუქურას" მეტოქე „ჩიხურა" იყო და რანგით მაღალი ლიგის წარმომადგენელმაც ქობულეთელთა გუნდს ორივე მატჩი უპრობლემოდ მოუგო (8:0, 3:0). განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველი შეხვედრა, როცა „ჩიხურას" ახალგაზრდა შემტევმა **ბესიკ დეკანოიძემ** „პოკერი" შეასრულა!

...„შუქურა" კლუბის არსებობის ისტორიაში, უდავოდ საუკეთესო სეზონს ატარებს: გუნდი პირველად გავიდა საქართველოს თასის ნახევარფინალში და ამას გარდა, უმაღლეს ლიგაში აღზევების რეალური კანდიდატიც არის. ფაქტია, რომ კლუბის პრეზიდენტმა, 70-80-იანი წლების ქართული ფეხბურთის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფორვარდმა **რევაზ ჩელებაძემ** თავის მშობლიურ ქალაქში ბრძოლისუნარიანი და ამბიციური კლუბი ჩამოაყალიბა. იმას კი ველოდით, რომ ხანგრძლივზე ხანგრძლივი პაუზის მერე გუნდი უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად იბრძოლებდა, მაგრამ თასზეც თუ ასე წარმატებით იასპარეზებდა, აი, ეს კი მართლაც სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა. აქვე, იმასაც გეტყვით, რომ ეს წარმატებული სეზონი კლუბმა კიდევ ერთი გამორჩეული ვეტერანის, **ასლან ბალაძის** ხელმძღვანელობით დაიწყო, რომელმაც შემდეგ კლუბის დირექტორატში გადაინაცვლა; „შუქურას" დამოძღვრა კი ქართული სამწვრთნელო სკოლის უხუცესმა წარმომადგენელმა **ვალერიან ჩხარტიშვილმა** ითავა, რომლის ხელმძღვანელობითაც ქობულეთელთა გუნდმა მეოთხედფინალის საგზური დრამატულ პაექრობაში მოიპოვა. ეს ყველაფერი კი „ვიტ ჯორჯიასთან" საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში მოხდა: მსაჯის მიერ დამატებულ მესამე წუთზე „ვეტერინართა" ახალგაზრდა და უდავოდ, პერსპექტიულმა ფორვარდმა **ელგუჯა ლობჯანიძემ,** მეტოქის კარში მეორე გოლი გაიტანა და თითქოსდა, ყველაფერიც გაირკვა; თუმცა, არბიტრის მიერ დამატებულ მეხუთე (!) წუთზე, როცა „შუქურა" მთელი გუნდით მეტოქის საჯარიმოში იმყოფებოდა, გუნდის ყველაზე გამოცდილი და ყველაზე „სახელიანი" ფეხბურთელის, **მიხეილ კაკალაძის** პასის შემდეგ **არჩილ ბაჯელიძემ** მეტოქის კარში ბურთი ზუსტად გადაგზავნა! ამის შემდეგ „შუქურაში" მწვრთნელი კიდევ ერთხელ შეიცვალა: ვალერიან ჩხარტიშვილი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გუნდს ველარ ეხმარებოდა და მისი ადგილი გამოცდილმა სპეციალისტმა **ბესიკ შეროზიამ** დაიკავა, რომელსაც უმაღლეს ლიგაში გუნდების აღზევების გამოცდილებაც გააჩნია და საერთოდაც, ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთ კვალიფიციურ სპეციალისტად მიიჩნევა.

**გია ტუხაშვილი**

**გზა ნახევარფინალამდე**
**დინამო-დილა**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| **კოლხეთი (ხ)-დინამო (თბ)** | 0:9 |
| (გოლები: ჩისკო-2, გლიშიჩი-2, მიქაბერიძე-2, კვარაცხელია, ვუო, მერებაშვილი) | |
| **დინამო-კოლხეთი** | 6:0 |
| (გოლები: ვუო-3, გველესიანი, მიქაბერიძე, გოგა) | |

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| **მეტალურგი -დინამო** | 0:2 |
| (გოლები: ჩისკო, ძარია) | |
| **დინამო-მეტალურგი** | 4:1 |
| (გოლები: გორგიაშვილი, მერებაშვილი, ჩისკო, გლიშიჩი-ჩიმაკაძე) | |

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| **დილა-დინამო (ბთ)** | 1:0 |
| (გოლი: მოდებაძე) | |
| **დინამო (ბთ)-დილა** | 2:1 |
| (გოლები: ბერიძე, მუჯირი-აფხაზავა) | |

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| **ტორპედო-დილა** | 1:2 |
| (გოლები: კვერნაძე-კვახაძე, კორღალიძე) | |
| **დილა-ტორპედო** | 2:0 |
| (გოლები: შალამბერიძე, გურ. გურეშიძე) | |

**გზა ნახევარფინალამდე**
**შუქურა-ჩიხურა**

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| **ლოკომოტივი(თბ)-ჩიხურა** | 0:3 |
| (გოლები: ტატანაშვილი, ჩიკვაიძე, გაბედავა) | |
| **ჩიხურა-ლოკომოტივი** | 4:0 |
| (გოლები: წინამძღვრიშვილი-2, რეხვიაშვილი, ჯილაური) | |

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| **სიონი-ჩიხურა** | 1:1 |
| (გოლები: ზ. ლობჯანიძე - ხმალაძე) | |
| **ჩიხურა-სიონი** | 2:1 |
| (გოლები: ოდიკაძე, ნ. კვასხვაძე-გოგობერიშვილი) | |

**1/16 ფინალი**

| | |
|---|---|
| **შუქურა-სქური** | 1:0 |
| (გოლი: ბაჯელიძე) | |
| **სქური-შუქურა** | 1:2 |
| (გოლები: ჭკუასელი-ტულუში, კოპალიანი) | |

**1/8 ფინალი**

| | |
|---|---|
| **შუქურა-ვიტ ჯორჯია** | 1:0 |
| (გოლი: კოპალიანი) | |
| **ვიტ ჯორჯია-შუქურა** | 2:1 |
| (გოლები: ლიბრაძე, ე. ლობჯანიძე-ბაჯელიძე) | |

**1/4 ფინალი**

| | |
|---|---|
| **შუქურა-მერანი** | 0:0 |
| **მერანი-შუქურა** | 0:3 |
| | (ტექნიკური წაგება) |

ქართული ფეხბურთი

XXV ტურის მიმოხილვის ნაცვლად

# როცა ყველაფერი უცნაურია...

სამ დღეზე „გაწელილი" ტური, ავად თუ კარგად, ჩავამთავრეთ და უნდა გვიხაროდეს, რომ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა! ჰო, ასეა - ამ მართლაც უცნაურ სეზონში ხომ ტური არ გავა, რაიმე „განსაკუთრებული" არ მოხდეს. თანაც, ეს მხოლოდ უმაღლეს ლიგას არ ეხება: პირველ ლიგაში ისეთი ამბები ხდება...

... სჯობს, ისევ უმაღლესი ლიგის გათამაშებას დავუბრუნდეთ და გვინდა, კიდევ ერთხელ დავაფიქსიროთ ნეგატიური დამოკიდებულება გუნდების ზედა და ქვედა ექვსეულებად დაყოფასთან დაკავშირებით. ჯერ ერთი, ტურიდან ტურამდე რომ მატულობს უმოტივაციო მატჩები, ეს კიდევ არაფერია. აბა, შეხედეთ ორივე ექვსეულის ცხრილებს და ძალიან მარტივად აღმოაჩენთ მორიგ „მარგალიტს": VII და VIII ადგილზე მყოფ გუნდებს უფრო მეტი ქულა აქვთ, ვიდრე VI-ადგილოსანს! ეგ კი არა, მოვლენების ისეთ განვითარებასაც ნუ გამოვრიცხავთ, როცა იმავე VII დაVIII ადგილოსანს სეზონის ბოლოსკენ უფრო მეტი ქულა ჰქონდეს, ვიდრე იმ გუნდს, რომელიც ზედა ექვსეულში... მესამე (!) ადგილზე ყოფნით (და, შესაბამისად, ევროპალიგის საგზურის მოპოვებით) უნდა თავს იწონებდეს. საბედნიეროდ, გუნდების „ზედა" და „ქვედა" ექვსეულებად დაყოფა მომავალი სეზონიდან აღარ იქნება. სამაგიეროდ, ჩვენი ფეხბურთის მესვეურები ამჯერად უკვე ქვეყნის უმაღლესი პირების დარწმუნებას ცდილობენ, რომ ქართულ საკლუბო ფეხბურთს თუკი რაიმე გადაარჩენს, მხოლოდ და მხოლოდ, უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის 16 ან 18-მდე გაზრდა უნდა იყოსო! არადა, უკვე მერამდენედ გვიწევს ხმამაღლა იმის აღნიშვნა, რომ 12-გუნდიან ჩემპიონატს ნორმალურად ვერ ვატარებთ: გუნდების უმრავლესობას, საკუთარი სტადიონი არ გააჩნია. სადაც არის, ზოგი სტადიონი ან დაუმთავრებელია, ან კიდევ - ლიცენზირების მოთხოვნებს ვერ პასუხობს. აღარაფერს ვამბობთ იმ გახშირებულ „უცნაურშედეგიან" თუ „უცნაურსცენარიან" მატჩებზე და, აქედან გამომდინარე, ძალიან საინტერესოა, როგორ და რანაირად უნდა მოხერხდეს 16 ან 18-გუნდიანი ჩემპიონატის ჩატარება? თუმცა, უკვე მერამდენედ გვიწევს ამ ბოლო დროს ერთი და იმავე ფრაზის თქმა: რადგანაც ეს იდეა (უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის გაზრდა) უკვე მთავრობამდე „მიიტანეს", ესე იგი, განხორციელდება კიდეც. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, დიდია იმის ალბათობა, რომ ქვედა ექვსეულის გუნდებს აბსოლუტურად მშვიდი ფინიში ელოდებათ! ანუ, პირველ ლიგაში დაქვეითების საფრთხე რომ არავის დაემუქრება, ძალიან გვაინტერესებს, თუ როგორი მოტივაციით უნდა ითამაშონ ერთმანეთში ქვედა ექვსეულის გუნდებმა? კი, ბატონო, ჯერჯერობით თავს იკავებენ ხმამაღლა რომ განაცხადონ მომავალი სეზონიდან ჩემპიონატის ფორმატის შეცვლაზე, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილი ამბავის ოფიციალური „პრეზენტაციაც", ალბათ, დროის ამბავია! ჰოდა, აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივი კითხვაც ჩნდება: ქვედა ექვსეულის მატჩები, საერთოდ, რატომ ტარდება? მხოლოდ იმისათვის ხომ არა, რომ ამა თუ იმ გუნდის ფეხბურთელები ერთმანეთს „შეეჯიბრონ" წითელ-ყვითელი ბარათების... შეგნებულად მიღებასა თუ კიდევ სხვა მრავალ „უცნაურობებში"? მოკლედ, უცნაურობები გრძელდება და არა მხოლოდ ქვედა ექვსეულში: ერთი-ორი ტურიც და „ზემოთაც" თითქმის ყველაფერი გაირკვევა; ანუ, ფაქტობრივად, ყველანაირი ინტრიგა მოისპობა და აი, მაშინ კი (შესაძლოა, უფრო ადრეც), ნამდვილად აღარ იქნება აქტუალური აღარც „ტურის მიმოხილვები", და აღარც „ტურის სიმბოლური ნაკრებების" შედგენა. ეგ კი არა, ახლაც ბევრი ვიფიქრეთ, ღირდა თუ არა ამ ტურის „სიმბოლური ნაკრების" შედგენა: ბოლოდროინდელმა მომრავლებულმა „უცნაურობებმა" ხომ, ლამის არის, თითქმის ყველა მატჩის შედეგი ეჭვქვეშ დააყენოს!..

დაბოლოს, კიდევ ერთ „გამაფრთხილებელ აქციაზეც": ნურავის გაუკვირდეს, ასევე ერთი-ორი ტურის მერე „ლელომ" ქვედა ექვსეულის მატჩები საერთოდ რომ არ გააშუქოს! ჰო, რა აზრი აქვს იმის „დეტალურად" აღწერას, ესა თუ ის ფეხბურთელი სრულიად უწყინარ სიტუაციაში...




წითელ ბარათს რატომ იღებს. ან კიდევ, რატომ ხდება, როცა ერთი და იგივე მწვრთნელი პირველ შეცვლას თითქმის ყველა მატჩში საწყის 15-20 წუთში აკეთებს ხოლმე და ასე შემდეგ...

**გია ტუხაშვილი**

გამოტოვებული მატჩი

08.04. ლანჩხუთი. ევ. შევარდნაძე

16:00

**გურია**

ურთიერთშეხვედრები:
15: +3 =4 -8 (12:24)

**სიონი**

ბოლო 5 მატჩი

| | |
|---|---|
| ზესტაფონი-გურია | 1:0 (სჩ) |
| დინამო (თბ)-გურია | 3:0 (სჩ) |
| ზუგდიდი-გურია | 2:0 (სჩ) |
| გურია-ჩიხურა | 2:0 (სჩ) |
| გურია-სპარტაკი | 0:1 (სჩ) |

| | |
|---|---|
| სიონი-მეტალურგი | 2:0 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი | 1:2 (სჩ) |
| ჩიხურა-სიონი | 2:1 (სთ) |
| სიონი-ზესტაფონი | 0:1 (სჩ) |
| მეტალურგი-სიონი | 0:2 (სჩ) |

I–VI ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | 25 | 17 | 4 | 4 | 56 | 18 | 55 |
| 2 | ზესტაფონი | 25 | 14 | 4 | 7 | 33 | 16 | 46 |
| 3 | სიონი | 24 | 11 | 6 | 7 | 31 | 24 | 39 |
| 4 | ჩიხურა | 25 | 11 | 6 | 8 | 42 | 38 | 39 |
| 5 | მეტალურგი | 25 | 10 | 6 | 9 | 28 | 29 | 36 |
| 6 | გურია | 24 | 11 | 0 | 13 | 25 | 33 | 33 |

ცხრილი მომზადებულია gff.ge-ს მიხედვით

VII–XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | დილა | 25 | 9 | 8 | 8 | 34 | 26 | 35 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 25 | 10 | 5 | 10 | 32 | 32 | 35 |
| 9 | ტორპედო | 25 | 9 | 5 | 11 | 25 | 36 | 32 |
| 10 | სპარტაკი | 25 | 7 | 4 | 14 | 22 | 33 | 25 |
| 11 | ზუგდიდი | 25 | 6 | 6 | 13 | 15 | 33 | 24 |
| 12 | მერანი | 25 | 5 | 4 | 16 | 18 | 43 | 19 |

ცხრილი მომზადებულია gff.ge-ს მიხედვით

იდეის გარშემო

# გაიზრდება უმაღლესი ლიგა?

## ორი პოზიცია: რატომ – კი და რატომ – არა?


კახა ჭუმბურიძე

**ბოლო დღეებში, აქტიურად განიხილება უმაღლეს ლიგში მოასპარეზე გუნდების რაოდენობის გაზრდის იდეა. განიხილება 16 ან 18-გუნდიანი ჩემპიონატის მოდელი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მომხრე და მოწინააღმდეგე მხარეების პოზიციას გაგაცნობთ.**

### 10-გუნდიანი უკეთესია

**კახა ჭუმბურიძე** („საბურთალოს" გენერალური დირექტორი): "უპირველესად ვიტყვი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობა სეზონის დასასრულს არასწორად მიგვაჩნია. უპრიანი იქნებოდა, ეს სეზონის დასაწყისში განხილულიყო. 2013-2014 წლების სეზონი დამტკიცებული დებულებით უნდა დასრულდეს და მხოლოდ ამის შემდეგ ვიმსჯელოთ მომავალი ჩემპიონატის ფორმატზე. პირადად მე, 16-გუნდიანი ჩემპიონატის წინააღმდეგი ვარ, 18 კლუბზე ხომ საერთოდ ლაპარაკიც ზედმეტია. ახლა 12-გუნდიანია და პრობლემები ისედაც თავზე საყრელად გვაქვს, გუნდების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში კი გაცილებით მეტი სირთულეებს წავაწყდებით. მგონია, რომ კლუბების შემცირებაზე უნდა იყოს საუბარი და არა მომატებაზე. საინტერესოა, იმ შემთხვევაში, თუ გუნდების რაოდენობა გაიზრდება, რა პრინციპით უნდა შეირჩეს ესა თუ ის კლუბი, რომელიც უმაღლეს ლიგაში მოხვდება. იმაზე აპელირება არასწორად მიმაჩნია, რომ ამა თუ იმ გუნდს დიდი ისტორია აქვს და უმაღლეს ლიგაში ადგილი ეკუთვნის. ამ პრინციპით თუ მივუდგებით, საფეხბურთო ისტორიისა და პოლიტიკური თვალსაზრისით უძლიერესთა შორის თამაშს ყველაზე მეტად „გაგრა" და სოხუმის „დინამო" იმსახურებენ. ამიტომ, არ უნდა დაირღვეს სპორტული პრინციპი და დებულება, რათა არ მივიღოთ აბსოლუტური გაუგებრობა. თუ სახელმწიფო პროგრამა შემუშავდება, უმჯობესია ვიზრუნოთ ხარისხზე და არა გუნდების რაოდენობის გაზრდაზე. ძალიან საინტერესო ჩემპიონატი იყო 2004 წელს, როდესაც პროფესიულმა ფეხბურთის ლიგამ 10-გუნდიანი ჩემპიონატი ოთხ წრედ ჩაატარა. სწორედ, ჩემპიონატის ამ დებულებით გამართვას ვემხრობი, რადგან მგონია, რომ აღნიშნული ფორმატით ჩემპიონატის ჩატარება საფეხბურთო დონის ამაღლებასა და განვითარებას შეუწყობს ხელს" - ამბობს ჭუმბურიძე.

### 2-3-გუნდიანი ჩემპიონატი გვინდა?

განსხვავებული პოზიცია გააჩნია "ჩიხურას" მთავარ მწვრთნელს, **სოსო ფრუიძეს**: "ამბობენ, რომ საქართველოს ჩემპიონატში ძალიან დაბალი დონეა, რომ გუნდები ლიცენზირების პირობებს ვერ აკმაყოფილებენ და ინფრასტრუქტურა არ გააჩნიათ. თუ ლიცენზირების მოთხოვნებს მხოლოდ 2-3 აკმაყოფილებს, მაშინ ჩავატაროთ 2-3-გუნდიანი ჩემპიონატი, უმაღლეს ლიგაში მეტი მონაწილე რაში გვჭირდება? ყველამ იცის, რომ ზოგიერთ გუნდს შეღავათს ვუკეთებთ, რადგან მონაწილეობის გამო, ინფრასტრუქტურა და პირობები გააუმჯობესონ. ეს ყველაფერი განვითარებისთვის ხდება და არა იმიტომ, რომ ვიღაცას ხელს ვაფარებთ. ქართულ ფეხბურთს კი ფეხზე დაყენება და თანადგომა ესაჭიროება, რომ არსებული ჩამორჩენა და კრიზისი დავძლიოთ. საამისოდ კი, წლებია საჭირო. ჯერ კიდევ სახელმწიფო პროგრამაზე ლაპარაკის დაწყებამდე ვამბობდი, რომ უმაღლესი ლიგა 16-მდე უნდა გაზრდილიყო. თუ მეტმა ფეხბურთელმა არ ითამაშა, მეტ გუნდს და მწვრთნელს არ მიეცა შედარებით მაღალ დონეზე თავის გამოჩენის საშუალება, არაფერი გვეშველება. ასეთ პირობებში გინდა 10-გუნდიანი ჩემპიონატი ჩავატაროთ და გინდა 8-იანი – დაძაბულობა იქნება, მაგრამ დონე არ გაიზრდება. ამიტომ მგონია, რომ საჭიროა კიდევ 4 გუნდს მივცეთ უმაღლესში თამაშის საშუალება. თუ მართლა ისე გადანაწილდება უმაღლესში პრემიალური თანხები, როგორც ლაპარაკობენ, ეს დამატებული გუნდებიც გაიზრდებიან, ამჟამინდელი აუტსაიდერებიც და ჩემპიონატიც უფრო განვითარდება. რაც მთავარია, მიმაჩნია, რომ პრემიალური სისტემა გარიგებულ შეხვედრებსაც მაქსიმალურად გამორიცხავს. ჩემი აზრით, სასურველი იქნება, რომ ასეთ დროს სახსრები მკაცრად აკონტროლონ, თითოეული თეთრი მიზანმიმართულად დაიხარჯოს, ერთ დღეში სასტუმროში კაცზე 200 ლარი არ გააფორმონ, ან ბურთები 300 დოლარად არ იყიდონ და ა.შ. თუმცა, არა მგონია, რომ სახელმწიფომ ფეხბურთში თანხები ასე სწრაფად ჩადოს".


სოსო ფრუიძე

**მერაბ მამულაშვილი**

სიტუაცია

# გურიას დირექტორი: მეტის მიღწევა შეგვეძლია

ლანჩხუთის "გურიას" ტექნიკურმა დირექტორმა **გია გილიგაშვილმა** "ზესტაფონთან" გამართული მატჩის შემდეგ კომენტარი გააკეთა: "მე-80 წუთამდე მსაჯები თამაშს ობიექტურად სჯიდნენ. ბოლო წუთებში კი მათი მხრიდან ტენდენციურობა აშკარად იგრძნობოდა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ გოლი დაახლოებით 98–ე წუთზე (?!) გაგვიტანეს. სადღაც 93-ე წუთზე, მეოთხე მსაჯმა ძირითად დროს 6 წუთი დაამატა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ელოდნენ, "ზესტაფონი" გოლს როდის გაიტანდა".

"გუნდმა ჩემპიონატის პირველი ნაწილი დამაჯერებლად ჩაატარა, გაინაღდა ზედა ექვსეულში თამაში და ამით პროგრამა მაქსიმუმი შეასრულა. ერთი წლის მანძილზე, გუნდი მასმედიის ყურადღებას იქცევდა არა მხოლოდ თავისი პრობლემებით, არამედ, ნაჩვენები შედეგებითაც. უამრავი პრობლემის მიუხედავად, "გურიამ" მაინც შეძლო კარგი თამაშის ჩვენება. რა თქმა უნდა, არის პერსპექტივა, რომ "გურიამ" მაღალი ადგილებისათვის იბრძოლოს. მომდევნო ორ საშინაო მატჩს ჩვენს უშუალო კონკურენტებთან, "სიონთან" და "მეტალურგთან" გავმართავთ და წარმატების შემთხვევაში, მაღალი ადგილის დაკავების ფიქრიც რეალური გახდება. გუნდს ამის უნარი შესწევს" – თქვა გილიგაშვილმა "გურიას" პრესსამსახურთან ინტერვიუში.


გია გილიგაშვილი

**მერაბ მამულაშვილი**

● გერმანია. ბუნდესლიგა. XXIX ტურის შეჯამება

# ესთეტიკა მორჩა, ბინძური ომი იწყება

## გადარჩენისთვის ბრძოლაში ყველაფერი მოსულა

**„ბაიერნმა“ წააგო (!!!), მეოთხე ადგილზე მიონხენგლადბახის „ბორუსიამ“ აინაცვლა, „ჰანოვერის“ გულშემატკივრებმა მწვრთნელსა და ფეხბურთელებს ობსტრუქცია მოუწყვეს, გადარჩენისთვის ბრძოლა უკვე უკიდურესად გამძაფრდა და საქმე იქამდე მივიდა, რომ „ნიურნბერგის“ მეკარე ამბობს, ასეთ სიტუაციაში „ფეარ პლეი“ ფეხებზე მკიდიაო...**

### სიმბოლური ნაკრები






„ნიურნბერგის“ მეკარე რაფაელ შეფერმა „გლადბახის“ თავდამსხმელ მაქს კრუზეს შეუტია

ცოტა ხნის წინ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების კანდიდატად აღარ მოვიხსენიებდით, რადგან მეორე წრეში **ლუსიენ ფავრის** გუნდს ჩავარდნა დაეწყო. 24-ე ტურში, „აუგსბურგთან“ წაგების (1:2) შემდეგ „გლადბახი“ მე-8 ადგილზე ჩამოქვეითდა და იმ მომენტში რთული იყო იმაზე საუბარი, რომ მიონხენგლადბახელები თუნდაც ევროპალიგაზე მოხვდებოდნენ. მას მერე ბუნდესლიგამ ხუთი ტური მოილია და 29-ე ტურის შემდეგ ფავრის გუნდი უკვე მეოთხე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის ბრწყინვალე შანსი გაუჩნდა. მართალია, მეოთხე ადგილი პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის გარანტიას ვერ იძლევა, მაგრამ მიონხენგლადბახელთათვის ევროპის ელიტარული საკლუბო ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრაც ბედნიერებაა.

თუმცა, რაკი მეორე წრის დასაწყისში „გლადბახმა“ ზედიზედ შვიდი მატჩი ვერ მოიგო, ამჟამინდელ ალმასვლას მიონხენგლადბახელები გაცილებით რეალურად აფასებენ და, ასე ვთქვათ, ცაში არ დაფრინავენ.

*„სატურნირო ცხრილზე დაკვირვებამ კარგი არაფერი მოგვიტანა. გვახსოვს, როგორ ჩამოვქვეითდით მესამე ადგილიდან მე-8 პოზიციამდე. შესაბამისად, ახლა უკვე ილუზიებით აღარ ვიკვებებით და მხოლოდ კონკრეტულ, მომავალ მატჩზე ვფიქრობთ,“* - აცხადებს მიონხენგლადბახელთა მარჯვენა გარემარბი **პატრიკ ჰერმანი**.

ამ ტურში „გლადბახმა“ ნიურნბერგში 2:0 მოიგო და რაკი უმთავრესი კონკურენტები, „ვოლფსბურგი“ და „ლევერკუზენი“ დამარცხდნენ, ფავრის გუნდმა ისევ სანატრელ მეოთხე ადგილზე აინაცვლა და ჩემპიონთა ლიგას უმზერს. გაგახსენებთ, რომ მიონხენგლადბახელებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური 2011 წელსაც მოიპოვეს, მაგრამ მაშინ საკვალიფიკაციო რაუნდი ვერ გადალახეს და ჯგუფურ ეტაპზე ვერ მოხვდნენ.

ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი ფინანსურ შესაძლებლობებსაც ზრდის და უკვე დაირხა ხმები, რომ „გლადბახს“ „ფრაიბურგის“ უნიჭიერესი უკანახაზელის, **მათიას გინტერის** შეძენა უნდა - ცნობისათვის, ეს უკანასკნელი დორტმუნდის „ბორუსიას“ სასურველ ფეხბურთელთა სიაშიცაა.

### რაფაელ შეფერი: ფეარ პლეი აღარ მაინტერესებს!

სწორედ „გლადბახთან“ მარცხის შემდეგ ჩაეშვა „ნიურნბერგი“ გასავარდნ ზონაში - 29 ტურის შემდეგ ფრანკები 26 ქულით მე-17 ადგილზე არიან და უკვე „ბრაუნშვაიგის“ (25 ქულა) სუნთქვაც იგრძნეს. შაბათის მატჩის შემდეგ „ნიურნბერგის“ ყველაზე გამოცდილმა ფეხბურთელმა, გუნდის 35 წლის კაპიტანმა **რაფაელ შეფერმა** (269 მატჩი ბუნდესლიგაში) თქვა, დიდი ბოდიში, მაგრამ გადარჩენისთვის ბრძოლაში უკვე თვით „ფეარ პლეიც“ ფეხებზე მკიდიაო და დარჩენილ ტურებში მეტოქეებს ბინძური ბრძოლა აღუთქვა.

*„როცა სხვებიც ბინძურ ფეხბურთს თამაშობენ, ამაზე არც ჩვენ უნდა ვთქვათ უარი,“* - განმარტავს შეფერი. „ნიურნბერგის“ კაპიტანი „გლადბახთან“ მატჩში იმის გამო გამწარდა, რომ მიონხენგლადბახელთა თავდამსხმელმა **მაქს კრუზემ** პენალტი სიმულაციით მოიპოვა და გაიტანა კიდეც. ნიურნბერგელთა ვეტერანმა მეკარემ კრუზეს ჯერ კიდევ მოედანზე შეუტია და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, მისთვის გასახდელისკენ მიმავალ გზაზეც „შეუღრენია“, გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი ხარ და ასეთი სიმულანტობა არ გეკადრებაო.

*„არ ვიცი, იყო თუ არა ეს 100-პროცენტიანი პენალტი, მაგრამ სიმულაციისთვის ცხოვრებაში არ მიმიმართავს. ყველამ დაინახა, რომ კონტაქტი იყო,“* - ეს კრუზეს სიტყვებია.



ტურის გმირი

**სვენ ულრაიხი (შტუტგარტი)**

„შტუტგარტის“ მეკარე **სვენ ულრაიხმა** „ფრაიბურგთან“ ბადენ-ვიურტემბერგულ დერბიში არაერთი ბრწყინვალე სეივი შემოგვთავაზა. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო ბოლო წუთებში განხორციელებული სეივები, როცა 25 წლის გოლკიპერმა გინტერს, **კლაუსს, მეჰმედისა** და **შმიდს** არ გაატანინა. ულრაიხი მთელი მატჩის განმავლობაში ყველაფერს შესანიშნავად აკეთებდა და ტურის გმირის წოდებაც დაიმსახურა.

### ტაიფუნი ტაიფუნის წინააღმდეგ

თურქმა სპეციალისტმა **ტაიფუნ კორკუტმა** „ჰანოვერში“ კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო დროს სადავეები ხელიდან გაექცა და განსაკუთრებით „ბრაუნშვაიგთან“ განადგურების (0:3) შემდეგ „ჰანოვერს“ ისევ მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითების საფრთხე ემუქრება. მართალია, 29 ტურის შემდეგ „წითლები“ მე-13 ადგილზე არიან, რაც უხიფათო ზონაა, მაგრამ „ჰანოვერი“ მე-17 ადგილზე მყოფ „ნიურნბერგს“ მხოლოდ 3 ქულითღა უსწრებს, ხოლო აუტსაიდერ „ბრაუნშვაიგამდე“ კი - მხოლოდ 4 ქულა აშორებს.

„ბრაუნშვაიგთან“ წაგება „ჰანოვერის“ გულშემატკივრებისთვის განსაკუთრებით მტკივნეული გამოდგა, რადგან ეს დერბია და მატჩის შემდეგ „წითლების“ ასობით განრისხებულმა ფანმა აგრესიის ტაიფუნი პირდაპირ 40 წლის მწვრთნელისკენ, ტაიფუნ კორკუტისკენ მიმართა.

თურქმა მწვრთნელმა თავიდან თვითონვე სცადა გულშემატკივრების დამშვიდება, მაგრამ როცა ტრიბუნასთან მივიდა და მეგაფონი მოიმარჯვა, სხვადასხვა საგნები დააყარეს! ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ დიდი შანსია, მომდევნო ტურში, „ჰამბურგთან“ ტაიფუნს უკანასკნელი შანსი მიეცეს, რომლის ვერგამოყენების შემთხვევაში მაშინვე გაათავისუფლებენ. თუ ასე მოხდა, გამოვა, რომ „ჰანოვერმა“ ერთ სეზონში მწვრთნელი ორჯერ გამოცვალა. „ბილდის“ ცნობით, „ჰანოვერის“ გადარჩენა შესაძლოა **ჰანს მაიერს, ევალდ ლინენს** ან **ბრუნო ლაბადიას** დაევალოს.

### ლევერკუზენული პარადოქსი

გუშინდელ ნომერშიც ვწერდით, რომ პარასკევს, „ჰამბურგთან“ წაგების შემდეგ „ლევერკუზენის“ ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარი მწვრთნელი **სამი ჰიიპია** გაათავისუფლეს. გაირკვა ისიც, რომ ფინელ სპეციალისტს სეზონის ბოლომდე **საშა ლევანდოვსკი** შეცვლის, ახალი სეზონისთვის კი „ფარმაცევტებმა“ ახალი დამრიგებელი უნდა იპოვონ. პარადოქსი ისაა, რომ ჰიიპიას კონტრაქტში ჩადებული იყო პუნქტი, რომლის მიხედვითაც დიდი შანსია, რომ სამის კონტრაქტი გახანგრძლივდეს!

არა, ჰიიპიას მთავარი მწვრთნელის პოსტზე აღარავინ დააბრუნებს, უბრალოდ, „ლევერკუზენს“ ფინელი მწვრთნელისთვის გაცილებით დიდი კომპენსაცია ექნება გადასახდელი. ზემოთ ხსენებული პუნქტი ძალაში იმ შემთხვევაში შევა, თუ „ლევერკუზენი“ სეზონს მეოთხე ადგილზე დაასრულებს...

**გოტფრიდ ლენცი**

### საუკეთესო ფეხბურთელები

#### „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | საშუალო შეფასება |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 19 | 2.25 |
| 2. არიენ რობენი | ბაიერნი | 23 | 2.27 |
| 3. რალფ ფერმანი | შალკე | 17 | 2.47 |
| 4. მარკო როისი | დორტმუნდი | 25 | 2.57 |
| 5. ბერნდ ლენო | ლევერკუზენი | 29 | 2.60 |
| 6. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 29 | 2.67 |
| 7. მანუელ ნოიერი | ბაიერნი | 27 | 2.70 |
| 8. ფილიპ ლამი | ბაიერნი | 24 | 2.72 |
| 9. ტონი კროოსი | ბაიერნი | 26 | 2.81 |
| 10. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | გლადბახი | 29 | 2.83 |

#### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რობერტ ლევანდოვსკი | დორტმუნდი | 28 | 17 | 11 | 28 |
| 2. რობერტო ფირმინო | ჰოფენჰაიმი | 28 | 14 | 10 | 24 |
| 3. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 27 | 17 | 6 | 23 |
| 4. ადრიან რამოსი | ჰერტა | 29 | 16 | 7 | 23 |
| 5. მარკო როისი | დორტმუნდი | 25 | 13 | 10 | 23 |
| 6. მაქს კრუზე | გლადბახი | 29 | 11 | 10 | 21 |
| 7. თომას მიულერი | ბაიერნი | 26 | 12 | 9 | 21 |
| 8. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 19 | 9 | 12 | 21 |
| 9. რაფაელი | გლადბახი | 29 | 14 | 6 | 20 |
| 10. იოზიპ დრმიჩი | ნიურნბერგი | 28 | 16 | 3 | 19 |

● სამწვრთნელო ცვლილებები

# კატანია და კალიარი ახალი მწვრთნელებით

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების 32-ე ტურმა ორი მწვრთნელის სკამი შეიწირა: „კალიარიდან“ **დიეგო ლოპესი** გაათავისუფლეს, „კატანიადან“ კი **როლანდო მარანი**. აქვე ვთქვათ, რომ გასულ უქმეებზე სარდინიელები „რომასთან“ დამარცხდნენ, სიცილიელებს კი „ტორინოსთან“ მოეცარათ ხელი.

„კალიარის“ ახალი მთავარი მწვრთნელი **ივო პულგა** იქნება, რომელიც სეზონის პირველ ეტაპზე მარანის თანაშემწედ მუშაობდა. შესაბამისად, ის კარგად იცნობს გუნდს და ადაპტაციისთვის დრო არ დასჭირდება. „კალიარის“ პრეზიდენტის, **მასიმო ჩელინოს** თქმით, მას არ სურდა ლოპესის გათავისუფლება, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარუმატებლობამ სხვა შანსი არ დაუტოვა. ჩელინომ იმედი გამოთქვა, პულგა ამოცანას თავს კარგად გაართმევს.

„კატანია“ ბოლო ადგილზეა და თუ რაღაც სასწაული არ მოხდა, დატოვებს კიდეც ელიტარულ დივიზიონს. სიცილიელებს იმედი აქვთ, რომ ამ სასწაულს **მაურიციო პელეგრინო** მოახდენს, რომელიც აღნიშნულ პოსტზე 2001-2003 წლებში მუშაობდა, როდესაც კატანიელები სერია C-ში ასპარეზობდნენ. ბოლო წლებში, პელეგრინო ახალგაზრდულ გუნდში მუშაობდა და შანსი მიეცა, რომ თავი სერია A-ში გამოიჩინოს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სენიორ მაურიციომ როლანდო მარანი ჩაანაცვლა.

**ლაშა წიკლაური**



„კალიარის“ ივო პულგა გაწვრთნის

● იტალია. სერია A XXXII ტური

**იუვენტუსი–ლივორნო 2:0**

**გოლები:** 1:0 ლორენტე (32), 2:0 ლორენტე (35).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - კასერესი, ბონუჩი, კიელინი - ლიხტშტაინერი, პოგბა (84. პადოინი), პირლო, მარკიზიო, ასამოა - ტევესი (65. ჯოვინკო), ლორენტე (77. ვუჩინიჩი).

**ლივორნო (3-5-2):** ბარდი - ვალენტინი, კოდა, კასტელინი - ჩეკერინი (59. პიჩინი), ბენასი, დუნკანი, ბიაჯანტი (74. მოსკერა), მესბა - სილიგარდი, ემეგარა (64. ბელფოდილი).

**გაფრთხილება:** კასტელინი (ლივორნო).

**კუთხური:** 10-2; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 16-7 (3-3); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 40 000

**ჯენოა–მილანი 1:2**

**გოლები:** 0:1 ტაარაბტი (20), 0:2 ჰონდა (56), 1:2 მოტა (73).

**ჯენოა (3-4-3):** პერინი - ბურდისო, დე მაიო, მარკეზე - მოტა, სტურარო, ბერტოლაჩი, ანტონელი (83. კონატე) - ფეტფატციდისი (82. კალაიო), ჯილარდინო, სკული (69. ჩენტურიონი).

**მილანი (4-2-3-1):** აბიატი - ბონერა, რამი, მექსე, კონსტანტი - დე იონგი, მონტოლივო - ჰონდა, კაკა (88. პოლი), ტაარაბტი (83. ბირსა) - პაცინი (74. ბალოტელი).

**გაფრთხილება:** ანტონელი - აბიატი.

**კუთხური:** 4-0; **ჯარიმა:** 8-9; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 7-5(3-3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 32 | 27 | 3 | 2 | 69-22 | 84 |
| 2. რომა | 32 | 23 | 7 | 2 | 65-18 | 76 |
| 3. ნაპოლი | 32 | 19 | 7 | 6 | 59-33 | 64 |
| 4. ფიორენტინა | 32 | 16 | 7 | 9 | 51-33 | 55 |
| 5. ინტერი | 32 | 12 | 14 | 6 | 51-25 | 50 |
| 6. პარმა | 32 | 13 | 11 | 8 | 52-41 | 50 |
| 7. ლაციო | 32 | 13 | 9 | 10 | 42-40 | 48 |
| 8. ატალანტა | 32 | 14 | 4 | 14 | 37-41 | 46 |
| 9. ვერონა | 32 | 14 | 4 | 14 | 47-52 | 46 |
| 10. ტორინო | 32 | 12 | 9 | 11 | 47-41 | 45 |
| 11. მილანი | 32 | 12 | 9 | 11 | 49-44 | 45 |
| 12. სამპდორია | 32 | 11 | 8 | 13 | 40-45 | 41 |
| 13. ჯენოა | 32 | 10 | 9 | 13 | 35-41 | 39 |
| 14. უდინეზე | 32 | 11 | 5 | 16 | 35-44 | 38 |
| 15. კალიარი | 32 | 7 | 11 | 14 | 30-44 | 32 |
| 16. კიევო | 32 | 7 | 6 | 19 | 26-47 | 27 |
| 17. ბოლონია | 32 | 5 | 12 | 15 | 26-50 | 27 |
| 18. ლივორნო | 32 | 6 | 7 | 19 | 34-60 | 25 |
| 19. სასუოლო | 32 | 6 | 6 | 20 | 31-61 | 24 |
| 20. კატანია | 32 | 4 | 8 | 20 | 24-57 | 20 |

**ბომბარდირები:** 18 - კარლოს ტევესი (იუვენტუსი), ჩირო იმობილე (ჯენოა); 15 - მატია დესტრო (რომა); 14 - ჯუზეპე როსი (ფიორენტინა), გონსალო იგუაინი (ნაპოლი), როდრიგო პალასიო (ინტერი), ლუკა ტონი (ვერონა)

● ინგლისი. პრემიერლიგა. XXXIII ტური

**ტოტენჰემი–სანდერლენდი 5:1**

**გოლები:** 0:1 კატერმოული (17), 1:1 ადებაიორი (28), 2:1 კეინი (59), 3:1 ერიქსენი (71), 4:1 ადებაიორი (86), 5:1 სიგურდსონი (90+2)

**ტოტენჰემი (4-4-2):** ლორისი - ნაუტონი, კირიკეში, კაბული, როუზი - პაულინიო (88. ველიკოვიჩი), ერიქსენი, შადლი (82. სიგურდსონი), ლენონი (84. ტაუნსენდი) - კეინი, ადებაიორი

**სანდერლენდი (4-5-1):** მანონე - ბერდსლი, კუელიარი (72. გარდნერი), ბრაუნი, ალონსო - ბრიდკატი, ვერხინი, კატერმოული (72. სკოკო), ა. ჯონსონი, კი - ბორინი

**გაფრთხილება:** - ალონსო, კატერმოული

**კარში დარტყმა:** 29-8 (11-4) **კუთხური:** 8-2 **თამაშგარე:** 2-4 **ჯარიმა:** 12-8 **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 36 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 33 | 23 | 5 | 5 | 90-40 | 74 |
| 2. ჩელსი | 33 | 22 | 6 | 5 | 65-24 | 72 |
| 3. სიტი | 31 | 22 | 4 | 5 | 84-29 | 70 |
| 4. არსენალი | 33 | 19 | 7 | 7 | 56-40 | 64 |
| 5. ევერტონი | 32 | 18 | 9 | 5 | 52-31 | 63 |
| 6. ტოტენჰემი | 33 | 18 | 5 | 10 | 45-45 | 59 |
| 7. იუნაიტედი | 33 | 17 | 6 | 10 | 56-38 | 57 |
| 8. საუთჰემპტონი | 33 | 13 | 9 | 11 | 50-44 | 48 |
| 9. ნიუკასლი | 33 | 14 | 4 | 15 | 38-51 | 46 |
| 10. სტოკი | 33 | 10 | 10 | 13 | 37-48 | 40 |
| 11. ვესტ ჰემი | 33 | 10 | 7 | 16 | 37-44 | 37 |
| 12. ჰალი | 33 | 10 | 6 | 17 | 34-40 | 36 |
| 13. ასტონ ვილა | 32 | 9 | 7 | 16 | 35-48 | 34 |
| 14. კრ. პალასი | 32 | 10 | 4 | 18 | 23-39 | 34 |
| 15. სუონსი | 33 | 8 | 9 | 16 | 45-49 | 33 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 32 | 6 | 14 | 12 | 37-48 | 32 |
| 17. ნორვიჩი | 33 | 8 | 8 | 17 | 26-52 | 32 |
| 18. ფულჰემი | 33 | 8 | 3 | 22 | 33-74 | 27 |
| 19. კარდიფი | 33 | 6 | 8 | 19 | 29-64 | 26 |
| 20. სანდერლენდი | 31 | 6 | 7 | 18 | 29-53 | 25 |

**ბომბარდირები:** 29 - ლუის სუარესი (ლივერპული), 20 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), 18 - იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

80
ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა. ტორნეო ფინალი. XII ტური

# ჩემპიონი გალიდერდა



„როსარიომ“ „ნიუელსს“ სტუმრადაც მოუგო

**ტორნეო ფინალის მე-12 ტური უცნაური გამოდგა - წააგო ჩემპიონატის პირველმა ოთხმა გუნდმა, რის გამოც პირველ პოზიციაზე „სან ლორენსო“ გადავიდა, რომელიც „კოლონს“ წამოეწია. დუეტის დაწევის შანსი ჰქონდა „ესტუდიანტესსაც“, რომელიც თავის შეხვედრას გამთენიისას მართავდა...**

ყველაზე მოულოდნელი „ველეს სარსფილდის“ ნაგება იყო, რომელმაც ბოლო ადგილზე მყოფ „რასინგს“ 90 წუთის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხა, არბიტრის მიერ დამატებულ მეორე წუთზე კი აქეთ გაუშვა. შეხვედრის გმირი **ლუსიანო ვიეტო** გახდა, ვინც ტორნეო ფინალში თავისი მესამე გოლი გაიტანა და საკუთარ გუნდს „ველესთან“ 2010 წლის შემდეგ (1 ფრე, 6 წაგება) პირველად მოაგებინა.

„ლანუსის“ და „კოლონის“ შეხვედრა კი მოსალოდნელი შედეგით დასრულდა - ფავორიტმა ლიდერი დაამარცხა. აქამდეც არაერთხელ გვითქვამს, რომ „კოლონის“ პირველ პოზიციაზე ყოფნა ამ ჩემპიონატის მთავარი სენსაციაა. ამ გუნდმა ხომ ტორნეო ინისიალში სულ 12 ქულა მოაგროვა და ბოლო ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, ახალი პირველობის დაწყების წინ, გუნდიდან ყველა გამოცდილი ფეხბურთელი წავიდა და სანტა ფეს წარმომადგენელი სულ ახალგაზრდა მოთამაშეების ამარა დარჩა. „ლანუსთან“ გამართული მატჩის ერთადერთი გოლი შეხვედრის დებიუტში, მეორე წუთზე გავიდა, როდესაც პარაგვაის ნაკრების წევრმა **ვიქტორ აიალამ** ჯარიმა შეასრულა და ხერმან მონტოიას (სტუმართა ლამის ერთადერთი გამოცდილი მოთამაშე) ბურთის მოგერიების შანსი არ დაუტოვა.

გალიდერებულმა „სან ლორენსომ“ კი ურთულესი მატჩი მოიგო. **ედგარდო ბაუსას** გუნდი ლამის მთელი მატჩის განმავლობაში მარცხდებოდა, მაგრამ შეხვედრის ბოლო 10 წუთში სტუმრებმა „ოლ ბოისს“ ორი გოლი გაუტანეს და შინ სამი ქულით დაბრუნდნენ.

## ბოკა და რივერი

ცალკე უნდა ვთქვათ „ბოკას“ და „რივერის“ თამაშებზე. **კარლოს ბიანკის** გუნდმა ამ ტურნირის ერთ-ერთი ლიდერი და ამავე დროს, გადარჩენისთვის მებრძოლი „გოდოი კრუსი“ გაანადგურა. ერთი გოლი **ხუან რომან რიკელმემ** გაიტანა, დუბლი კი **ემანუელ ჟიგლიოტიმ** შეასრულა, ვინც ერთი ბურთი, რიკელმეს მსგავსად, 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა.

„ბელგრანოს“ და „რივერ პლეიტის“ დაპირისპირებებს კი ცალკე ისტორია აქვთ. შეგახსენებთ, რომ არგენტინული ფეხბურთის გრანდი პრიმერა დივიზიონიდან სწორედ „ბელგრანომ“ გააგდო, რომელმაც „რივერს“ პლეი ოფში მოუგო. უმაღლეს ლიგაში დაბრუნების შემდეგ, „რივერს“ პირველი მატჩი სწორედ „ბელგრანოსთან“ ჰქონდა. გულშემატკივრები საყვარელი კლუბის ფეხბურთელებისგან რევანშის აღებას ითხოვდნენ, მაგრამ არგენტინის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი პირთამდე გადაჭედილ „მონუმენტალზე“ დამარცხდა და მორიგი სირცხვილი ჭამა. როგორც ხედავთ, „რივერს“ „ბელგრანოსთან“ განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდა.

გამორჩეული იყო ამ გუნდების მატჩი ტორნეო ინისიალშიც, რომელიც 0:0 კი დასრულდა, მაგრამ იმდენი საგოლე მომენტი შეიქმნა, რომ წესით, „რივერს“ 4-5-ბურთიანი სხვაობით უნდა მოეგო. ამჯერად, მეტოქესთან გამარჯვების შემთხვევაში, **რამონ დიასის** გუნდი გალიდერდებოდა, მაგრამ „ბელგრანომ“ „ლოს მილიონარიოსის“ გულშემატკივრები კიდევ ერთხელ გაამწარა და სტუმარს 2:1 მოუგო. გადამწყვეტი **მარსელო ბაროვეროს** შეცდომა გამოდგა - „რივერის“ კარის დარაჯმა საკუთარ კარში გაიტანა და გუნდს, საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, პირველ ადგილზე გადასვლის შანსი დაუკარგა.

## დერბი

ტურის გამორჩეული შეხვედრა კი როსარიოში გაიმართა, სადაც ერთმანეთს „ნიუელს ოლდ ბოისი“ და „როსარიო“ დაუპირისპირდნენ. ვინც არ იცით, გეტყვით, რომ ეს არის ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული და გამორჩეული დერბი არგენტინაში. ამის დასადასტურებლად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ რამდენიმე წლის წინ, როსარიოში მყოფ **ლიონელ მესის**, „როსარიოს“ გულშემატკივარმა სილა გაანა, რადგან მესი 13 წლამდე „ნიუელსის“ სკოლაში თამაშობდა.

ფავორიტად მასპინძლები მიიჩნეოდნენ, მაგრამ ისევე როგორც ტორნეო ფინალში, გამარჯვება ამჯერადაც „როსარიოს“ დარჩა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის დებიუტში **ფრანკო ნილმა** გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „ნიუელსს“ თანაქალაქელი 2008 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია და მისი მოუგებელი სერია უკვე 5 შეხვედრას ითვლის.

**ლანუსი-კოლონი** 1:0
**გოლი:** 1:0 ვ. აიალა (2)

**ველესი-რასინგი** 0:1
**გოლი:** 0:1 ვიეტო (90)

**ნიუელსი-როსარიო** 0:1
**გოლი:** 0:1 ნილი (47)

**ატლ. რაფაელა-კილმესი** 2:2
**გოლები:** 1:0 როდალესი (40), 2:0 ნისი (46), 2:1 ს. მარტინესი (67), 2:2 ლემა (71)

**ოლ ბოისი-სან ლორენსო** 1:2
**გოლები:** 1:0 კამპორა (17), 1:1 მატოსი (83), 1:2 კანემანი (88)

**არსენალი-ტიგრე** 0:1
**გოლი:** 0:1 ს. არაუხო (84)

**ბოკა-გოდოი კრუსი** 3:0
**გოლები:** 1:0 რიკელმე (8-პენ), 2:0 ჟიგლიოტი (49), 3:0 ჟიგლიოტი (82-პენ)
**გაძევება:** კარანსა (80. გოდოი კრუსი)

**ბელგრანო-რივერი** 2:1
**გოლები:** 1:0 ხ. ველასკესი (14), 1:1 ტ. გუტიერესი (17), 2:1 ბაროვერო (85-საკ. კარში)

**ოლიმპო-ხიმნასია** გადაიდო

**ესტუდიანტ.-არ. ხუნიორსი** გვ. დასრ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ლორენსო | 12 | 6 | 3 | 3 | 14-10 | 21 |
| 2. კოლონი | 12 | 6 | 3 | 3 | 10-7 | 21 |
| 3. ველესი | 12 | 6 | 2 | 4 | 22-16 | 20 |
| 4. რივერი | 12 | 6 | 2 | 4 | 14-12 | 20 |
| 5. გოდოი კრუსი | 12 | 5 | 4 | 3 | 13-11 | 19 |
| 6. ლანუსი | 12 | 6 | 1 | 5 | 13-15 | 19 |
| 7. ესტუდიანტესი | 11 | 4 | 6 | 1 | 10-7 | 18 |
| 8. როსარიო | 12 | 5 | 3 | 4 | 14-13 | 18 |
| 9. ბოკა | 12 | 4 | 3 | 5 | 13-11 | 15 |
| 10. ატლ. რაფაელა | 12 | 3 | 6 | 3 | 16-15 | 15 |
| 11. ხიმნასია | 11 | 4 | 3 | 4 | 15-15 | 15 |
| 12. ოლიმპო | 11 | 4 | 3 | 4 | 9-9 | 15 |
| 13. ბელგრანო | 12 | 3 | 6 | 3 | 15-17 | 15 |
| 14. ნიუელსი | 12 | 3 | 5 | 4 | 12-10 | 14 |
| 15. ტიგრე | 12 | 2 | 7 | 3 | 6-8 | 13 |
| 16. ოლ ბოისი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-14 | 13 |
| 17. რასინგი | 12 | 3 | 3 | 6 | 14-16 | 12 |
| 18. არ. ხუნიორსი | 11 | 2 | 6 | 3 | 5-7 | 12 |
| 19. კილმესი | 12 | 3 | 3 | 6 | 8-12 | 12 |
| 20. არსენალი | 12 | 3 | 1 | 8 | 9-16 | 10 |

**ბომბარდირები:** 7 - მ. სარატე (ველეს სარსფილდი); 5 - კარილიო (ესტუდიანტესი), ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი); 4 - ბლანდი (სან ლორენსო), კასტელანი (გოდოი კრუსი), კავენაგი (რივერ პლეიტი), გრასიანი (კოლონი), ობოლო (გოდოი კრუსი), პისკულიჩი (არგენტინოს ხუნიორსი), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა)

გასავარდნი ცხრილი

| | თ | ქ | საშ. |
|---|---|---|---|
| 15. ტიგრე | 107 | 135 | 1.262 |
| 16. კოლონი | 107 | 133 | 1.243 |
| 17. ოლ ბოისი | 107 | 130 | 1.215 |
| 18. გოდოი კრუსი | 107 | 130 | 1.215 |
| 19. კილმესი | 69 | 83 | 1.203 |
| 20. არ. ხუნიორსი | 106 | 123 | 1.160 |

**ტატო ბაციკაძე**

ამბები

## პიუტონი იადონი აღარ არის

შაბათს „კეროუ როუდზე“ „ვესტ ბრომვიჩთან“ მინიმალური ანგარიშით მარცხი ბოლო წვეთი აღმოჩნდა „ნორვიჩის“ ხელმძღვანელთა მოთმინების ფიალაში. კლუბის ვებგვერდის ცნობით, **კრის ჰიუტონი** მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გათავისუფლებულია. 55 წლის ირლანდიელის მემკვიდრეობას დროებით, ალბათ, სეზონის ბოლომდე, „ნორვიჩის“ ახალგაზრდული გუნდის თავკაცი **ნილ ადამსი** ჩაიბარებს. სრულფასოვანი კონტრაქტი ახალ მთავარ მწვრთნელთან მხოლოდ ზაფხულზე გაფორმდება.



კრის ჰიუტონი

ჰიუტონის ყველაზე რეალური შემცვლელის სახელი ბრიტანულმა პრესამ უკვე დაასახელა. ეს არის „სელტიკის“ დამრიგებელი **ნილ ლენონი**, ვინც ჟურნალისტების შეკითხვას დიპლომატიური პასუხი გასცა: *„ჩემთვის პატივია, როცა წარმატებულ მწვრთნელად მიგიჩნევენ და სხვაგან გეპატიჟებიან, თუმცა ამჟამად დიდ კლუბში ვმუშაობ. ახალ ვარიანტებს კარიერის გასაგრძელებლად არ ვეძებ“.*

## პეპე მელმა ჯერ არ იცის



პეპე მელი

„ვესტ ბრომვიჩმა“ **პეპე მელი სტივ კლარკის** შემცვლელად იანვრის პირველ ნახევარში დანიშნა. 51 წლის ესპანელისგან, ალბათ, მეტს ელოდნენ, რადგან გუნდი ჯერაც აუტსაიდერთა რიგებშია. ჩემპიონატის დასრულებამდე სხვაობა გასავარდნ ზონაში მყოფ „ფულჰემთან“ მხოლოდ 5 ქულაა. მართალია, მელს ხელშეკრულება 2015 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული, მაგრამ მან არ იცის, დარჩება თუ არა ინგლისში კიდევ ერთი წლით. *„ამ ეტაპზე მთავარია, ლიგაში ადგილი შევინარჩუნოთ. იმისთვის, რომ კლუბთან მომავალ თანამშრომლობაზე ვიფიქრო, ჯერ ეს საკითხი მაქვს გადასაწყვეტი,“* - აცხადებს გამოცდილი სპეციალისტი.

## ტიმ შერვუდი მიდის

„ტოტენჰემს“ მის წინაშე დასახული ამოცანების გადასაჭრელად უფრო მაღალი დონის მწვრთნელი სჭირდება, ვიდრე **ტიმ შერვუდია**, - ამ მოსაზრებას ინგლისში ხშირად მოისმენდით. ეს ალბათ თავად შერვუდსაც ესმოდა, რადგან მან პირადად აღიარა, რომ კლუბთან თანამშრომლობას სიამოვნებით განაგრძობდა, ოღონდ სხვა პოზიციაზე. და აი, ბრიტანული პრესის ცნობით, უკვე გადაწყდა, რომ მიუხედავად შედეგებისა, „დეზები“ ზაფხულზე ახალ თავკაცს დანიშნავენ. „ტოტენჰემში“ მუშაობას ყველაზე ხშირად **ლუის ვან გაალს** უწინასწარმეტყველებენ. უკანასკნელს ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გუუს ჰიდინკი** შეცვლის.



ტიმ შერვუდი

## კუადრადო იუნაიტედში?

იტალიური „ლა ნაციონეს“ ცნობით, კვირას, „ფიორენტინა“-“უდინეზეს“ შეხვედრას (2:1) „მანჩესტერ იუნაიტედის“ სკაუტები ესწრებოდნენ, რომელთაც ყველაზე მეტად **ხუან კუარდადოს** თამაში აინტერესებდათ. 25 წლის კოლუმბიელს მიმდინარე სეზონში 26 თამაში აქვს ჩატარებული, რომელშიც 6 გოლი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა მიითვალა. ფეხბურთელს „იებთან“ კონტრაქტი 2017 წლის ზაფხულამდე აკავშირებს. „იუნაიტედის“ გარემარბის შეძენა 21 მილიონი ფუნტი დაუჯდება.

## ლესტერის პირველი ნაბიჯი

„ლესტერმა“ 10-წლიანი პაუზის შემდეგ პრემიერლიგის საგზური რომ მოიპოვა, ამაზე გუშინდელ ნომერში უკვე ვწერდით. ხელმძღვანელობამ შემადგენლობის გასაძლიერებლად პირველი ნაბიჯები უკვე გადადგა და „ჩელსის“ ორი ფეხბურთელის იჯარაზე შეუთანხმდა. ლაპარაკია **გაელ კაკუტასა** (22 წლის, მარცხენა გარემარბი, ლაციო) და **პატრიკ ვან აანჰოლტზე** (23 წლის, მარცხენა მცველი, ვიტესი).

## რომეუ ვალენსიაში რჩება

„ვალენსია“ „ჩელსის“ 22 წლის **ორიოლ რომეუს** ერთწლიან იჯარაზე შეუთანხმდა. ესპანელი საყრდენი ამჟამადაც „მესტალიაზე“ თამაშობს, თუმცა ტრავმების გადამკიდეს სეზონის განმავლობაში მხოლოდ 12 თამაში აქვს ჩატარებული. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ფეხბურთელს ლონდონელებთან კონტრაქტში ზუსტად 15 თვე რჩება, გამოდის, რომ „ჩელსი“ მას პრაქტიკულად უფასოდ თმობს.




ორიოლ რომეუ

**ლევან ბიბილაშვილი**

მუნდიალი 2014

# ორის სამუნდიალო იმედი მოკვდა

გუშინ „საუთჰემპტონის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ჯეი როდრიგესის ტრავმა იმდენად სერიოზულია, ინგლისელ ნახევარმცველს მის მოსარჩენად 6 თვე ესაჭიროება. ასე რომ, გაირკვა - ინგლისის ნაკრების კანდიდატი ბრაზილიაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ წავა.

„საუთჰემპტონი“ ადასტურებს, რომ ჯეი როდრიგესს მუხლის ჯვარედინი იოგების სერიოზული ტრავმა აქვს. უახლოეს ხანებში 24 წლის ფეხბურთელი მუხლის ოპერაციას გაიკეთებს. მისი თამაში მსოფლიოს ჩემპიონატზე სამწუხაროდ, გამოირიცხა“.

კოენ კასტელსი ბელგიის ნაკრების მესამე გოლკიპერია. 21 წლის მეკარეს თითქმის გარანტირებული ჰქონდა მუნდიალზე წასვლა, მაგრამ არ დასცალდა - მისმა გერმანულმა კლუბმა „ჰოფენჰაიმმა“ გამოაცხადა, რომ კასტელსმა წვივი მოიტეხა. კვირას კასტელსი „ჰერტას“ შემტევ ადრიან რამოსს შეასკდა. მეკარე უმალვე საავადმყოფოში გააქანეს. მისი მდგომარეობა ახლა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ბელგიელი მუნდიალს მხოლოდ ტელევიზორში თუ უყურებს.



კოენ კასტელსი მოედნიდან გაჰყავთ, მისთვის მუნდიალი არ იქნება

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ინტერვიუ. მიხაელ ბალაკი

# როგორ მოვიგოთ მუნდიალი

**XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული გერმანელი ფეხბურთელი მიხაელ ბალაკია. 37 წლის ბალაკი fifa.com-ს თავის განვლილ გზაზე, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზე და სხვადასხვა საკითხებზე გაესაუბრა და თავისი მოსაზრებები გაგვაცნო.**



მიხაელ ბალაკი

**- მიხაელ, თქვენ კარიერის დასრულება 2012 წლის ოქტომბერში გადაწყვიტეთ და 6 თვის მერე გამოსამშვიდობებელი მატჩი გქონდათ. რამდენად გენატრებათ ფეხბურთი?**

- გამიმართლა იმაში, რომ მენტალურად ეს ამბავი კარგად გადავიტანე. ეს მთავარია მას მერე, რაც წლების განმავლობაში პროფესიონალი ფეხბურთელი ხარ. როგორც ახალგაზრდა მოთამაშე, ძალიან ბევრ მსხვერპლზე მიდიხარ კარიერის დროს, მაგრამ პროცესისგან სიამოვნებას იღებ და ეს შენი ცხოვრებაა. შემდეგ კი, ერთ დღესაც ილვიძებ და ფეხბურთელი აღარ ხარ და არ იცი რეალურად რას უნდა ელოდო. გიჩნდება კითხვები - რა იქნება ახლა? როგორ მივიღებ ამ ამბავს? მართლაც გამიმართლა, რადგან ამ ყველაფრისთვის მზად აღმოვჩნდი. ყოველ შემთხვევაში, ფსიქოლოგიურად. როგორც მინდოდა, გარკვეული პერიოდი დავისვენე. შემდეგ კი დგება მომენტი, როდესაც მზად ხარ იმისთვის, რომ იფიქრო და გადაწყვიტო, გსურს თუ არა ფეხბურთში რაიმე სახით დაბრუნება.

**- მოიფიქრეთ უკვე, რა სახით აპირებთ დაბრუნებას?**

- არა, საკუთარ თავზე ასეთ ზეწოლას არ ვახდენ, ეს ყველაფერი ორიგინალურად უნდა მოხდეს. როდესაც რაიმე მოგინდება და მიხვდები, რომ სიამოვნებას მოგანიჭებს, შემდეგ უნდა გადადგა ნაბიჯი. ამჟამად მშვენივრად ვგრძნობ თავს სხვა რაღაცების კეთებით. თუმცა ფეხბურთი იყო, არის და იქნება ჩემი ცხოვრების დიდი და მნიშვნელოვანი ნაწილი.

**- მსოფლიოს ჩემპიონატამდე 2 თვე რჩება. რას ელოდებით ამ მუნდიალისგან, რომელიც ფეხბურთზე სიგიჟემდე შეყვარებულ ქვეყანაში იმართება?**

- ყველანი დიდებულ ფეხბურთს და ტურნირს ველოდებით. ბრაზილიელებმა ბრწყინვალე ატმოსფერო უნდა შექმნან, რადგან ისინი სუნთქავენ ფეხბურთით და თავის ენთუზიაზმს მსოფლიოს გადასცემენ. ყველა ფანი, რომელიც ბრაზილიაში იქნება თუ ტელევიზორთან, რაღაც განსაკუთრებულს მოელის. ბრაზილიელები ემოციური ადამიანები არიან, ფეხბურთი მათთვის მართლაც ყველაფერია და ფანტასტიკური მუნდიალი უნდა გამოვიდეს. ვინ ცხოვრობს ისევე ფეხბურთით და ფეხბურთისთვის, როგორც ბრაზილიელები? ასე რომ, ისღა დაგვრჩენია დავსხდეთ და დაველოდოთ მსოფლიოს ჩემპიონატს.

**- 2006 წელს გერმანიის ნაკრების წამყვანი მოთამაშე იყავით. რას ნიშნავს ითამაშო ნაკრების შემადგენლობაში მუნდიალზე, თანაც საკუთარ ქვეყანაში?**

- ეს ინდივიდზეა დამოკიდებული. ამისთვის მომზადება რთულია, რადგან ისეთი სიტუაციაა, რომელსაც ვერაფერს შეადარებ. მაღალი დონის ფეხბურთელი ბევრია და მათ შორის ბრაზილიის ნაკრებშიც, მაგრამ მათ საკუთარ კედლებში მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯერ არ უთამაშიათ, ეს რადიკალურად განსხვავებული გამოცდილებაა. რასაკვირველია, მოლოდინი უალრესად დიდია და ფსიქოლოგიური წნეხიც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სანაკრებო შტაბის წევრები იზრუნებენ იმაზე, რომ მოთამაშეები უშუალოდ თავის საქმეზე იყვნენ კონცენტრირებულნი. რაც შეეხება იმ ეიფორიასა და ატმოსფეროს, რომელიც ქვეყანაში იქმნება და ჩვენთანაც იყო, ეს ერთი-ორი პროცენტით დამატებით მოტივაციასაც გაძლევს და დადებითად მოქმედებს.

**- თქვენი აზრით, ბრაზილიას მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ძალუძს?**

- დიახ! ბრაზილიის ნაკრებს ბოლო წლებში გარკვეული პრობლემები ჰქონდა და წარმატების მიღწევას ვერ ახერხებდა, ახლა კი მოლოდინი დიდია და ბრაზილიელებმა კონფედერაციათა თასზეც გვიჩვენეს, რა შეუძლიათ. მასპინძლები ფავორიტებს შორის ნამდვილად არიან.

**- გერმანია ასევე ითვლება ერთ-ერთ ფავორიტად. ამაზე რას იტყვით?**

- სამხრეთ ამერიკაში წარმატების მიღწევა სხვა კონტინენტის წარმომადგენლისთვის ძალიან რთულია. იქ ევროპულ ნაკრებს ჯერ არ უმარჯვია და ამჯერადაც ძნელი იქნება. ესპანეთთან ერთად, გერმანია მართლაც უნდა გამოვარჩიოთ. თუმცა უნდა დაველოდოთ და ვნახოთ, დაამტკიცებენ თუ არა ეს ნაკრებები ამას მინდორზე. გერმანიას თამაშის მხრივ მართლაც საგრძნობი პროგრესი აქვს და იმსახურებს ფავორიტთა შორის ყოფნას. თუმცა ამჯერად დასამტკიცებელი ისიც არის, რომ ნაკრებს გადამწყვეტ მომენტში და მატჩებში, ნახევარფინალში, ფინალში... შეუძლია წარმატების მიღწევა. ამისთვის ცოტა მეტია საჭირო და პატარა იღბალიც. ჩემი აზრით, გერმანიას აქვს მსგავსი პოტენციალი, რადგან ნაკრები უნიჭიერესი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და მიუხედავად სხვა ნაკრებების სიძლიერისა, ფავორიტთა შორის ყოფნას მართლაც იმსახურებს.

**- რამდენიმე წინა დიდ ფორუმზე გერმანიამ ვერ მოახერხა ბოლომდე მისვლა, რისი ბრალია ეს?**

- ამისათვის ბევრი ფაქტორის ერთობლიობაა საჭირო - ბოლომდე შემართული უნდა იყო გამარჯვებისთვის, საჭიროა გუნდური სული და ასევე ინდივიდუალური ოსტატობა. რა თქმა უნდა, იღბლის გარეშე არ გამოვა, ცოტათი ფორტუნამაც უნდა გაგიღიმოს შესაბამის მომენტში და რასაკვირველია, გამოცდილება... დააკვირდით ესპანეთის ნაკრებს, რომელსაც ჰყავს როგორც გამოცდილი, ასევე ახალგაზრდა ფეხბურთელები და ეს სინთეზი ამართლებს. ახალი ფეხბურთელები ყოველთვის განსაკუთრებული შემართებითა და გამარჯვების წყურვილით გამოირჩევიან. ეს ფაქტორები წარმატებისთვის აუცილებელია. როდესაც ამ ყველაფერს გარედან აკვირდები, საუბარი და დასკვნების გაკეთება უფრო მარტივია, ხოლო როდესაც ფეხბურთელი ხარ, ყოველთვის 100%-ით დახარჯვაზე ფიქრობ. თუ საქმე გერმანიის სასიკეთოდ წავა, ამ ნაკრებს ნამდვილად შეუძლია ჩემპიონობა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შემადგენლობაში „ბაიერნისა“ და „დორტმუნდის“ ფეხბურთელები არიან, ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულები, ფინალისტები... მათ ეს თავდაჯერება და გამოცდილება უნდა გამოიყენონ.

**- რას იტყვით ჯგუფზე, რომელშიც გერმანიის გარდა პორტუგალია, განა და აშშ არიან?**

- ადვილი ჯგუფი არ არის, მაგრამ გერმანია ფავორიტია და გავა. პორტუგალია ძალიან ძლიერი ევროპული ნაკრებია, განა ერთ-ერთი საუკეთესოა აფრიკაში, ხოლო აშშ-ს დიდი პროგრესი აქვს იურგენ კლინსმანის ხელში, იგი ფიზიკურად ყოველთვის მაქსიმალურად ამზადებს გუნდს და ფავორიტებისთვის პრობლემების შექმნა შეუძლია.

**- რომელ ნაკრებებს განიხილავთ მთავარ ფავორიტებად?**

- ბოლო ტურნირებზე შთაბეჭდილება მოახდინა ესპანეთმა, რომელიც მოქმედი ჩემპიონია. ასევე იტალიამ, რომელთანაც გერმანიას ყოველთვის უჭირს. გამოვარჩევდი საფრანგეთსაც, რომელმაც პრობლემები დაძლია და ტურნირს კარგ ფორმაში ხვდება. გარდა ამისა, ბრაზილიასთან ერთად სამხრეთამერიკულ ნაკრებებს არგენტინასა და ჩილეს შეუძლიათ წარმატებით გამოსვლა, რადგან საკუთარ კონტინენტზე თამაში მათ დამატებით უპირატესობას აძლევს.

**- 2002 წლის მუნდიალის ნახევარფინალში თქვენ ყვითელი ბარათი მიიღეთ, რის გამოც ფინალი გამოტოვეთ. რას გრძნობდით მაშინ?**

- როდესაც ასეთი რამე ხდება, თითქოს უმალვე თვალებში გიბნელდება... რასაკვირველია, დამწუხრებული ვიყავი, მაგრამ დანარჩენი გუნდის წარმატება მიხაროდა და ცხადია, მხურვალედ ვგულშემატკივრობდი მას. ერთი კვირის, თვის, წლის შემდეგ, როდესაც იაზრებ, თუ რა რთულია ფინალში გასვლა, ისევ ხვდები რა გამოტოვე. ეს დიდი უიღბლობა იყო, მაგრამ ფეხბურთი ასეთია და ეს უნდა მივიღოთ. როგორც ნამდვილმა პროფესიონალმა უნდა მიიღო ის, რაც ხდება, მაგრამ უშუალოდ იმ მომენტში, ეს ძალიან ძნელი გადასატანი გახლდათ.

**- კარიერის განმავლობაში არაერთ მაღალი დონის მწვრთნელთან გიმუშავიათ, რომელმა მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი გავლენა?**

- ამაში მართლაც გამიმართლა. ყველასგან რაღაც ვისწავლე. ზოგადად, როდესაც ახალგაზრდა ხარ, ყველაზე მეტს მაშინ სწავლობ და ყალიბდები, როგორც ფეხბურთელი. ხოლო ასაკში, როდესაც 30 წელს უახლოვდები ან ახალი გადაბიჯებული გაქვს, უკვე პროფესიონალი ხარ. ძალიან ბევრი ვისწავლე კრისტოფ დაუმისგან, რომელიც „ლევერკუზენში“ იყო ჩემი მწვრთნელი, სადაც მაღალ დონეზე თამაში დავიწყე. სწორედ იქ ვისწავლე თუ, როგორია ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე ბრძოლა და გამიმართლა, რომ კარგი მწვრთნელი მყავდა. დაუმის ძალიან მადლიერი ვარ.

**- სად იქნებით მსოფლიოს ჩემპიონატის დროს?**

- ბრაზილიაში ვიქნები, კერძოდ რიო დე ჟანეიროში, ESPN-ის წამყვანად ვიმუშავებ. ეს საოცარი, მუდამ ცოცხალი ქალაქია. ვერც კი წარმომიდგენია ამაზე უკეთესი ადგილი, როდესაც მუნდიალი დაიწყება.

გვერდი მოამზადა
**გიორგი პაპაბაძემ**

### დოსიე
### მიხაელ ბალაკი

**დაიბადა:** 1976 წ.
**ადგილი:** გიორლიცი (აღმ. გერმანია)
**სიმაღლე:** 189 სმ.
**პოზიცია:** ნახევარმცველი
**კარიერა:** 1995-2012 - „ხემნიცერი“, „კაიზერსლაუტერნი“, „ლევერკუზენი“, „ბაიერნი“, „ჩელსი“, „ლევერკუზენი“.
გერმანიის ნაკრები: 98 თამაში, 42 გოლი
**ტიტულები:** ბუნდესლიგის ჩემპიონი (4), გერმანიის თასი (3), გერმანიის ლიგის თასი, ინგლისის ლიგის თასი, ინგლისის ასოციაციის თასი (3), გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელი (3)

## ამბები




ხავი გარსია და ედინ ჯეკო „ინტერში“ გადავლენ

### ნმენდა ინტერში

მილანის „ინტერში“ რომ დიდი რეორგანიზაციაა მოსალოდნელი, უკვე გაცვეთილი თემაა და კარგად მოგეხსენებათ. ახლა კი „ლა გაძეტა დელო სპორტი“ იმ ფეხბურთელების ნაწილს აამჟღავნებს, რომელთა გაშვებაც და მოყვანაც სურს „ნერაძურის“, ავტორიტეტული გამოცემის წყაროების მიხედვით, როგორც ირკვევა, მილანელები მზად არიან მაინც შეელიონ **ფრედი გუარინს**, არადა, კოლუმბიელი ბოლო წამს „იუვენტუსში“ აღარ გაუშვეს და თითქოს მისი შენარჩუნება სურდათ. გარდა ამისა, წამსვლელთა სიაში იმყოფებიან **სამირ ჰანდანოვიჩი, ზდრავკო კუზმანოვიჩი** და **რიკარდო ალვარესი**. რაც შეეხება მომსვლელთა კანდიდატურებს, ნუსხა შემდეგნაირია - **ედინ ჯეკო** და **ხავი გარსია** (ორივე „სიტი“), **კრისტიან ბენტეკე** („ასტონ ვილა“), **კაზემირო** („რეალი“) და **ჯონ ობი მიკელი** („ჩელსი“).

### რაცს დისკვალიფიკაცია ემუქრება

„რაიო ვალეკანოს“ რუმინელ ლეგიონერს **რაზვან რაცს** 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. „სელტასთან“ შეხვედრისას მან ვიგოელთა თავდამსხმელს **შარლეს დიასს** თავი ჩაარტყა. ინციდენტი მატჩის 64-ე წუთზე მოხდა და 32 წლის რაცმა წითელი ბარათიც მიიღო, ახლა კი რუმინელს დიდი ალბათობით, არც დისციპლინარული კომიტეტის სასჯელი აცდება და სავარაუდოდ, 4 თამაშის გამოტოვება მოუწევს.

### დამნაშავეა თუ არა დესტრო?

„რომას“ ფორვარდმა **მატია დესტრომ** „კალიარისთან“ შეხვედრაში გაიბრწყინა და ჰეთთრიქი შეასრულა. თუმცა იყო უსაიმოვნო ინციდენტიც, როდესაც მან თითქოს განგებ ჩაარტყა ხელი სარდინიელთა მცველს **დავიდე ასტორის**, მაგრამ არბიტრს იგი არ გაუძევებია. სამაგიეროდ, შესაძლოა, დისციპლინარული კომიტეტისგან არ აცდეს დისკვალიფიკაცია, მას მერე, რაც სპეციალური კომისია ვიდეოჩანაწერს ნახავს. მსგავსი უხეშობისთვის მიმდინარე სეზონში „რომას“ უკვე ჰყავდა 3 მატჩით დისკვალიფიცირებული **დანიელე დე როსი**.

### ძოლა შეიძლება ლიდსში დაინიშნოს

**ჯანფრანკო ძოლა** შესაძლოა, „ლიდსის“ მთავარი მწვრთნელი გახდეს. სხვადასხვა სირთულეების შემდეგ, ინგლისური კლუბი **მასიმო ჩელინომ** მაინც ჩაიგდო ხელში და ბევრი რამის შეცვლას აპირებს. ერთ-ერთი პირველი კი, ვისაც იგი შეცვლის, ამჟამინდელი მწვრთნელი **ბრაიან მაკდერმოტი** იქნება. სხვათა შორის, ჩელინო საინტერესო ინციდენტს დააფიქსირებს თუ უახლოეს დღეებში ოფიციალურად გაათავისუფლებს მაკდერმოტს და ამ ისედაც გარდაუვალ ნაბიჯს სამომავლოდ არ გადადებს და გადადგამს, საქმე ისაა, რომ ჩელინომ „რომასთან“ ნაგების მერე პოსტიდან დაითხოვა „კალიარის“ ურუგვაელი თავკაცი **დიეგო ლოპესი** და მას შეუძლია გახდეს პრეზიდენტი, რომელმაც ერთ კვირაში ორი სხვადასხვა კლუბის მწვრთნელი მოხსნა.

## ესპანეთი. ლა ლიგა. XXXII ტური

**ლევანტე–ბილბაო 1:2**

**გოლები:** 0:1 ადურისი (15), 0:2 ადურისი (45), 1:2 სან ხოსე (66-საკ. კარში)

**ლევანტე** (4-2-3-1): კ. ნავასი - ვინტრა (46. პედრო ლოპესი), ექტორ როდასი, ხუანფრანი, ელ ადუა - სიმაო ჟუნიორი, პ. დიოპი (46. სერჟიუ პინტუ) - სუმეტრა (76. ბ. დიავარა), ვიქტორი, რუბენ გარსია - ბარალი

**ბილბაო** (4-2-3-1): ირაისოსი - დე მარკოსი, სან ხოსე, ეჩეიტა, ბალენსიაგა - იტურასპე, მიკელ რიკო (31. ერიკ მორანი) - სუსაეტა (86. ტოკერო), ანდერ ერერა (79. ბენიატი), მუნიაინი - ადურისი

**გამოუყენებელი პენალტი:** სან ხოსე (12. ბილბაო)

**გაფრთხილება:** რუბენ გარსია, ვიქტორი-ბარალი - ერიკ მორანი

**გაძევება:** ბარალი (90. ლევანტე, თამაშის დასრულების შემდეგ)

**კუთხური:** 2-5; **ჯარიმა:** 17-16; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 11-13 (2-5); **ბურთის ფლობა:** 44%-56%

**მაყურებელი:** 17 245

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 32 | 25 | 4 | 3 | 70-22 | 79 |
| 2. ბარსელონა | 32 | 25 | 3 | 4 | 92-26 | 78 |
| 3. რეალი | 32 | 24 | 4 | 4 | 90-32 | 76 |
| 4. ბილბაო | 32 | 17 | 8 | 7 | 55-35 | 59 |
| 5. სევილია | 32 | 15 | 8 | 9 | 59-47 | 53 |
| 6. სოსიედადი | 32 | 14 | 8 | 10 | 54-48 | 50 |
| 7. ვილიარეალი | 32 | 14 | 7 | 11 | 51-38 | 49 |
| 8. ვალენსია | 32 | 11 | 8 | 13 | 44-45 | 41 |
| 9. ესპანიოლი | 32 | 11 | 7 | 14 | 35-40 | 40 |
| 10. ლევანტე | 32 | 10 | 10 | 12 | 30-40 | 40 |
| 11. მალაგა | 32 | 10 | 8 | 14 | 35-40 | 38 |
| 12. ვალეკანო | 32 | 11 | 3 | 18 | 37-68 | 36 |
| 13. სელტა | 32 | 10 | 6 | 16 | 34-47 | 36 |
| 14. ელჩე | 32 | 8 | 11 | 13 | 26-42 | 35 |
| 15. გრანადა | 32 | 10 | 4 | 18 | 29-46 | 34 |
| 16. ოსასუნა | 32 | 9 | 6 | 17 | 28-53 | 33 |
| 17. ხეტაფე | 32 | 8 | 7 | 17 | 29-49 | 31 |
| 18. ვალიადოლიდი | 32 | 6 | 13 | 13 | 32-50 | 31 |
| 19. ალმერია | 32 | 8 | 6 | 18 | 34-60 | 30 |
| 20. ბეტისი | 32 | 5 | 7 | 20 | 28-64 | 22 |

**ბომბარდირები:** 28 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 25 - დიეგო კოშტა (ატლეტიკო), ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - ქარიმ ბენზემა (რეალი), ალექსის სანჩესი (ბარსელონა); 15 - ანტუან გრიზმანი (სოსიედადი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

● იუვენტუსი

# ბებერი ქალბატონის შავი სია

„გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, „იუვენტუსის“ მწვრთნელ-მესვეურებმა იმ ფეხბურთელების სია შეადგინეს, რომლებიც ზაფხულში დატოვებენ გუნდს. „შავ სიაში“ ხუთი მოთამაშეა: **სიმონე პადოინი, ფედერიკო პელუზო, სებასტიან ჯოვინკო, ფაბიო კვალიარელა** და **მირკო ვუჩინიჩი.**

ფედერიკო პელუზო და სიმონე პადოინი 30-30 წლის ფეხბურთელები არიან, რომლებსაც იშვიათად უწევთ თამაში და ძირითადად მაშინ შედიან მინდორზე, როდესაც „იუვე“ იგებს და ანგარიშის შესანარჩუნებლად ზონების უფრო მყარად გადაკეტვაა საჭირო. ამბობენ, რომ პადოინის გადაბირება „სამპდორიას“ სურს და წესით, პელუზოსაც უნდა გამოუჩნდეს მყიდველი.


სებასტიან ჯოვინკო, ფაბიო კვალიარელა და მირკო ვუჩინიჩი

სებასტიან ჯოვინკო „იუვენტუსის“ აღზრდილია, მაგრამ ვერაფრით გაიხსნა მშობლიურ გუნდში. 27 წლის სება ბევრჯერ იყო განათხოვრებული, ბევრჯერ დაბრუნდა „იუვეში“, მაგრამ თავი ვერაფრით გამოიჩინა. ბოლო ცნობით, ჯოვინკო ისევ „პარმაში“ დაბრუნდება, სადაც ყოველთვის კარგად გრძნობდა თავს.

30 წლის მირკო ვუჩინიჩს ზამთარში უნდა დაეტოვებინა გუნდი, მაგრამ „ინტერში“ თითქმის გაჩარხული ტრანსფერი ჩაიშალა. აშკარაა, რომ ტურინულ გრანდში მირკოს ადგილი არ არის და უმჯობესია, სხვაგან წასვლაზე იზრუნოს. რთული სათქმელია, კიდევ სურთ თუ არა „ინტერისტებს“ ვუჩინიჩი და ვნახოთ, როგორ განვითარდება ჩერნოგორიელი ფორვარდის კარიერა.

მიმდინარე სეზონში, 31 წლის ფაბიო კვალიარელამ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა და „იუვეს“ წარმატებაში მინიმალური წვლილი შეიტანა. **ანტონიო კონტემ** ფაბიო ევროპალიგის განაცხადში არ შეიყვანა, რაც ფეხბურთელისთვის ნათელი გზავნილი იყო - მომდევნო სეზონიდან, კვალიარელას სხვა გუნდის მაისურით ვიხილავთ. დიდი ხანია, ფაბიოს გადაბირება „ლაციოს“ სურს...

**ლაშა ნიკლაური**

● მილანი

# ბერლუსკონიმ 300 მილიონი იუარა

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ცნობის თანახმად, „მილანის“ მფლობელმა **სილვიო ბერლუსკონიმ** კლუბის საკონტროლო პაკეტის გასხვისება არ ისურვა და მაცდური შეთავაზება უარყო. ცნობილმა ბიზნესმენმა, მილიარდელმა **პიტერ ლიმ** დონ სილვიოს 300 მილიონი ევრო შესთავაზა, სანაცვლოდ კი კლუბის 51%-ის დათმობა მოისურვა. ბერლუსკონიმ შეთავაზებაზე უარი განაცხადა და ეს არც პრესასთან დამალა:

*„დიახ, ერთ-ერთ ცნობილ ბიზნესმენს მართლაც ჰქონდა „მილანის“ საკონტროლო პაკეტის შესყიდვის სურვილი, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი. იყო დრო, ეს ადამიანი „ლივერპულის“ და „ვალენსიას“ შეძენას ლამობდა, დღეს კი ჩვენ მოგვადგა. „როსონერის“ ვერავის დავუთმობ, ეს კლუბი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია“.*

იტალიელი სპორტული ჟურნალისტები გვარწმუნებენ, რომ სილვიო ბერლუსკონიმ მაქსიმუმ კლუბის აქციათა 30% გაყიდოს, საკონტროლო პაკეტს კი არაფრით შეელევა.

**ლაშა ნიკლაური**


სილვიო ბერლუსკონის „მილანი“ არ ეთმობა

● ამბები

## პანდევის ბოლო სეზონი ნეაპოლში


გორან პანდევი

თუ „კორიერე დელო სპორტს“ დავუჯერებთ, გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში „ნაპოლის“ **გორან პანდევი** დატოვებს და სხვა გუნდში გადაბარგდება. 30 წლის მაკედონიელი ფორვარდი **რაფა ბენიტესის** მონახაზში არ ჯდება და თავად ფორვარდიც უკმაყოფილოა მისი ამჟამინდელი ყოფით. მიმდინარე სეზონში, გორანმა 25 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 6 გოლი გაიტანა, თუმცა ძირითადად შეცვლაზე უწევდა თამაში.

გავრცელებული ინფორმაციით, ნეაპოლელები გუნდის გაახალგაზრდავებას ფიქრობენ და რამდენიმე შემტევს უმიზნებენ. **აურელიო დე ლაურენტისის** ერთ-ერთი მთავარი სამიზნე **მაქსიმ გონალონი** ყოფილა, რომელიც ფრანგულ „ლიონში“ ასპარეზობს. ითქვა ისიც, რომ რაფა ბენიტესს „სამპდორიადან“ 22 წლის შემტევის, **მანოლო გაბიადინის** გადაბირება სურს.

## მაროტა დე ლაურენტისს არ ეთანხმება

ბოლო დღეებია, „ნაპოლის“ პრეზიდენტი **აურელიო დე ლაურენტისი** ყურადღების ცენტრშია. ნეაპოლური კლუბის მფლობელი ინიციატივით გამოვიდა, რომ სერია A-ში საკამათო ეპიზოდების დროს ვიდეო-გამეორება გამოიყენონ, სტადიონების შესაბამისი ტექნიკით აღჭურვა კი საკუთარ თავზე აიღო. სენიორ დე ლაურენტისის თქმით, თუ „ლეგა კალჩო“ მის ინიციატივას მხარს დაუჭერს, ხარჯებს მთლიანად დაფარავს. ამ იდეას დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მეტწილად, უარყოფითი - როგორც ჩანს, იტალიაში კონსერვატული მიდგომა მძლავრობს და სიახლეებს ერიდებიან. აი, რა განაცხადა „იუვენტუსის“ სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ**:


აურელიო დე ლაურენტისს იდეა დაუწუნეს

*„დე ლაურენტისის იდეას ნამდვილად ვერ მივემხრობი, რადგან ვფიქრობ, რომ ვიდეო-გამეორება მხოლოდ შებლალავს ისეთ დიდებულ თამაშს, როგორიც ფეხბურთია. სპორტის უპირველეს სახეობას დინამიკა მოაკლდება, ეს კი არავის გვჭირდება. თანაც, ხშირად ვიდეო-ფირითაც შეუძლებელია ზუსტი ინფორმაციის მიღება. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, საკამათო გოლის დროს შეიძლება გამეორების ნახვა, მაგრამ დიდად არც ეს იდეა მომწონს. ფეხბურთი უნდა დარჩეს ისეთივე ბუნებრივი, როგორიც ათწლეულების განმავლობაში იყო“.*

**ლაშა ნიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩების წინ

## დორტმუნდი VS რეალი:
# რონალდოთი თუ მის გარეშე

08.04. დორტმუნდი
სიგნალ იდუნა პარკი
22:45

**დორტმუნდი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაში | |
|---|---|
| +3=0-3 | +5=1-0 |

არბიტრი
დამირ სკომინა (სლო)
I მატჩი: 0:3

**რეალი**

**სავარაუდო შემადგენლობები**

დორტმუნდი: ვაიდენფელერი; სოკრატისი, პუმელსი, პიშჩეკი, დურმი; იოიჩი, შაჰინი; მხითარიანი; გროსკროიტცი, როისი; ლევანდოვსკი

რეალი: მორატა, ბენზემა, ბეილი; დი მარია, მოდრიჩი, ჩაბი ალონსო; კოენტრაო, კარვახალი; ს. რამოსი, პეპე; კასილიასი

**დისკვალიფიკაცია:** კელი -
**ტრავმა:** ბანდოვსკი, ბენდერი, ბლაშჩიკოვსკი, გიუნდოგანი, შმელცერი, სუბოტიჩი - არბელოა, ხესე, ხედირა, მარსელო, რონალდო (?)

**პრესკონფერენციაზე მადრიდის „რეალის" თავკაცმა კარლო ანჩელოტიმ კი თქვა, რონალდოს საკითხს მატჩის წინ გადავწყვეტო, მაგრამ ისეთი პირი უჩანს, კრიშტიანო ვერ ითამაშებს საპასუხო მატჩში, რადგან „სიგნალ იდუნა პარკზე" ვარჯიში მალევე შეწყვიტა, ფეხში ტკივილი იგრძნო. მაგრამ პორტუგალიელის გარეშეც „სამეფო კლუბს" უზარმაზარი უპირატესობა აქვს...**

### მატჩის წინ

**იურგენ კლოპი** (დორტმუნდი): *„ჩვენ მადრიდიდან ისეთი შედეგი ჩამოვიტანეთ, რომელიც დიდ არჩევანს არ გვიტოვებს - როგორც ყოველთვის, ახლაც თავს დავდებთ გამარჯვებისთვის. ვერ გავიგე, რატომ აცხადებს ხალხი, რომ თუკი პირველ ხუთ წუთში გოლი ვერ გავიტანეთ, ჩვენი საქმე 100%-ით წასულია.*

*არ ვიცი, რამდენი სასწაული მომხდარა წინასწარ გამოცხადებით. ჩვენ არ გვაქვს უფლება ახლა ამ სასწაულზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ჩვენ ნამდვილად გვაქვს უფლება, ვიბრძოლოთ ბოლომდე, სანამ შანსი იარსებებს. თუკი ისე ვითამაშებთ, რომ ლიგის მომდევნო ეტაპზე გავალთ, ხომ დიდებული იქნება, თუ არადა, მაშინ ჩემპიონთა ლიგას კარგი თამაშით დავემშვიდობებით.*

*თუკი „რეალთან" თამაშში თავს არ დადებ, სამს კი არა მეტ გოლს გაუშვებ. და მე ეს არ მინდა. მადრიდში ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, შანსები გვქონდა, რომლებიც ვერ გამოვიყენეთ, კარს ცუდად ვიცავდით, ამ ყველაფრის შეცვლა მინდა. ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა. ჩვენ მეორე ტაიმის სპეციალისტებად ვითვლებით და ჩემპიონთა ლიგის საპასუხო მატჩიც ხომ მეორე ტაიმია".*

**კარლო ანჩელოტი** (რეალი): *„რობერტ ლევანდოვსკის დაბრუნება სრულად შეცვლის თამაშის ხასიათს. ყველამ იცის, რა შეუძლია მას, მის თანაგუნდელებს არ უჭირთ ლევანდოვსკის მოძებნა, მოკლედ, პოლონელთან ერთად „დორტმუნდი" უფრო მაღალი კლასის გუნდია.*

*ხვალ გავალთ და ვითამაშებთ საუკეთესოდ. ჩემს ფეხბურთელებს ახალი მოტივაცია არ სჭირდებათ, ჩვენ ერთი ხელის გაწვდენაზე ვართ ნახევარფინალთან, ამაზე კარგი მოტივაცია კი არ არსებობს.*

*რატომ უნდა ვითამაშოთ უფრო დაცვითი ფეხბურთი? მეტოქეს 90 წუთი აქვს 3-4 გოლის გასატანად, ჩვენ კი ამდენივე დრო თუნდაც ერთი გოლისთვის. ის ერთი გოლი კი მეტოქის ამოცანას შეუძლებელს გახდის. რაც მალე გავიტანთ, მით უკეთესი.*

*მთავარია, ბალანსი დავიცვათ დაცვასა და შეტევას შორის, 90 წუთის განმავლობაში ვერ შეგვიტევ. ჩვენ შეგვიძლია ამ დონეზე სეზონის ჩამთავრება".*

### ბოლო მატჩი

**დორტმუნდი:** „ბორუსიამ" ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა და „ვოლფსბურგს" 2:1 მოუგო, მას მერე, რაც პირველი ტაიმი **ივიცა ოლიჩის** გოლით დათმო. მეორე ტაიმში გოლები **რობერტ ლევანდოვსკიმ** და **მარკო როისმა** გაიტანეს.

**რეალი:** „სამეფო კლუბმა" ერთი შეხედვით, რთული გასვლა მოიგო იოლად - სან სებასტიანში „რეალ სოსიედადი" 4:0 გაანადგურა. არ უთამაშია **რონალდოს**, თუმცა გოლები **ასიერ ილიარამენდიმ, გარეთ ბეილმა, პეპემ** და **ალვარო მორატამ** გაიტანეს.

### მთავარი დანაკლისი

**დორტმუნდი:** სებასტიან კელი (დისკვალიფიკაცია)

**რეალი:** კრიშტიანო რონალდო (თუ ვერ ითამაშებს)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

## ჩელსი VS პსჟ:
# ორივე გუნდი მზად არის

08.04. ლონდონი
სტემფორდ ბრიჯი
22:45

**ჩელსი**

| ბოლო 6 მატჩი ლიგაში | |
|---|---|
| +3=1-2 | +4=1-1 |

არბიტრი
პედრო პროენშა (პორ)
I მატჩი: 1:3

**პსჟ**

**სავარაუდო შემადგენლობები**

ჩელსი: ჩეხი; კეჰილი, ტერი, ივანოვიჩი, ასპილიკუეტა; დ. ლუისი, ლამპარდი; შიურლე, ოსკარი, აზარი; ტორესი

პსჟ: კავანი; ლავეცი, ლუკასი; მატუიდი, ვერატი; ტ. მოტა; მაქსველი, ვან დერ ვილი; ტ. სილვა, ალექსი; სირიგუ

**დისკვალიფიკაცია:** რამირესი -
**ტრავმა:** ეტოო (?), შიურლე (?), ვან გინკელი - იბრაჰიმოვიჩი

**ლონდონში დიდი ჯახი გველის, ჟოზე მოურინიოს გუნდს 2-ბურთიანი ჩამორჩენა აქვს „ამოსაქაჩი". „ჩელსის" შეიძლება გაუიოლოს ამოცანა ზლატან იბრაჰიმოვიჩის ტრავმამ, თუმცა არც ედინსონ კავანია ხელწამოსაკრავი...**

### მატჩის წინ

**ჟოზე მოურინიო** (ჩელსი): *„მე მჯერა შემდეგ ეტაპზე გასვლის და აგრეთვე სჯერათ ეს ჩემს ფეხბურთელებს. უმთავრესი კი სწორედ ესაა. ორი ფინალი მაქვს მოგებული და ეს ორი ფინალი ძალიან კარგად მახსოვს.*

*ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ თუ ხვალ პსჟ გავარდება, ეს მათთვის დიდი იმედგაცრუება იქნება, ჩვენს გამოთიშვას კი ბევრი ელის. ჩვენ შეგვიძლია ეს მომენტი გამოვიყენოთ საჩვენოდ. მოკლედ, საღამოს 8-სთვის ჩვენ უნდა მზად ვიყოთ და სახეზე ღიმილით გავიდეთ მოედანზე.*

*ძალიან გვჭირდება ფანების მხარდაჭერა, მაგრამ თუ ჩვენც არ შევუწყეთ ხელი კარგი თამაშით, მათ შემართებას აზრი ეკარგება. როგორც წესი, შინ კარგად ვთამაშობთ. ასე რომ, ხვალ ქომაგი იმედიანად მოვა სტადიონზე. ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენ ნამდვილად შეგვიძლია ფანების გახარება".*

**ლორან ბლანი** (პსჟ): *„ჩვენი მოტივაცია შემდეგ ეტაპზე გასვლაა. არ ვიცი, რამდენი პროცენტით ვართ გასულები და სიმართლე გითხრათ, ამას აზრი ნაკლებად აქვს. ჩვენ ვეთამაშებით ძალიან კარგ გუნდს, პირველი შეხვედრიდან კი შესაბამისი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და ასეც ვიზამთ.*

*ვის ექნება ბურთი? წინასწარ ამის გამოცნობა ძნელია, ეს არის ფეხბურთის ჯადოქრობაც. ვის ექნება უპირატესობა? თამაში გამოაჩენს.*

*პირველ შეხვედრაში ლავეცის ფლანგზე შეექმნა სივრცე, ეს კი მას ძალიან უყვარს. მას სისწრაფე ხელს უწყობს და შეუძლია აფეთქდეს.*

*ვნახოთ, ამ შეხვედრაშიც თუ მოგვეცემა ჩვენი პლუსების გამოყენების შანსი".*


ჟოზე ბიჭებს აგულიანებს

### ბოლო მატჩი

**ჩელსი:** ლონდონელებმა შინ „სტოკ სიტი" გაანადგურეს - 3:0. გოლები **მოჰამედ სალაჰმა** (რომელსაც ლიგაზე თამაში არ შეუძლია), **ფრენკ ლამპარდმა** და **ვილიანმა** გაიტანეს. ბრაზილიელის გოლი ძალზე ლამაზი იყო.

**პსჟ:** „რეიმსს" 3:0 სძლია. „თავი გამოიჩინა" სტუმარმა **აისა მანდიმ**, რომელმაც საკუთარი გოლკიპერი ორჯერ გააწბილა. დიდი ხნის პაუზის მერე გაიტანა **ედინსონ კავანიმ**.

### მთავარი დანაკლისი

**ჩელსი:** სამუელ ეტოო (თუ თამაშს ვერ შეძლებს)

**პსჟ:** ზლატან იბრაჰიმოვიჩი (ტრავმა)

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

---

● არსენალი


„არსენალი" ტიტულზე ფიქრს ეთხოვება

# უკვალოდ გამქრალი ტრადიცია

კრიზისი „არსენალში" თვეზე მეტია, გრძელდება. ჩრდილოლონდონელებს ბოლო 6 ტურში 1 მოგება, 2 ფრე და 3 მარცხი აქვთ. რაც ყველაზე შემაშფოთებელია, „მეთოფეთა" თავკაცმა მორიგი წარუმატებლობის შემდეგაც კი მხოლოდ ის თქვა, რომ მისი შეგირდები არადამაჯერებლად გამოიყურებიან. გუნდში არსებულ არაჯანსაღ ვითარებაზე უკვე ყოფილი „მეთოფეებიც" კი ალაპარაკდნენ. მოდი, ამ თემებს თანმიმდევრობით მივყვეთ. ჯერ **არსენ ვენგერის** მატჩის შემდგომ კომენტარს გავეცნოთ.

- სუსტად ვითამაშეთ როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. იმედი გამიცრუა არა მხოლოდ ანგარიშმა, არამედ იმ ყველაფერმა ერთად, რაც ჩემმა გუნდმა უჩვენა. „ევერტონმა" სრულად დაიმსახურა მოგება, რასაც სულითა და გულით ვულოცავ კიდეც. აუცილებელია, კარგად გავიაზროთ ის, რაც ხდება ჩვენს თავს, რათა მომდევნო თამაშებისთვის მაინც აღმოჩნდეთ მზად. „უიგანთან" ასოციაციის თასზე სულ სხვა გუნდი უნდა გავიდეს სათამაშოდ. სამწუხაროდ, ოთხეულისთვის ბრძოლაში ჩვენ უკვე აღარ ვართ ფავორიტები. ამიერიდან ყველაფერი „ევერტონზეა" დამოკიდებული. მსგავს სიტუაციებში ადრეც ვყოფილვართ. შესაბამისად, ვიცით, რამდენად მნიშვნელოვანია ყოველი მომდევნო მატჩი. დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც პრემიერლიგაში სტუმრად თამაშებში საუკეთესო შედეგი გვქონდა (ამჟამად ამ მაჩვენებლით საუკეთესო „მანჩესტერ იუნაიტედია" 33 ქულით. რედ), თუმცა ბოლო ხანს სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები დაგვეწყო. ნაკლებად გვჯერა საკუთარი თავის, რადგან მიუხედავად ბურთის კონტროლისა, ხიფათს მეტოქის კართან თითქმის ველარ ვქმნით. მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში ჯერ არაფერი გარკვეულა. ამის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. მიზნის მისაღწევად თამაშის ხარისხი უახლოეს მომავალში უნდა გამოვასწოროთ.

### დამსახურებული საყვედური

**ჯორჯ გრემს** „არსენალზე" სიტყვა ყოველთვის ეთქმოდა და ასე იქნება ყოველთვის. სპეციალისტი, ვინც სამწვრთნელო კარიერა 13 წლის წინ დაასრულა, „მეთოფეთა" ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული პერსონაა. დამსახურებულმა ვეტერანმა ჩრდილოლონდონელებს ცხოვრების 15 წელი მიუძღვნა, ჯერ ფეხბურთელის (1966/72), შემდეგ კი მწვრთნელის (1986/95) რანგში. გრემმა „არსენალთან" ერთად 2-ჯერ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი (1989, 1991), 2-ჯერ ლიგის თასი (1987, 1993), თითოჯერ კი ინგლისის სუპერთასი (1991), ასოციაციის თასი (1993) და ისტორიაში პირველი და უკანასკნელი ევროპული ჯილდო - თასების მფლობელთა თასი (1994). აი, რას ამბობს 69 წლის მწვრთნელი დღევანდელ „არსენალზე":

- ეს გუნდი არაკონკურენტუნარიანია. როგორც წესი, პრინციპულ შეხვედრებში პირველივე წუთებზე დაუნდობელ ბრძოლებს ვხედავთ ხოლმე, რაც ხაზს უსვამს მეტოქე გუნდების მოთამაშეთა განწყობას. ამ დროს დაძაბულობა პიკს აღწევს. რას ვხედავთ „არსენალის" შემთხვევაში? არაფერს, დიახ, არაფერს, რადგან ფეხბურთელებს ოდნავადაც არ ეტყობათ მობილიზება, გამარჯვებისკენ სწრაფვა. გუნდი პირველივე წუთებზე მოშვებული გადის მოედანზე და ამას სასწრაფოდ რაღაც უნდა ეშველოს. ვენგერის გუნდები მუდამ გამოირჩეოდნენ შემტევი ფეხბურთით. დღეს ეს ტრადიციაც კი სადღაც უკვალოდ გაქრა. გუნდს ჰყავს რამდენიმე ნიჭიერი ნახევარმცველი, მაგრამ მათგან მხოლოდ აარონ რემსი თამაშობს ფეთქებად ფეხბურთს.

**იან რაიტი** კი პირველია, ავტორიტეტულ არსენალელებს შორის, ვინც პირველად ახსენა სიტყვა „ვენგერის მემკვიდრე". ვეტერანი ფეხბურთელის თქმით, ამისთვის იდეალური კანდიდატურა **რობერტო მარტინესია** და მხოლოდ მას შეუძლია, გუნდი პროგრესის გზას დაუბრუნოს: *„რობერტო პერსპექტიული ახალგაზრდა სპეციალისტია, ვინც ტაქტიკური თვალსაზრისით მეტად განვითარებულია. თუკი ვინმე შემეკითხება, ვინ უნდა ჩაიბაროს ვენგერის მემკვიდრეობა, შეუძლია, ჩემი პასუხი წინასწარ იცოდეს. მესმის, რომ არსებობს ხალხი, ვისაც ვენგერის გარეშე გუნდის მომავალი ვერც კი წარმოუდგენია. ისიც მესმის, რომ კლუბი ამ თემას მეტისმეტად ფრთხილად უნდა მიუდგეს, მაგრამ ახლა „არსენალში" ზუსტად ის პერიოდი დგას, როცა გულშემატკივარი სამომავლო პერსპექტივის ნაცვლად უზარმაზარ სიცარიელეს ხედავს. სეზონის ბოლოს, წესით, კუდი უნდა მოიქნიო, მაგრამ, ვხედავთ, რომ ფეხბურთელები უბრალოდ გამოიფიტნენ".*

**ლევან ბიბილაშვილი**


„არსენალის" კრიტიკას უკვე ჯორჯ გრემიც შეუდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ნაკრები

# დროა განგაშის ზარების!

**ოქროს მედლის მიუხედავად, ქართველი მოჭიდავეების გამოსვლას ფინურ ვანტააში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე წარმატებულს ნამდვილად ვერ დავარქმევთ. შეგახსენებთ, რომ ფინეთში ჩვენებმა ჯამში სამი მედალი მოიპოვეს - 1 ოქრო და 2 ბრინჯაო. აქედან თითო ოქრო-ბრინჯაო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მონაგარია.**

მათგან ევროპის ჩემპიონი თავის წარმატებულ კარიერაში პირველად **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (57) გახდა, ხოლო მესამეზე **კონსტანტინე ხაბალაშვილი** (65) გავიდა, ვინც ეროვნულ ნაკრებში პირველი მედალი მოიპოვა პირველხარისხოვან ტურნირებზე. ბერძენ-რომაელები სრული კრახისგან **გიორგი ცირეკიძემ** (80) იხსნა, ვისთვისაც ეს ბრინჯაო ასევე პირველია.

ეს შედეგი წარმატებულია მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ გვაქვს ოქროს მედალი, თუმცა ჭიდაობის ხარისხი, საერთო მომზადების დონე აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ნამდვილად არ გვინდა ისე მოხდეს, ოქროს ბრწყინვალებამ არსებული პრობლემები გადაფაროს და ნაკლოვანებები არ გამოსწორდეს, როგორც, სამწუხაროდ, ბოლო წლებში სისტემატურად ხდებოდა. 16 კაცისგან 3 მედალი, სადაც უმეტესობა ყველაზე დაბალი ხარისხისაა, განა წარმატებაა ნაკრებისთვის? მით უფრო, ჩვენნაირი საჭიდაო ამბიციების მქონე ქვეყანაში? ევროპის ეს პირველობა საკმაოდ სუსტი ტურნირი აღმოჩნდა - არ ჭიდაობდა ძალიან ბევრი ევროპელი „ვარსკვლავი", უმეტეს წონებში 15-20 მონაწილე თუ გამოდიოდა, მაგრამ ამ ფონზეც კი ვერ მოვიპოვეთ მასშტაბური წარმატება. თვით ხინჩეგაშვილის ჭიდაობაც კი ბევრად მეტის სურვილს ტოვებს, თორემ ფინეთში ნაჩვენები ხარისხით მსოფლიოზე ძალიან გაუჭირდება.

ისევ სუსტი ფიზიკური მომზადება, ისევ ძალიან ბევრი ტექნიკური წუნი, ისევ ნაადრევად დაღლა და შუა პაექრობაში „თეთრი დროშების გადმოფენა" - ძირითადად ეს ხარვეზები ეტყობოდათ ჩვენებს, ძველი და ტრადიციული, დღემდე გამოუსწორებელი პრობლემები. შარშან თუ ამის ერთ-ერთ მიზეზად საზღვარგარეთ გაუვლელი ერთობლივი შეკრებების მიჩნევა შეგვეძლო, წლეულს ბერძენ-რომაელებმა ხომ მაინც გაიარეს ანალოგიური წვრთნები მინსკში?

სამწუხაროდ, ეტყობა, ფიზმომზადებაში კვლავაც მოძველებული სისტემის იმედად ვრჩებით და შედეგიც შესაბამისია. არადა, შევხედოთ, ამ მხრივ როგორ გაგვისწრეს სხვებმა, თუმცა მათ ტაქტიკა-ტექნიკაშიც გვარიანად ჩამოგვიტოვეს. საჭიდაო ილეთები კი არა, ხალხი უკვე აკრობატიკაზე გადავიდა, ისეთი ნახტომებით აკეთებენ ილეთებს, ჩვენების დიდი ნაწილი კი (მათ შორის - ლიდერებიც) ისე ჩაამთავრებენ შეჯიბრებას, ერთ ფანდს ვერ გააკეთებენ. არადა, როგორია - ქართული ჭიდაობის სამშობლოში ფალავანმა ილეთი არ იცოდეს. კიდევ კარგი, გამონაკლისებიც გამოერივნენ, თუმცა ეს იშვიათ შემთხვევებად დარჩა. ბოლო წლების ტენდენციის გათვალისწინებით, ცოტა გასაკვირია, რომ ტექნიკური ჭიდაობით ბერძენ-რომაელებმაც დაგვამახსოვრეს თავი - ცირეკიძემ და, განსაკუთრებით - **ზურაბ დათუნაშვილმა** (75). მან ორჯერ ისეთი უზადო კისრული გააკეთა, „თავისუფლებშიც" კი არ შეუსრულებია ბევრს.

დასამალი არაა, რომ დღეს „თავისუფლებს" უფრო ვარსკლავური თაობა ჰყავთ, სადაც თაობათა ცვლის პროცესიც მიდის. ოღონდ - შედარებით უმტკივნეულოდ. მეტიც - ბოლო ხანებში ისე ხდებოდა, რომ მნიშვნელოვან შეჯიბრებებში ძირითადად დებიუტანტები აღწევდნენ წარმატებებს, ლიდერები კი, ვისგანაც ქომაგი ყველაზე მეტად ელოდა შედეგს, ულიმლამოდ ირჯებოდნენ. ეს უსიამოვნო ტრადიცია ამჯერად დაირღვა და იმ ტიტულოვანი ლიდერებიდან ხინჩეგაშვილი ჩემპიონი გახდა, ევროპის ორგზის ჩემპიონმა, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა პრიზიორმა **დავით მარსაგიშვილმა** (86) და ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურმა მედალოსანმა **დავით მოძმანაშვილმა** (125) ბრინჯაოს მედლისთვის იჭიდავეს, თუმცა წააგეს...

> სამწუხაროდ, ეტყობა, ფიზმომზადებაში კვლავაც მოძველებული სისტემის იმედად ვრჩებით და შედეგიც შესაბამისია.

სამწუხაროდ, მათი გამოსვლა არ იყო შთამბეჭდავი. მოძმანაშვილი ძალიან შებოჭილად ჭიდაობდა, თითქოს მოძრაობა უჭირდა. აზერბაიჯანელ მსოფლიოს პრიზიორ **ჯამალედდინ მაგომედოვთან** მოგების შემდეგ ფრიად მოულოდნელი იყო მისი მარცხი რუს **ალან ხუგაევთან** - ოსი ტიტულებითაც ჩამორჩება დაღესტნელს და - წმინდა საჭიდაო მონაცემებითაც. ამის დასტურად ფინალიც გამოდგება, სადაც უსწრაფესად განადგურდა თურქ **ტაჰა აკგულთან.** ფრიად დასანანი იყო ჩვენებურის წაგება დამამშვიდებლის ფინალში უნგრელ **დანიელ ლიგეტისთან** - არც ხუგაევთან და არც უნგრელთან მოძმანაშვილის ახალგაზრდა კონკურენტები ასე უშანსოდ არ გამოიყურებიან. პირიქით - მათთან ფავორიტებიც არიან.

ეტყობა, მოძმანაშვილს და მარსაგიშვილს ფსიქოლოგიურადაც სჭირდებათ ხელის წაშველება, საგანგებო პროგრამით მომზადება, რათა შეძლონ მობილიზება, გამოიმუშაონ მებრძოლი ხასიათი. მობილიზების არქონა - ესაა მათი მთავარი საფრთხე ლამის ყოველ ტურნირზე. ეს განსაკუთრებით მარსაგიშვილს ეხება. ვფიქრობთ, მას ახლაც ამ სენმა დარია ხელი, თუმცა იყო სხვა, მისთვის სიმპტომური ხარვეზებიც - დაღლა შეხვედრის ბოლოს, კონცენტრაციის დაკარგვა ცალკეულ შეხვედრებში, დაბნევა და უსუსურ მდგომარეობაში გადასვლა პირველივე წინააღმდეგობისას, რაგინდ სუსტი მეტოქეც უნდა ჰყავდეს... ამის ყველაზე ნათელი მაგალითი ოლიმპიადაზე პუერტორიკოელ **ხაიმე ესპინალთან** ვიხილეთ, მაგრამ ახლაც არანაკლები მოუვიდა ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში უნგრელ **იშტვან ვერებთან,** სადაც დასრულებამდე 50 წამით ადრე 5-ქულიანი უპირატესობა გაანიავა. შეიძლება, ასეთი არამდგრადობის მიზეზი ფიზიკური მოუმზადებლობაც იყოს - ყველაზე უკეთ ხომ თავად სპორტსმენი გრძნობს, არის თუ არა მზად და რამდენი აკლია ფორმის პიკამდე, ხოლო როცა უკმაყოფილების გრძნობაა, მაშინ არც თვითრწმენაა. თუმცა რაც უნდა იყოს მიზეზი, ფაქტია - საცოდაობაა, დიდი ტიტულების გარეშე, ცალკეულ გამონათებებად დარჩნენ ისეთი მოჭიდავეები, როგორიც მარსაგიშვილი, იგივე მოძმანაშვილი, **რევაზ ლაშხი** (66) და სხვები არიან.


ოქრო მხოლოდ დავით მარსაგიშვილისაა

მარსაგიშვილთან დაკავშირებით ერთსაც ვიტყვით - მან ძირითად ბადეში რუსთა მომავალ ჩემპიონ **აბდულრაშიდ საიდულაევთან** 0:11 წააგო! გვესმის, რომ მეტოქე ძალიან ძლიერია, მაგრამ არც ჩვენებურია იმდენად სუსტი, ვინმესთან ასე აგებდეს. აქ გავიხსენოთ მისი მარცხი **სოსლან კცოევთან** - 2:11! ვფიქრობთ, ლიდერები ასე არ უნდა აგებდნენ.

არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ის გარემოება, რომ „თავისუფალთა" ორივე მედალოსანი, ხინჩეგაშვილიც და ხაბალაშვილიც ერთი დარბაზის - გორის სკოლის წარმომადგენელია და ორივეს ერთი მწვრთნელი - **ნუგზარ სხირელი** ავარჯიშებს, გარკვეული დასკვნების საფუძველს იძლევა. მართალია, ეს ბიჭები დროის უმეტეს ნაწილს ნაკრებში ატარებენ, მაგრამ ზემოხსენებული გარემოებაც არ გვგონია უმნიშვნელო.

ბერძენ-რომაელთა ნაკრებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ **მანუჩარ ცხადაიას** (71) და დათუნაშვილის მოხსნები, რაც ძალზე საეჭვო გარემოებებში მოხდა, თორემ იქნებ ცოტა უკეთესი შედეგიც ჰქონოდათ. თუმცა აშკარაა, რომ ეს ნაკრებიც მოუმზადებელი შეხვდა სეზონის ერთ-ერთ მთავარ შეჯიბრებას. ამ გუნდის გამოსვლა უფრო ცალკეულმა ფალავნებმა გაალამაზეს, თორემ მთლიანობაში, სასიკეთო სურათი ვერც აქ დავინახეთ. მართალია, აქ დებიუტანტებიც ბლომად იყვნენ, მაგრამ ლიდერებსაც მეტი მოეთხოვებოდათ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქუთაისელი ცირეკიძე, ვინც 28 წლის ასაკში მოიპოვა კარიერის უმთავრესი ჯილდო. **ელგუჯა მარუაშვილის** დაფრთიანებული შეგირდი დღეს თბილისში იმაღლებს ოსტატობას **ვლადიმერ ადეიშვილთან.** ერთხელ მასზე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბეგი დარჩიამ** მითხრა, 80 კილოგრამი წონითი კატეგორია ზედგამოჭრილია მისთვისო და ჩანს, კარგად მოუხდა წონის შეცვლა - არ იკლებს, არ იფიტება და ძალაც ჰყოფნის. ეტყობა, ფიზიკურადაც კარგად იმუშავა და ერთ-ერთი გამორჩეული იყო გუნდში კარგი ფიზიკური მომზადებით, რომელიც ძალისმიერ ილეთებსაც აკეთებდა. მგონი, ერთადერთი იყო ჩვენს ნაკრებში, ჩოქბჯენიდან ხალხის დატრიალება რომ არ უჭირდა, თუმცა დგომიდანაც კარგ გდებებს აკეთებდა.

ერთი სიტყვით, ევროპის ჩემპიონატმა ბლომად საზრუნავი დაგვიტოვა. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ძალიან ბევრი რამაა შესაცვლელი სამწვრთნელო მეთოდიკაში. თან ვითარება სასწრაფოდაა გამოსასწორებელი, თორემ გაისად უკვე ოლიმპიური ლიცენზიები გაიცემა.

ძიუდო. საბერძნეთის ტურნირი

# სალონიკიში მოხვეჭილი მედლები

ამ უქმეებზე სალონიკიში მეექვსედ ჩატარდა ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასი – „ილიადისის თასი", რომელშიც დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი მოზარდები. ქართული დელეგაციის საერთო მონაგარი 12 მედალია - 5-5 ოქრო-ბრინჯაო და 2 ვერცხლი. აქედან 1 ვერცხლი გოგოების მონაგარია, დანარჩენი - ბიჭებისა. ჩვენებმა გაიმარჯვეს საერთო გუნდურ ჩათვლაშიც და უშუალოდ – ბიჭებშიც. საინტერესოა, რომ ბიჭების ნაკრებმა ყველა – რვავე წონაში მოიპოვა მედალი. თანაც, აკლდათ რამდენიმე ლიდერი, რომლებიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად უნგრეთში არიან ერთობლივ შეკრებაზე.

ჩვენმა ბიჭებმა განსაკუთრებული წარმატებით პირველ დღეს – შაბათს იჭიდავეს, როცა ოთხივე წონის ფინალში გვყავდა წარმომადგენელი და აქედან სამმა ოქრო მოიპოვა. ტურნირის ჩემპიონები **თორნიკე ნაგლიაშვილი** (55), **ივანე ჯავახიშვილი** (60), **გიორგი გუგულაშვილი** (66), **უშანგი მარგიანი** (81) და **გუგა კიბორძალიძე** (+100) გახდნენ, **ომარ ნიაზაშვილი** (73) მხოლოდ ფინალში დამარცხდა და ვერცხლს დასჯერდა, **ბექა ვიბლიანი** (66), **ილია მალვენიშვილი, ზაურ მამარდაშვილი** (ორივე – 90), **გიორგი თაყაძე** (100) და **გიგა გელაშვილი** (+100) კი ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ. გოგოებში ფინალში გავიდა და ვერცხლი მოიპოვა **ხატია ჯანაშვილმა** (63), ვინც ასაკით ქაბუკთა ნაკრების წევრია, მაგრამ არც ასაკით უფროსებში შეურცხვენია თავი. ის 17-წლამდელებში ევროპის ჩემპიონ **მარიამ ჯანაშვილის** უმცროსი დაა.



გიგა გელაშვილი (მარცხნივ)

მედლის მოპოვების რეალური შანსი კიდევ რამდენიმე ჩვენებურს ჰქონდა – ბრინჯაოსთვის **კარლო ნემსიწვერიძემ** (100), **სალომე მარგიანმა** (48) და **სალომე მჭედლიშვილმა** (70) იჭიდავეს, მაგრამ წააგეს და მეხუთე ადგილებზე დარჩნენ.

ეს შეჯიბრება 19-21 სექტემბერს ბუქარესტში გასამართი ევროპის პირველობისთვის მონაწილეთა შერჩევას ისახავდა მიზნად და ვფიქრობთ, იმედებიც გაამართლა. ბუნებრივია, ჯერ კიდევ რჩება შესარჩევი შეჯიბრებები და გუნდი გამოვლენილი ნამდვილად არაა, მაგრამ ეს შედეგები საორიენტაციოდ უთუოდ გამოდგება. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გია გუგავამ** რამდენიმე გამონაკლისის გარდა, უმეტეს წონებში 2-2 კონკურენტი წაიყვანა და ამ შედეგებით არჩევანი ბევრად გაუიოლდება. ბიჭების ნაკრებში ბევრი იყო ჭაბუკებიდან გადმოსული. დიდმა ნაწილმა წარმატებითაც იჭიდავა და სერიოზული პრეტენზია განაცხადა წონის ლიდერობაზე.

იყო რამდენიმე საყურადღებო ფაქტორიც. მაგალითად, თაყაძემ გერმანელ **ლეონ შტრუბერს** მოუგო. არადა, მასთან პაექრობა შარშან **გურამ თუშიშვილსაც** გაუჭირდა – თანატოლთა ევროპირველობაზე დიდი გაჭირვებით მოუგო, მაგრამ გერმანელმა მსოფლიოზე რევანში აუღო. ასევე სასიამოვნო ფაქტი იყო მძიმე წონის ორივე ნახევარფინალურ წყვილში ქართველთა მონაწილეობა. აღსანიშნავია მარგიანის კარგი გამოსვლაც – ნახევარფინალის გარდა, მან დანარჩენი ხუთი პაექრობა ფინალითურთ იპონებით მოიგო. თუმცა ეს არცაა გასაკვირი – ის ხომ მსოფლიოს ვიცე და ევროპის ჩემპიონ **ავთანდილ ჭრიკიშვილს** უქმნის პრობლემებს და ამერიკელ ოლიმპიადის მეხუთეადგილოსან **ტრევის სტევენსს** ლამის ტოლ-სწორად ეჭიდავება. უბრალოდ, სასიამოვნოა, ასე სტაბილურად, ჩავარდნის გარეშე რომ ატარებს სეზონს.

ასევე მისასალმებელია გოგოებში მოპოვებული მედალიც. ჯანაშვილმა ნახევარფინალში ჩერნოგორიელ **მარიანა მილიჩს** იპონით მოუგო, ფინალი კი მასპინძელ **ელიზავეტ ტელციდოუსთან** დათმო ასევე წმინდად. როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენი გოგოებიდან ორმა ბრინჯაოსთვისაც იასპარეზა ანუ თაობა ნელ-ნელა მოდის, იზრდებიან ახალი კადრები.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

ჩოგბურთი

# ტატიშვილი ასეულის ზღურბლთან


ანა ტატიშვილი

თბილისელი **ანა ტატიშვილი** ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის (WTA) რეიტინგში კიდევ ორი საფეხურით დაწინაურდა და მოწინავე ასეულს ორიოდე ნაბიჯი აშორებს. ამჟამად იგი 609 ქულით 102-ე ადგილზეა. განახლებულ კლასიფიკაციაში კიდევ რვა ქართველი ჩოგბურთელია: 215 (217). **სოფო შაფათავა** (269), 303 (313). **ოქსანა კალაშნიკოვა** (153), 377 (378). **ეკატერინე გორგოძე** (108), 453 (453). **მაკა ჩახნაშვილი-რანცინგერი** (81), 639 (640). **სოფო ქვაცაბაია** (41), 1197 (1194). **მარიამ ბოლქვაძე** (5), 1251 (1243). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

**წყვილებში:** 51 (50). კალაშნიკოვა (1777 ქულა), 72 (71). ტატიშვილი (1175), 161 (161). შაფათავა (415), 425 (429). გორგოძე (118), 453 (462). ქვაცაბაია (105), 769 (766). ჩახნაშვილი?ანციგერი (33), 1264 (1266). ჭალაგანიძე (5), 1310 (1311). ბოლქვაძე (3).

ჩიმკენტში (ყაზახეთი) ჩოგბურთელ ვაჟთა 10.000-ანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე თითო გამარჯვება მოიპოვეს **გიორგი ჯავახიშვილმა და გიორგი ცივაძემ.** ჯავახიშვილმა მასპინძელ ადილ ელტაევს აჯობა 6:1, 7:5, ხოლო ცივაძემ უზბეკ ოიბეკ აბდურახმანოვს 6:0, 6:1. მთავარ ბადეში მოსახვედრად ჩვენებურებს რუსების, შესაბამისად, ილია ლებედევისა და ალან ბზაროვის დამარცხება მოუწევთ. ძირითად ბადეშია **ალექსანდრე მეტრეველი,** რომელიც სტარტზე ფიოდორ ჩერვიაკოვს (რუსეთი) დაუპირისპირდება.

ვაჟა **დანელია**

# ბაქშიმ აზიაში გაილაღა


ალექსანდრე ბაკში

თბილისელი ჩოგბურთელი **ალექსანდრე ბაკში** ბოლო დროს თანატოლთა შორის სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევს. დასტურად აზიური ტურნეც გამოდგება უზბეკეთსა და ყაზახეთში მან სამი მთავარი პრიზი დაიმსახურა და კლასიფიკაციით 18?ლამდელთა მსოფლიოს საუკეთესო ასეულში შევიდა.

უზბეკეთის ტურნირზე იგი მხოლოდ ერთეულებში გამოვიდა. ზედიზედ დაამარცხა აჰად ერმატოვი (უზბეკეთი, 6:1, 6:1), შოჰრაჰ აბდუმალიკოვი (უზბეკეთი, 6:2, 6:1), შამაელ ჩაუნდრი (დიდი ბრიტანეთი, 7:6, 7:6), ანდრეი ანდრუხოუ (ბელარუსი, 6:4, 6:3) და ფინალში პორტუგალიელ ფილიპ სილვას დაუპირისპირდა. თბილისელმა ჩოგბურთელმა პირველი ხელი დაძაბულ პაექრობაში 7:6 მოიგო, მეორეში 3:0 რომ დაწინაურდა, მეტოქემ ტრავმის გამო პაექრობის გაგრძელება ვერ შეძლო და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ბაკში ავიდა.

ყაზახეთის დედაქალაქ ასტანის თასზე კი ჩვენებურმა ორი მთავარი პრიზი მოიპოვა: ერთეულებში ხუთი მეტოქე დაჯაბნა სანეტულა კუტიბაიევი (უზბეკეთი, 6:2, 6:4), ალექსანდრ გუსკოვი (რუსეთი, 6:4, 6:3), ეფეკან ბულბული (თურქეთი, 6:2, 0:6, 6:0), კენეტ რაისმა (ესტონეთი, 6:1, 6:2) და კონსტანტინ კუზმინი (საფრანგეთი, 6:3, 6:0). წყვილებში თბილისელი ჩოგბურთელი ბელარუს ალექსანდრ ჰალინკოსთან იყო შეამხანაგებული. აქაც ძალების დაუძაბავად გადალახა ოთხი ბარიერი: სტარტზე კასიმბეკ აკზარკენოვსა და ილია პავლენკოს (ორივე?აზახეთი) აჯობა 6:1, 6:0, მერე არსან არაშოვსა (ყაზახეთი) და სანეტულა კუტიბაევს (უზბეკეთი)მოუგო 6:3, 7:5. ნახევარფინალში მე2 ნომრად განთესილ ეფეკან ბულბულსა (თურქეთი) და ვლადისლავ ჩუმაკს (უკრაინა) სძლია 6:2, 6:3, გადამწყვეტ პაექრობაში კი ქართულ?ელარუსულმა დუეტმა რეიტინგფავორიტების შამაელ ჩაუნდრისა (დიდი ბრიტანეთი) და კენეტ რაისმას (ესტონეთი) ტანდემი დაამარცხა 6:3, 7:5.

ვაჟა **დანელია**

ხელბურთი

# ფინალი ოცნებად დარჩა




ესპანურ ოვიედოში დამთავრდა 20-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირი, რომელშიც ფინალური ეტაპის 2 საგზურისთვის მასპინძლებთან ერთად იბრძოდნენ საქართველოს (ცერცვაძე, ა. სამიტაშვილი, ორჯონიკიძე , სიმონია, ცხვარაშვილი, სტურუა, აბრამიშვილი, გოგოლაძე, კოხრეიძე , გიორგაძე, ხაჟომია, არსენაშვილი, ალანია, ი. სამიტაშვილი; მწვრთნელები-ბექა ორჯონიკიძე, ლევან გელაშვილი, ჯორჯე რაშიჩი), ჩერნოგორიისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდები. სამწუხაროდ, ჩვენმა ხელბურთელებმა, რომელთა უმრავლესობა 18-წლამდელთა ნაკრების წევრია, სამივე მატჩი დიდი სხვაობით წააგეს: ჩერნოგორიასთან - 9:29. ნორვეგიასთან - 18:38, ესპანეთთან - 19:41 და ბოლო ადგილი დაიკავეს. დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: ესპანეთი-ნორვეგია 35:27, ესპანეთი-ჩერნოგორია 25:24, ნორვეგია-ჩერნოგორია 37:24. ამდენად, ფინალურ ეტაპზე, რომელსაც წლეულს 24 ივლისიდან 3 აგვისტომდე ავსტრია უმასპინძლებს, ესპანეთი და ნორვეგია გავიდნენ. ამ კვალიფიკაციის მთავარი მოულოდნელობა ხორვატების ჯგუფში ჩარჩენა იყო.

1 **ჯგუფი:** ესპანეთი -6, ნორვეგია- 4 / ჩერნოგორია-2, საქართველო -0;

ვაჟა **დანელია**

# გაზეთი მემატიანე

## დრო, მოვლენები და ფაქტები

პუბლიკაციები ეძღვნება გაზეთ „ლელოსა“ და ქართული სპორტის თანაცხოვრების 80 წლის საიუბილეო თარიღს

დასაწყისი „ლელო“ № 16-19, 21-23,38-39, 41-43, 46-49, 51-52, 55-64

# ლელოელები

**ნოდარ გუგუშვილი**

**ნოდარ გუგუშვილი!** ქართული სპორტის დაუღალავი მემატიანე, ქართული სპორტული ჟურნალისტიკის პატრიარქი, ოლიმპიური იდეალების შეუდარებელი მქადაგებელი და დამამკვიდრებელი ჩვენს ქვეყანაში.

სულნათელ **მიხეილ კაკაბაძესთან** ერთად იდგა „ლელოს“ აკვანთან. **ბიჭიკო ქორქიამ** — ფეხბურთში, ნოდარ გუგუშვილმა — კალათბურთში შექმნა და დაამკვიდრა ქართულ პრესაში მოვლენათა აღწერისა და ანალიზის ორიგინალური, ძარღვიანი სტილი, რომელიც პუბლიცისტიკას გაუთანაბრდა. და განა მარტო კალათბურთი! ნოდარ გუგუშვილის ნიჭიერების მადლითაა დაღდასმული მისი ყველა სტრიქონი. განსაკუთრებული გატაცებით წერდა აგრეთვე ჭიდაობაზე, ველოსპორტზე, სპორტის სხვა სახეობებზე.



თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოში თუკი ვინმეა კანონმდებელი სპორტულ ჟურნალისტიკაში, ერთი პირველთაგანი ნ. გუგუშვილი გახლდათ. მისი წერილები, რეპორტაჟები, წიგნები თუ ცალკეული გამოცემები თაობებს დარჩებათ, როგორც სახელმძღვანელო.

უყვარდა ახალგაზრდები და ახალგაზრდებსაც გამორჩეულად უყვარდათ თავიანთი კერპი. მოძღვრად მიაჩნდათ, ეამაყებოდათ მასთან ურთიერთობა. რჩევისათვის ხშირად აკითხავდნენ უკვე ჩამოყალიბებული ჟურნალისტებიც და რედაქტორებიც — ათზე მეტი ყოფილი ლელოელი, ხომ დამოუკიდებელ გამოცემებს ხელმძღვანელობენ.

თავადაც პირველი ნაბიჯები ჟურნალისტიკაში უბრწყინვალესი მოქალაქის და რედაქტორის მიხეილ კაკაბაძის წახალისებით გადადგა. მაშინ ახალი დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ცხოვრების მეტი წილი ამ გაზეთში გაატარა. ერთხანს ტელევიზიასა და რადიოში იმუშავა, მერე ჟურნალ „მართვეს“ ჩაუდგა სათავეში და არც „ლელოსთან“ გაუწყვეტია ურთიერთობა. ყველაზე მძიმე წლებში ამ გაზეთმა მისი თანადგომითაც შეინარჩუნა არსებობის უფლება.

ცნობილი რეჟისორი და საზოგადო მოღვაწე **გიგა ლორთქიფანიძე** 1996 წელს ნოდარ გუგუშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წერდა: „წლევანდელ თბილისობას საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭეს. ვფიქრობ, ყველაზე უფრო იგი ნოდარის სახელს მოუხდებოდა, რადგან იგი იყო პიროვნება, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი ქალაქი. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა კეთილშობილებითა და ნიჭით. ამ უგანათლებულესი კაცისათვის უცხო რამ იყო ყოველგვარი ამბიციურობა. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი პროფესიაც. ზურაბ კაკაბაძესა და არჩილ ბეგიაშვილთან ერთად დაამთავრა ფილოსოფიის ფაკულტეტი და საასპირანტოდ იყო „გამზადებული“, რომ კუწა კაკაბაძის თხოვნით გვერდში ამოუდგა მას და თითქმის ხუთი ათეული წელი ერთგულად სწია სპორტული ჟურნალისტის მძიმე ჭაპანი.

ნოდარს სხვა რამეც ჰქონდა საამაყო — თავისი ცხოვრება წაიყვანა ისე, როგორც მას სურდა. ეს კი ბევრს არ ძალუძს“...

ნოდარ გუგუშვილი 1996 წლის 25 ოქტომბერს 69 წლისა გარდაიცვალა...



**გოგი იაშვილი**

ჩვენი გაზეთისთვის სახელის შერჩევის ამბავზე ადრე ვწერდით. ვფიქრობთ, საინტერესო იქნება მკითხველმა ისიც იცოდეს, თუ როგორ შეიქმნა ლოგო, რომელიც დღეს ამშვენებს გაზეთს და მის საფირმო ნიშნად იქცა. 1949-1963 წლებში გაზეთს ჩვეულებრივი ქართული შრიფტით მოხაზული ასოებით ჰქონდა წარწერა (იხ. სურათი). მას შემდეგ, რაც მიხეილ კაკაბაძე 1964 წელს მეორედ ჩაუდგა სათავეში '„ლელოს“, მრავილნაცადმა რედაქტორმა უმალვე დაიწყო რეფორმების გატარება გაზეთში და ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო გაზეთის ლოგოს განახლება. სიმართლე გითხრათ, თავის დროზე არ დავინტერესებულვარ, ახლა კი მომგონებელი აღარავინ მეგულება, რომ დავადგინო, თუ კონკრეტულად ვისი იდეა იყო გაზეთის დასახელების ასეთი დინამიური გრაფიკით შეცვლა. შემსრულებელი კი ნამდვილად ვიცი — **გოგი იაშვილი,** რომელიც მხატვრად მუშაობდა რედაქციაში. არ გამოვრიცხავ, რომ იდეაც მასვე, ან სულაც **მიხეილ კაკაბაძეს** ეკუთვნოდა. დღესაც გაოცებას იწვევს მხატვრის ეს მიგნება, შეიძლება ითქვას, უკეთესს რომ ვერ ინატრებს კაცი. მერე ეგ იყო, გოგი იაშვილის შემოქმედების თაყვანისმცემელმა, თავად უნიჭიერესმა ხელოვანმა, მხატვარმა **ვახტანგ რურუამ,** 1984 წელს ახალდანიშნული რედაქტორის, **არჩილ გოგელიას** თხოვნით, სულ ოდნავი კორექტივით — ერთმანეთს მიაბა გაზეთის სახელის პირველი და მეორე ასოები „ლ“ და „ე“ და მივილეთ ისეთი ლოგო, როგორიც დღეს გვაქვს.

ბრწყინვალე პიროვნება და ხელოვანი გოგი იაშვილი რედაქციაში მხატვარად 1953 წლიდან მუშაობდა. იგი ყურადღებას იქცევდა მაღალი ინტელექტით, ჰქონდა დახვეწილი გემოვნება და ადამიანებთან ურთიერთობის მისაბაძი უნარითაც გამოირჩეოდა. განსაკუთრებით ახალბედა, დამწყებ ჟურნალისტებს გვანებივრებდა ყურადღებით, სილაღის, თავისუფლების სტიმულს იძლეოდა, თუ საჭირო გახდებოდა, ფარადაც გადაფარებოდა ხოლმე ნებისმიერ ჩვენგანს. დასაბეჭდად მომზადებულ ყველა წერილს დედანშივე კითხულობდა, თუ დაინახავდა, რომ პუბლიკაციის შინაარსის გაღრმავება-გამრავალფეროვნებაში ჟურნალისტის კალამს მისი ყალამიც წაეშველებოდა, მზად იყო თავისი ნიჭით დაღდასმული გრაფიკა შეეთავაზებინა რედაქტორისთვის. დროს ენერგიას არ ზოგავდა, თუ ამას გაზეთის ინტერესები მოითხოვდა. მუდამ მაღალი ოსტატობით ასრულებდა სარედაქციო დაკვეთებს. „ლელოს“ სიცოცხლეს, სილამაზეს და დინამიურობას მატებდა მისი, როგორც დახვეწილი გრაფიკოსისა და დიზაინერის გემოვნება. რუბრიკები ხომ გაზეთის უზადო მშვენება იყო და მკითხველი თვალს შეავლებდა თუ არა, უკვე ხვდებოდა, რომ მის ხელთ არსებულ ნომერში ამ რუბრიკით საინტერესო მასალას გაეცნობოდა. მეორე მსოფლიო ომგამოვლილი, ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანი იყო. იქნებ ამიტომაც, ჯანმრთელობა შეერყა, გული დაუსნეულდა, წნევას უჩიოდა. სხეულის მარჯვენა მხარე მთლიანად წაართვა დამბლამ. როგორია, მხატვრისთვის მარჯვენის დაუმორჩილებლობა. ჭეშმარიტად „ძლიერი სულის ხელოვანი“ ბედს არ შეეპუა. მისთვის სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა უმოქმედობა და არც დანებდა. თავს იმდენი ძალა დაატანა, რომ ხატვა მარცხენა ხელით განაგრძო.

გოგი იაშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 1979 წლის 31 იანვარს. მის შემდეგ „ლელოს“ შტატიანი მხატვარი და დიზაინერი აღარ ჰყოლია.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

გაგრძელება იქნება

● კალათბურთი. ლეგიონის კვირა

# სანიკიძე... სტრატოსფეროდან სიმბოლურ ხუთეულში


ზაზა და თორნიკე

## 10 წელი ველოდით...

10 წელი მოგვიხდა მოცდა NBA-ში მორიგ ქართულ დუელამდე. 2003 წლის 2 თებერვალს დენვერში ერთმანეთის წინააღმდეგ „ნაგეტსი“ და „პორტლენდი“ წარდგნენ. პირველში **ნიკა ცქიტიშვილმა** ითამაშა, მეორეში - **ვლადიმერ სტეფანიამ**, ჯამში 10 წუთი და 3 ქულა გამოუვიდათ.

მას მერე **ზაზა ფაჩულიასა** და ნიკა ცქიტიშვილის გუნდები არაერთხელ წარდგნენ ერთმანეთის წინაშე, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ორივე ქართველს ერთდროულად ეთამაშოს. 2012 წლის დრაფტზე **თორნიკე შენგელია** „ბრუკლინმა“ რომ აიყვანა, გაჩნდა იმედი, რომ 2012-13 წლების სეზონში NBA-ში დიდი ხნის ნანატრ ქართულ დუელს ვიხილავდით, მაგრამ ამაოდ: საწყის ორ მატჩში, ატლანტელმა ზაზა ფაჩულიამ თავი რომ გამოიდო, „ბრუკლინის“ მწვრთნელმა თორნიკე შენგელია არ ათამაშა. ამ გუნდების შემდგომ ორ დაპირისპირებაში პირიქით - ტრავმირებული ფაჩულია მოედანზე მიმდინარე მოვლენებს თვალს ტრიბუნებიდან ადევნებდა, ხოლო თორნიკემ ბოლო წუთებზე ორივე შემთხვევაში ითამაშა.

მიმდინარე, 2013-14 წლების სეზონში ქართველთა გუნდების კიდევ ორმა მატჩმა ჩაიარა ისე, რომ ზაზა და თოკო მოედანზე ვერ შეხვდნენ. თუმცა სტეფანია-ცქიტიშვილის 2004 წლის შეხვედრის შემდეგ პირველად 2014 წლის 4 აპრილს NBA-ში ქართული „შერკინება“ მაინც შედგა: ფაჩულიას „მილუოკი“ შენგელიას „ჩიკაგოს“ ესტუმრა და ბოლო წუთზე თორნიკე და ზაზა სხვადასხვა ფორმაში, სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. მატჩის დასრულების მომასწავებელი სირენის ხმა და ფაჩულია-შენგელიას გადახვევა ერთი იყო. ეს მომენტი NBA-ს ფოტოგრაფებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ და ქართულ კალათბურთს ისტორიული ფოტო აჩუქეს.

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ, როცა ნაციონალურ ასოციაციაში ერთდროულად სამი ქართველი ასპარეზობდა, დიდი მცდელობის მიუხედავად ერთხელაც ვერ აღმოვაჩინე ფოტო, რომელზეც ერთმანეთის წინააღმდეგ მოთამაშე ზაზას და ცქიტოს, ზაზას და ვოვას, ან ვოვას და ცქიტოს ვიხილავდი. ფაჩულია-შენგელიას ჩახუტების ამსახველი ფოტო ამიტომაცაა ერთი-ორად ღირებული.

თუმცა დიდი იყო იმის ალბათობაც, რომ ზაზა და თორნიკე კიდევ ერთხელ ასცდენოდნენ ერთმანეთს. საქმე ის არის, რომ შუა თამაშისას ფაჩულიას წარბი გაუხეთქეს და გასახდელში ექიმების თანხლებით გავიდა. საბედნიეროდ, ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, ზაზას სამი ნაკერი დაადეს და მეორე ტაიმში მოედანს ჩვეული შემართებით დაუბრუნდა.

## ბარსელონას მძლეველი

**ვიქტორ სანიკიძის** „სარაგოსამ“ ესპანეთის ჩემპიონატში „ბარსელონა“ რომ დაამარცხა (85:79), გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ. 15 ქულითა და 8 მოხსნით თანაგუნდელთა შორის ყველაზე სასარგებლო ქართველი ვიქტორ სანიკიძე იყო, რომლის მარგი ქმედების კოეფიციენტმა 24-ს მიაღწია.

ესპანეთის ჩემპიონატი ევროპაში რანგით პირველია და ამ ლიგაში ევროპული გრანდის, „ბარსელონას“ ძლევა უყურადღებოდ რომ არ დარჩებოდა, წინასწარ ცხადი იყო. გამოცემა „არაგონესში“ ხაზგასმულია ვიქტორ სანიკიძისა და **ჯონათან ტაბუს** მაღალი დონის თამაში და ერთგან ასეთ შედარებასაც ვხვდებით: „სტრატოსფეროდან ჩამოსულმა ვიქტორ სანიკიძემ მეოთხე პერიოდის დასაწყისში, როცა სხვაობა 3 ქულა იყო, სამქულიანით თანაგუნდელები ცოტა დაამშვიდა.“

...და რაც მთავარია, ვიქტორი ესპანეთის პირველობის ოფიციალურმა საიტმა ტურის სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანა. მასთან ერთად ვირტუალურ ნაკრებში მოხვდნენ: **ალექს მუმბრუ** (ბილბაო), **სემ ვან როსომი** (ვალენსია), **ენდი პანკო** (ფუენლაბრადა), **აუგუსტო ლიმა** (მურსია).

26 ტურის შემდეგ „სარაგოსას“ 16 მოგება აქვს და „გრან კანარიასთან“ მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფს. მეშვიდე-მეცხრე პოზიციებზე 13-13-მოგებიანი სამი გუნდია. მათ შორისაა **ბექა ბურჯანაძის** „კახასოლი“, რომელმაც ბოლო ტურში სტუმრად მადრიდის „რეალთან“ დათმო - 75:81.

ბექამ 3 წუთი ითამაშა და 3 ქულა მიითვალა.

## რატომ დანებდა ატამანი?

ევროლიგის ბოლო ტურში **გიორგი შერმადინის** „ოლიმპიაკოსმა“ სტამბოლში „ეფესი“ 83:78 დაამარცხა და მეოთხედფინალის საგზურიც გაინაღდა. გიორგიმ 10 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, რაც 20 წუთში ურიგო შედეგი არ არის.

ევროლიგის ტოპ-16-ის ბოლო ტურში ბერძნული დერბია - „ოლიმპიაკოსი“ „პანათინაიკოსს“ მიიღებს. ამ მატჩში გამარჯვებულს ჯგუფში მესამე ადგილი ერგება, ხოლო დამარცხებულს - მეოთხე. წინასწარ ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეოთხედფინალში ბერძნულ კლუბებს „რეალისა“ და ცსკა-ს განაწილება მოუწევთ, რომლებიც მეორე ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებს იყოფენ.

სწორედ ცსკა-ს დაჩოქების კარგი შანსი ჰქონდა **მანუჩარ მარკოიშვილის** გალათასარაის, რომელიც ბოლო წუთზე მანუს მიერ რეალიზებული სამქულიანის შემდეგ 65:64-ს იგებდა, მაგრამ მატჩი ოვერტაიმში გაგრძელდა, სადაც ასევე თანაბარ ბრძოლაში გუნდები განზრახ ჯარიმებით ლიდერობას ცვლიდნენ... ვიდრე მოულოდნელად „გალას“ თავკაცმა **ერგინ ატამანმა** (სირენამდე 10 წამით ადრე) ფოლების ტაქტიკაზე უარი თქვა და მატჩი მინიმალური სხვაობით დათმო - 85:86.

ამ ამბავმა ბევრი გააკვირვა, მწვრთნელმა კი პრესკონფერენციაზე ახსნა-განმარტება მოგვცა:

*- დაგვიშავდა ლიდერი კარლოს აროიო, რომლის გარეშე მეორე ოვერტაიმში ძალიან გაგვიჭირდებოდა და შეიძლებოდა ცსკა-სთან დიდი სხვაობითაც დავმარცხებულიყავით. ჩვენი ამოცანა იყო, მოსკოვში რაც შეიძლებოდა მცირე სხვაობით წაგვეგო და მიზანს მივაღწიეთ.*

ბოლო ტურის წინ მეოთხე-მეხუთე ადგილებს „გალათასარაი“ და კრასნოდარის „ლოკომოტივი“ ინაწილებენ. პლეი ოფში საუკეთესო კვარტეტი გადის და „გალასთვის“ იმიტომაც იყო მნიშვნელოვანი ნაკლები სხვაობით დამარცხება, რომ თანაბარი ქულების შემთხვევაში მიღებულ-ჩაგდებული ბურთების საერთო რაოდენობა ითვლება და არა „გალათასარაი“-“ლოკომოტივის“ ურთიერთშეხვედრების შედეგი. თურქებს საერთო ყულაბაში - 2 ბურთი აქვთ, კრასნოდარელებს - 26. ბოლო ტურში მანუს გუნდი „პარტიზანს“ უმასპინძლებს, ხოლო „ლოკომოტივი“ - „ბაიერნს“. თუ სტამბოლელებმა 1 ქულის სხვაობით მაინც მოიგეს, კრასნოდარელებს ბავარიელებთან +26 ქულით მოგება მართებთ.


სანიკიძის ჩატენვა ბარსელონას კალათში

## პლეი ოფის კართან

განვლილ უქმეებზე მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო **ნიკა მეტრეველის** „როსეტომ“. მისი მეტოქე მეოთხეადგილოსანი „მატერა“ იყო, რომელიც მეტრეველის თანაგუნდელებმა მისსავე მოედანზე 92:81 დაამარცხეს.

ამ მოგებით „როსეტო“ კიდევ უფრო დაუახლოვდა პლეი ოფს. მის ანგარიშზე 14-14 მოგება-წაგებაა და სატურნირო ცხრილში მეცხრე პოზიციაზეა. საპლეიოფო რვაეულთან როსეტოელებს ერთადერთი მოგება აშორებთ. რეგულარული ეტაპის დასრულებამდე კი 2 ტურია დარჩენილი.

„მატერასთან“ ნიკა მეტრეველმა 17 წუთში 2-2 ქულა - მოხსნა და 1 პასი მიითვალა. შესაძლოა, მეტიც ეთამაშა 5 ფოლი რომ არ მიეღო.

13 აპრილს „როსეტო“ უმასპინძლებს „ფირენძეს“, რომელიც მე-14 პოზიციაზეა.

## თითო

განვლილ კვირას ლიბანის ჩემპიონატში ორი მატჩი ჩაატარა **გიორგი ცინცაძემ**. ერთი მოიგო, მეორე - წააგო. „ბუს“ გუნდმა, „ჩამპვილმა“ მეოთხე პოზიციაზე მყოფ „მუტაჰედთან“ 68:64 იმარჯვა, ხოლო სატურნირო ცხრილის ლიდერ „საგესთან“ სტუმრად 60:91 დათმო.

პირველ მატჩში ცინცაძემ 39 წუთი ითამაშა, 12 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი და 3 ჩაჭრა დააგროვა, თუმცა ზომაზე მეტი - 7 ბურთი დაკარგა. გიორგიმ 3-დან 2 ორქულიანი, 8-დან 1 სამიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო. გამარჯვებულთაგან საუკეთესო შედეგი **ვლადან ვუკოსავლევიჩმა** დააფიქსირა, რომელმაც 37 წუთში 25 ქულა და 15 მოხსნა ჩაინერა.

მეორე მატჩში ქართველის მონაგარი ასეთი იყო: 36 წუთი, 9 ქულა, 2 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა. ვუკოსავლიევიჩმა 22 ქულასა და 11 მოხსნას მოუყარა თავი.

## ქართული მხურვალება ფინეთში

გემრიელი ლუკმა ბოლოსთვის მოვიტოვეთ. მართალია, ჯერ სტაბილურობა აკლია, მაგრამ ფინეთის უმაღლეს ლიგაში ნაჩვენები შედეგის მიხედვით საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ნამდვილად უნდა დაინტერესდნენ **გივი ბაქრაძის** თამაშით. იგი ლაპუას „კორიკობრატის“ ღირსებას იცავს და გუნდთან ერთად პლეი ოფში მოხვედრისთვის იბრძვის.

გივის თანაკლუბელებმა „კორიჰიატს“ ოვერტაიმში 102:93 მოუგეს. ქართველ გამთამაშებელს მართლაც შთამბეჭდავი მონაგარი ჰქონდა: 29 წუთი, 24 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 3 ჩაჭრა. ბაქრაძემ სამქულიანები უშეცდომოდ სტყორცნა: 5-დან 5 ჩააგდო, რასაც 5-დან 4 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო მიამატა.

*- „კორიჰიატთან“ მატჩი ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა. წაგების შემთხვევაში პლეი ოფში გასვლის შანსს ვკარგავდით. გუნდმაც მოინდომა, მეც სათანადოდ ვიყავი მომზადებული, ყველაფერი კარგად გამოგვივიდა და ღირებული ორი ქულა მოვიპოვეთ. დარჩენილ 3 მატჩიდან ორში უშუალო კონკურენტებს ვხვდებით და თუ ასე განვაგრძეთ, დიდია ალბათობა, პლეი ოფში ვითამაშოთ, - გვითხრა გივი ბაქრაძემ.*

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ძიუდო



# არმიულ-პოლიციური მარცხი

შაბათს, 5 აპრილს რუსულ ზვენიგოროდში საინტერესო საერთაშორისო ტურნირი გაიმართა ძიუდოში არმიელთა და პოლიციელთა შორის. ესაა გუნდური შეჯიბრება, რომელიც ზუსტად იმავე პრინციპით იმართება, როგორითაც მაღალი მიღწევების სპორტში ტარდება ანალოგიური შეჯიბრებები. აქაც ხუთი წონითი კატეგორიაა, თანაც - ზუსტად იგივენი: 66, 73, 81, 90 და +90.

ამ ტურნირში საქართველოს ნაკრებიც გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: **ნესტორ ხერგიანი** (66), **აკაკი ჩიმჩიური** (73), **ილია ქოთოლაშვილი** (81), **ზაზა გულიაშვილი** (90) და **ივერი ჯიქურაული** (+90).

სამწუხაროდ, ჩვენებმა სულ ორი პაექრობა გამართეს და უმედლოდ დარჩნენ, რადგან ადრევე გამოეთიშნენ შეჯიბრებას. პირველ შეხვედრაში მათ უნგრელები დაამარცხეს მშრალი ანგარიშით - 5:0, მერე კი რუსეთის ფსო-სთან (ფედერალური დაცვის სამსახური) 1:4 წააგეს. აქ ჩვენებმა დათმეს პირველი ოთხი პაექრობა და მხოლოდ ჯიქურაულმა იმარჯვა ბოლო შეხვედრაში.

ტურნირის ჩემპიონი რუსეთის შსს გახდა, რომელმაც ფინალში იაპონიას 5:0 სძლია. ბრინჯაოს მედლები ყირიმისა და მცს-ს გუნდებმა მოიპოვეს. რაც შეეხება ჩვენებურთა მძლეველ ფსო-ს, მათ მომდევნო წრეში ბელარუსს სძლიეს, მერე კი ჯერ ნახევარფინალში დამარცხდნენ შსს-სთან, ხოლო ბრინჯაოსთვის პაექრობა ყირიმელებთან დათმეს და მეხუთეზე დარჩნენ.

**ირაკლი თავაძე**

● კალათბურთი. აქცია



# 3X3 და კუს ტბა

6 აპრილს, სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს უმასპინძლა კუს ტბამ, სადაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებითა და შესაბამისი ფედერაციების დახმარებით სხვადასხვა სახეობებში საინტერესო შეჯიბრებები გაიმართა.

ულტრათანამედროვე, სპეციალურად გასაშლელ საკალათბურთო მოედანზე პატარა კალათბურთელებმა საინტერესო თამაში გააჩაღეს. ტურნირში 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც 2 ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. თითო ჯგუფიდან ნახევარფინალში 2 საუკეთესო გავიდა.

ჯგუფური ეტაპის მატჩების დასრულებისას ტურნირის მონაწილეებს შეხვდნენ და მათთან სამახსოვრო სურათები გადაიღეს საკალათბურთო სუპერლიგის მოთამაშეებმა. კუს ტბაზე გამართული ტურნირის სანახავად და ბავშვებთან შესახვედრად „სოხუმის“, „დინამოს“, „არმიას“, „შსს-აკადემიას“ და სხვა კლუბების წევრები მივიდნენ.

ნახევარფინალში „დინამომ“ 13:4 სძლია „ბასტიონს“, ხოლო „შსს-ორბმა“ 5:2 დაამარცხა „მართვე“. მესამე ადგილისთვის მატჩში მართველებმა „ბასტიონს“ დაძაბულ ბრძოლაში - 10:8 მოუგეს, ხოლო ჩემპიონი „დინამო“ გახდა, რომელმაც ფინალში „შსს-ორბს“ შანსი არ დაუტოვა - 13:5.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დინამოელი თორნიკე ანჯაფარიძე დასახელდა, რომელსაც სპეციალური პრიზი - საკალათბურთო ბურთი გადაეცა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

● ხსოვნა



## თემურ ერემეიშვილი

71 წლისა წავიდა ამქვეყნიდან კეთილშობილი კაცი **თემურ ერემეიშვილი**, რომელმაც თავისი შეგნებული ცხოვრება ღირსეულად მოახმარა ქართული სპორტის სამსახურს და მშობლიურ ქუთაისს.

საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის თემურ ერემეიშვილის გარდაცვალება დიდი ტკივილია მისი შესანიშნავი ოჯახისათვის და იმ მრავალრიცხოვანი ადამიანისათვის, რომელიც მას პირადად იცნობდა.

თემურის, როგორც სპორტსმენს ოლიმპიური მწვერვალები არ დაუპყრია, მაგრამ იყო ჭეშმარიტი მოჭიდავე. ხუთგზის სპორტის ოსტატი — სამბოში, ძიუდოში, კლასიკურში (ბერძნულ-რომაულში), თავისუფალში და მშობლიურ ქართულ ჭიდაობაში.

ჭიდაობის ამ სახეობებში გახდა ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი. სამბოში კი სსრკ-ს ჩემპიონატის პრიზიორიც იყო.

აქტიური სპორტის შემდეგ სხვა მიზნები არც ჰქონია, ისევ ძლიერი და ჯანსაღი თაობის აღზრდის სამსახურში გააგრძელა საქმიანობა, როგორც კვალიფიკაციურმა სპეციალისტმა.

მრავალი წლის განმავლობაში თემურ ერემეიშვილი იყო ქუთაისის სპორტსაზოგადოება „განთიადის" თავმჯდომარე, „სპარტაკის" ქუთაისის ორგანიზაიის თავმჯდომარის მოადგილე. სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი.

როგორც ჭიდაობა სამბოს მწვრთნელმა, მან არაერთი სპორტსმენი გამოზარდა, რომლებმაც წარმატება მოიპოვეს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში.

სიცოცხლის ბოლო დღემდე თემურ ერემეიშვილი სპორტული ტანსაცმლით და მწვრთნელის სასტვენით იდგა სამბოს საჭიდაო ხალიჩაზე და თავის მრავალწლიან გამოცდილებას უზიარებდა ახალბედა სპორტსმენებს, რომლებიც, ვფიქრობთ, ახლო მომავალში თავის სიტყვას იტყვიან დიდ სარბიელზე. თემურ ერემეიშვილის სახელი კი არ წაიშლება ჩვენი სამბოსა და ქუთაისის მატიანიდან.

*საქართველოს სამბოს ეროვნული ფედერაცია*

*იმერეთის სამბოს რეგიონალური ფედერაცია*

**გამოსვენება:** სამშაბათს 8 აპრილს 14 საათზე

**მისამართი:** ქუთაისი კოსტავას ქ. 4

ბიჭიკო და ზურაბ შელიები, ვლადიმერ კანკავა, რევაზ ნადარეიშვილი სამძიმარს უცხადებენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ევროპის პრიზიორს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ირაკლი ჭოჭუას **მამის** გარდაცვალების გამო.

● რაგბი. მსოფლიოს ალაფა

# გასახდელშივე გვჯეროდა, რომ მოვიგებდით

**საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა ჰონგ კონგში მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფას გათამაშებაში ბრწყინვალე სტარტი აიღო. „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა" ტურნირის მთავარ ფავორიტს, ტონგას ნაკრებს შანსი არ დაუტოვეს და 34:10 დაამარცხეს.**



ხაუმე ოლეროსის ფოტო. ბურთით ბადრი ალხაზაშვილი

მატჩი ის იყო დაიწყო, რომ ჩვენმა მორაგბეებმა ლელო გაიტანეს. თუმცა მატჩის არბიტრმა ის არ ჩათვალა, რადგან სანამ მეტოქის ჩათვლის მოედანში შეაღწევდა, ქართველ მორაგბეს ფეხი გვერდითი ხაზისთვის დაუდგამს. ამ ეპიზოდიდან ორ წუთში უკვე საქართველოს ნაკრების კაპიტანმა **საბა შუბითიძემ** იყოჩაღა, მისი ლელო მგზავმა **რეზო ჯინჭველაშვილმა** გარდასახა - 7:0. ეს მე-4 წუთზე მოხდა.

სამწუხაროდ, მაღალგანვითარებულმა ჰონგ კონგმა ამ ტურნირის ინტერნეტ ტრანსლაციის ჩვენება ვერ მოახერხა. ამიტომ, თამაშის სურათი, ცხადია, არ გვაქვს. თუმცა ადვილი წარმოსადგენია, რა დიდ უპირატესობას ფლობდნენ ჩვენი ბიჭები. ჯინჭველაშვილმა მატჩის პირველ ნახევარში სამი საჯარიმო გაიტანა. რასაც ტაიმის მიწურულს მესამეხაზელის **ვახტანგ მირიანაშვილის** ლელო მოჰყვა, რომელიც ქუთათურმა მგეზავმა ვერ გარდასახა - 21:0. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

ეს შედეგი ნათლად გვიჩვენებს, რამდენ დავჩაგრეთ გათამაშების უმთავრესი ფავორიტები. როდესაც ასეთი დონის გუნდს 40 წუთის განმავლობაში ქულის აღების საშუალებას არ აძლევ, ფაქტი თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

შესვენების შემდეგ ტონგელებმა ერთი კიდევ გაიბრძოლეს. ჯერ საჯარიმოთი შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მერე კარის ძელებს შორის ლელოც გაგვიტანეს, რომლის გარდასახვაც არ გასჭირვებიათ - 10:21.

ჩვენმა მორაგბეებმა უმალვე შეძლეს მობილიზება და ლელოზე მალევე ლელოთივე უპასუხეს. თავი ისევ მირიანაშვილმა გამოიჩინა. ჯინჭველაშვილმა გარდასახა და სხვაობა ანგარიშში ისევ სოლიდური გახდა - 28:10. ტაიმის დარჩენილ დროში ჯინჭველაშვილმა კიდევ ორი საჯარიმო მიითვალა და „უმცროსი ბორჯღალოსნების" დამაჯერებელი გამარჯვება დააფიქსირა.

მეორე ტურში ჩვენი მეტოქე აშშ-ს ნაკრები იქნება, რომელმაც იოლად სძლია მასპინძელთა გუნდს - 37:0. სენსაციურად დასრულდა ორივე შეხვედრა B ჯგუფში. იაპონიის ნაკრები, რომელიც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევა, ურუგვაისთან დამარცხდა - 28:33. ნამიბიის 20-წლამდელთა გუნდმა კი კანადელ თანატოლებს მოუგო - 37:25.

**საბა შუბითიძე,** საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

*„ბედნიერები ვართ, რომ პირველივე შეხვედრაში ძლიერ მეტოქეს მოვუგეთ. ტონგელები შერკინებაში დავჯაბნეთ. დაცვაში ყურადღებით გარჯამ რამდენიმე კარგი იერიშის ორგანიზების საშუალება მოგვცა.*

*ტონგელები ძლიერნი და საკმაოდ დინამიკურები იყვნენ. ამასთან ერთად უხეშ, ბინძურ თამაშსაც არ ერიდებოდნენ, მაგრამ მაინც ვერ გაგვტეხეს. მადლობა მინდა გადავუხადო ბიჭებს შესანიშნავი გარჯისთვის. ერთ მუშტად შეკრულები გამარჯვებისთვის ვიყავით შემართულები და ჯერ კიდევ გასახდელში გვჯეროდა, რომ მოვიგებდით".*

შეგახსნებთ, რომ ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს ფინალში დაუპირისპირდებიან. გამარჯვებული მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფასთან ერთად, მომავალ წელს გასამართი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საგზურს ირგუნებს.

**საქართველო-ტონგა 34:10**

საქართველო (15-9) გულიტაშვილი, გიორგაძე, ფრუიძე, ტალახაძე, შაშიაშვილი, ჯინჭველაშვილი, ბროძელი. (1-8) ხარებავა, ალხაზაშვილი, მერგველანი, გასვიანი, ბარბაქაძე, შუბითიძე, დანგაძე, ამირანაშვილი.

(16-22) თორაძე, კაკაბაძე, პაპავაძე, მღებრიშვილი, თუთბერიძე, ბაბუნაშვილი, დევსურაშვილი.

3ლ: შუბითიძე, ამირანაშვილი (2). 5ს,2გ: ჯინჭველაშვილი.

**სინბინი:** მღებრიშვილი.

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| აშშ-ჰონგ კონგი | 37:0 |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აშშ - 5 ქულა, 2. საქართველო - 4, 3. ტონგა - 0, 4. ჰონგ კონგი - 0.

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| იაპონია-ურუგვაი | 28:33, |
| კანადა-ნამიბია | 25:37. |

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ნამიბია - 5 ქულა, 2. ურუგვაი - 4, 3. იაპონია - 2, 4. კანადა - 0.

**II ტური**

**11 აპრილი**

საქართველო-აშშ, ტონგა-ჰონგ კონგი, იაპონია-ნამიბია, კანადა-ურუგვაი.

ბესიკ ჯანგავაძე

● რაგბი. ლეგიონერები

# სამი ქართველი ჰაინეკენის ნახევარფინალში

**ევროთასების გათამაშება დასასრულს უახლოვდება. ყველაზე პრესტიჟულ, „ჰაინეკენის თასის" გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან ნახევარფინალში ორმა, „კლერმონმა" და „ტულონმა" გააღწია. „ემლინ ჩელენჯ კაპზე" კი ორი „ქართული გუნდიდან" ორივე გამოეთიშა შეჯიბრებას. აღსანიშნავია, რომ ამ ტურნირის ნახევარფინალში ოთხი ინგლისური გუნდი გავიდა.**

„ჰაინეკენის თასის" ამჟამინდელმა მფლობელმა **ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონმა" შინ მიიღო ირლანდიური „ლენსტერი" და 29:14 დაამარცხა. მატჩის პირველი ნახევარი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და ფრედ 6:6 დასრულდა. შესვენების შემდეგ, მასპინძლებმა მატჩის ბედი, ფაქტობრივად, 25 წუთში გადაწყვიტეს, რომლის განმავლობაშიც 17 ქულის სხვაობით დაწინაურდნენ 26:9 და შეხვედრა საბოლოოდ გამარჯვებამდე მიიყვანეს.

მიქაუტაძე თადარიგში იყო და თამაშში 66-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა განაცხადში არ იყო. „ტულონი" ნახევარფინალში მარსელის „ველოდრომზე" ირლანდიურ „მანსტერს" დაუპირისპირდება, რომელმაც შინ დაამარცხა **ჯაბა ბრეგვაძისა** და **ვასილ კაკოვინის** „ტულუზი" - 47:23. ჩვენებურთა გუნდმა მეტოქეს პრობლემები მხოლოდ დასკვნით ათ წუთში შეუქმნა, თუმცა ეს წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა.

ბრეგვაძე თადარიგში იყო და მოედანზე 47-ე წუთიდან გამოჩნდა.

**დავით ზირაქაშვილის** „კლერმონმა" კი ინგლისურ „ლესტერ ტაიგერზს" უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში სძლია - 22:16. ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 68-ე წუთზე შეცვალეს. ის გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო და „ვულკანების" მიერ 21-ე წუთზე გატანილ ლელოში აქტიური მონაწილეობა მიიღო. ქართველი შერკინების ბურჯი ფრთაზე შუამარბივით გაისარჯა და **ვესლი ფოფანა** შესანიშნავი გადაცემით სალელოვე გარღვევაზე გაიყვანა.

„კლერმონი" ნახევარფინალში სტუმრად დაუპირისპირდება ინგლისურ „სარასენზს", რომელმაც ასევე სტუმრად მოუგო ირლანდიურ „ალსტერს" - 17:15.

„ემლინ ჩელენჯ კაპის" გათამაშებას, როგორც უკვე ვთქვით, ქართველ მორაგბეთა ორივე გუნდი გამოეთიშა. **ზურაბ ჟვანიასა** და **დავით ქუბრიაშვილის** „სტად ფრანსემ" შინ წააგო ინგლისურ „ჰარლიქვინზთან" - 6:29. შერკინების ორივე ქართველი ბურჯი ძირითად შემადგენლობაში იყო. ჟვანია 43-ე წუთზე შეცვალეს, ქუბრიაშვილმა მოედანზე 16 წუთით მეტი დაჰყო.

**კარლენ ასეიშვილისა** და **გოდერძი შველიძის** „ბრივი" სტუმრად დამარცხდა კიდევ ერთ ინგლისურ გუნდ „ბასთან" - 7:39. ბრიველები 65-ე წუთამდე 0:39 აგებდნენ და სრულიად უშანსოდ იყვნენ. შველიძე თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო, ასეიშვილს არ უთამაშია.



დავით ზირაქაშვილი (მარჯვნივ)

**ჰაინეკენის თასი**

**მეოთხედფინალი**

**ალსტერი-სარასენზი 15:17, კლერმონი-ლესტერი 22:16, ტულონი-ლენსტერი 29:14, მანსტერი-ტულუზი 47:23.**

**ნახევარფინალი**

**სარასენზი-კლერმონი, ტულონი-მანსტერი.**

**ემლინ ჩელენჯ კაპი**

**ვოსფსი-გლოსტერი 36:24, ბასი-ბრივი 39:7, სეილ შარქსი-ნორსჰემპთონი 14:28, სტად ფრანე-ჰარლიქვინზი 6:29.**

**ნახევარფინალი**

**ვოსფსი-ბასი, ნორსჰემპთონი-ჰარლიქვინზი.**

მეორე დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე ისევ დამაჯერებლად ლიდერობს **ვიქტორ კოლელიშვილის** „ლიონი", რომელმაც 26-ე ტურში შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა **გურამ კავთიძის, მერაბ შარიქაძისა** და **თამაზ მჭედლიძის** „ბურგ ან ბრესი" - 64:3. მატჩში ანგარიში მე-4 წუთზე კოლელიშვილის ლელოთი გაიხსნა, რომელიც 51-ე წუთზე შეცვალეს, მჭედლიძემ და შარიქაძემ სრულად ითამაშეს, კავთიძემ მოედანი 57-ე წუთზე დატოვა, იქამდე კი, მატჩის არბიტრმა 34-ე წუთზე სინბინში გაუშვა.

„ლიონს" ცხრა ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა **ლექსო ყაულაშვილის** „ლა როშელი", რომელმაც შინ დამაჯერებლად სძლია ერთ-ერთ კონკურენტ „ნარბონს" - 48:17. ყაულაშვილს არ უთამაშია.

პლეი ოფში მოხვედრის შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებს **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი", რომელმაც შინ მოუგო „დაქსს" - 40:13. ნემსაძემ სრულად ითამაშა და 73-ე წუთზე ლელო გაიტანა, ჩხაიძე და მირცხულავა განაცხადში არ იყვნენ.

**ლევან დათუნაშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკმა" სტუმრად წააგო „მონ დე მარსანთან" - 19:26. ქართველი მორაგბეები განაცხადში არ იყვნენ.

სტუმრად „კარკასონთან" ვერას გახდა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე" - 20:22. შერკინების ქართველი ბურჯი თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო. **ალექსანდრე თოდუას, გიორგი თეთრაშვილის, ხვიჩა ბუჯიაშვილის, ვახტანგ ახობაძისა** და **ვახტანგ მაისურაძის** „ალბიმ" მორიგი მარცხი იწვნია სტუმრად „პოსთან" - 27:28. ქართველი მორაგბეებიდან მხოლოდ თოდუამ ითამაშა, რომელიც 79-ე წუთზე შეცვალეს.

**II დივიზიონი**

**XXVI ტური**

**პო-ალბი 28:27, მონ დე მარსანი-ორიაკი 26:19, კარკასონი-ბეზიე 22:20, ლიონი-ბურგ ან ბრესი 64:3, ოში-ბურგუენი 36:26, ტარბი-დაქსი 40:13, ლა როშელი-ნარბონი 48:17, კოლომიე-აჟენი 22:35.**

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლიონი - 99 ქულა, 2. ლა როშელი - 90, 3. აჟენი - 84, 4. ნარბონი - 77, 5. პო - 77, 6. ტარბი - 71, 7. ბურგუენი - 59, 8. ორიაკი - 58, 9. მონ დე მარსანი - 57, 10. კოლომიე - 56, 11. ბეზიე - 53, 12. დაქსი - 49, 13. ალბი - 46, 14. კარკასონი - 37, 15. ბურგ ან ბრესი - 36, 16. ოში - 34.

**XXVII ტური**

ალბი-ოში, ბურგ ან ბრესი-ბეზიე, დაქსი-ლიონი, ტარბი-მონ დე მარსანი, ორიაკი-პო, ბურგუენი-კარკასონი, ნარბონი, აჟენი-ლა როშელი.

ბესიკ ჯანგავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირები



ელენა იანკოვიჩი

# კატოვიცე, ბოგოტა, კასაბლანკა, ჰიუსტონი

**დევისის თასის მეოთხედფინალების შემდეგ, მამაკაცი ჩოგბურთელები პროფესიულ ტურს უბრუნდებიან და „250“ კატეგორიის ორ ტურნირს ითამაშებენ კასაბლანკასა და ჰიუსტონში. გარდა ამისა, უახლოესი შვიდი დღის განმავლობაში WTA-ის ორი უმნიშვნელო ტურნირია კატოვიცესა და ბოგოტაში.**

**WTA**

**კატოვიცე (პოლონეთი)**

**Katowice Open**

**საპრიზო ფონდი:** $ 250 000.
**საფარი:** ჰარდი
**ჩატარების თარიღი:** 7-13 აპრილი
**მოქმედი ჩემპიონი:** რობერტა ვინჩი
**მონაწილეები:** აგნიეკა რადვანსკა(3), რობერტა ვინჩი (14), კარლა სუარეს-ნავარო (15), კლარა კუკალოვა (32), მაგდალენა რიბარიკოვა (35), ივონ მოისბურგერი (39), ფრანჩესკა სკიავონე (43), ცვეტანა პირონკოვა (47), ალიზ კორნე (WC).

პოლონურ ტურნირს WTA-ის კალენდარში შარშან ჰქონდა დებიუტი. მაშინ ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ განთესვის პირველი და მეორე ნომრები - **პეტრა კვიტოვა** და **რობერტა ვინჩი**. იტალიელმა 7:6, 6:1 გაიმარჯვა, რითაც საკუთარი სახელი ჩაწერა ტურნირის ისტორიაში. ბუნებრივია, ადგილობრივ პუბლიკას იმედი ჰქონდა, რომ კორტზე **აგნიეშკა რადვანსკას** იხილავდა, მაგრამ 2013 წელს მან შეჯიბრი გამოტოვა. სამაგიეროდ, წელს მსოფლიოს მესამე ჩოგანი კატოვიცეში მთავარი ვარსკვლავი იქნება.

**ბოგოტა (კოლუმბია)**

**Copa Claro Colsanitas**

**საპრიზო ფონდი:** $ 250 000.
**საფარი:** გრუნტი
**ჩატარების თარიღი:** 7-13 აპრილი
**მოქმედი ჩემპიონი:** ელენა იანკოვიჩი
**მონაწილეები:** ელენა იანკოვიჩი (8), სლოუნ სტივენსი (18), კარინ კნაპი (45), ლურდეს დომინგეს-ლინო (63), ვანია კინგი (68), ანა შმიედლოვა (72), კრისტინა მლადენოვიჩი (76), შანელ სხეპერსი (77).

ბოგოტას ტურნირს უფრო მდიდარი ისტორია აქვს, თუმცა ის ადრე თებერვლის შუა რიცხვებში იმართებოდა. ძირითადად, აქ ესპანელი ჩოგბურთელები იმარჯვებდნენ. 2010 წელს, მთავარი პრიზი მოიპოვა ადგილობრივი პუბლიკის კერპმა **მარიანა დუკე-მარინომ**, მოქმედი ჩემპიონი კი **ელენა იანკოვიჩია**, რომელიც წელს კოლუმბიაში ტიტულის დასაცავად ჩავიდა და პირველ ნომრად არის განთესილი.

**ATP**

**კასაბლანკა (მაროკო)**

**Grand Prix Hassan II**

**საპრიზო ფონდი:** 426 605 ევრო.
**საფარი:** გრუნტი
**ჩატარების თარიღი:** 7-13 აპრილი
**მოქმედი ჩემპიონი:** ტომი რობრედო
**მონაწილეები:** კევინ ანდერსონი (21), ბენუა პერი (28), მარსელ გრანოლერსი (36), ჟოაო სოუზა (44), რობინ ჰაასე (45), კარლოს ბერლოკი (50), გილერმო გარსია-ლოპესი (52), იგორ სისლინგი (53).

კასაბლანკასა და ჰიუსტონის ტურნირებით იხსნება გრუნტის საგაზაფხულო სერია, რომლის მწვერვალია როლან გაროსი. ამ კვირას, მსოფლიო ჩოგბურთის ლიდერები, ტრადიციულად, პაუზას იღებენ. მაგალითად, **ნადალი** და **ჯოკოვიჩი** ისვენებენ ზედიზედ ორი ამერიკული „მასტერსის“ შემდეგ, ზოგიერთს კი **(მარეი, ვავრინკა, ფედერერი, ცონგა...)** დევისის თასის ბატალიების შემდეგ ესაჭიროებათ პაუზა.

ჰასან II-ის გრანპრი 1986 წლიდან თამაშდება. ძირითადად, აქ თამაშობენ გრუნტის მოყვარულები. პირველ წლებში კასაბლანკაში ნაკლებად ცნობილი ჩოგბურთელები იმარჯვებდნენ, მაგრამ 1990 წელს, მთავარი პრიზი აილო **ტომას მუსტერმა**, 2001 წელს - **გილერმო კანიასმა**, ბოლო წლებში კი ბრწყინავდნენ **ჟილ სიმონი** (2008), **ხუან-კარლოს ფერერო** (2009), სტანისლას ვავრინკა (2010), **პაბლო ანდუხარი** (2011, 2012) და **ტომი რობრედო** (2013). ეს უკანასკნელი ამ კვირას ჰიუსტონში ჩავიდა სათამაშოდ და ბოგოტაში ტიტულს არ იცავს. პირველ ნომრად სამხრეთაფრიკელი **კევინ ანდერსონია** განთესილი.

**ჰიუსტონი (აშშ)**

**U.S. Men's Clay Court Championship**

**საპრიზო ფონდი:** $ 474 005.
**საფარი:** გრუნტი
**ჩატარების თარიღი:** 7-13 აპრილი
**მოქმედი ჩემპიონი:** ხუან მონაკო
**მონაწილეები:** ჯონ ისნერი (13), ტომი რობრედო (16), ნიკოლას ალმაგრო (17), ფერნანდო ვერდასკო (32), ფელისიანო ლოპესი (37), ლეიტონ ჰიუიტი (42), ხუან მონაკო (43), სემ კუერი (56).

გრუნტზე აშშ-ის ღია პირველობა 1969 წლიდან იმართება. ამ დროის განმავლობაში ტურნირის მასპინძელი იყო ინდიანაპოლისი, ჩარლსტონი, კიავააილენდი, შარლოტი, ბირმინგემი (ალაბამას შტატი), პაინჰერსტი და ორლანდო. 2001 წლიდან შეჯიბრი ჰიუსტონში დამკვიდრდა. და აქედან მოყოლებული, ტურნირის გამარჯვებულები ხდებოდნენ: **ენდი როდიკი** (2001, 2002, 2005), **ანდრე აგასი** (2003), **ტომი ჰაასი** (2004), **მერდი ფიში** (2006), **ივო კარლოვიჩი** (2007), **მარსელ გრანოლერსი** (2008), **ხუან-იგნასიო ჩელა** (2010), **რაიან სვიტინგი** (2011), **ჯონ ისნერი** (2012), **ხუან მონაკო** (2013). წელს, განთესვის ლიდერია ჯონ ისნერი.

# პეტკოვიჩის დაბრუნება

გასულ კვირას, WTA-ის ტურში ორი ტურნირი იმართება - ჩარლსტონსა და მონტერეიში. რა თქმა უნდა, ამ ორს შორის გამორჩეული ჩარლსტონის შეჯიბრი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოს პირველი ჩოგანი **სერენა უილიამსი**.

და, რა თქმა უნდა, ჩარლსტონში მთავარი სენსაცია სწორედ უილიამსის მარცხი გახდა მეორე წრეში. 20 წლის სლოვენიელ **იანა ჩეპელოვასთან** მსოფლიოს პირველი ჩოგანის წაგების (4:6, 4:6) შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. ხშირად ხდება, როცა ახალგაზრდა ჩოგბურთელები ხმაურიანი გამარჯვების შემდეგ ეიფორიაში ხვდებიან და სწრაფად აგებენ შემდეგ მატჩს. მაგრამ ჩეპელოვას შემთხვევაში ასე არ მოხდა. მესამე წრეში მან თანაბარ ბრძოლაში აჯობა რუს **ელენა ვესნინას** - 7:6, 3:6, 6:3, შემდეგ რაუნდში ცნობილ სლოვაკ **დომინიკა ციბულკოვასთვის** მხოლოდ სამი გეიმი გაიმეტა - 6:2, 6:1, ნახევარფინალში კი მარათონის გადატანა მოუწია 17 წლის შვეიცარიელ **ბელინდა ბენჩიჩთან**. ამ უკანასკნელისთვის აღნიშნულ ეტაპზე გასვლა უდიდესი წარმატება იყო (მან გზიდან ჩამოიცილა **მარია კირილენკო** და **სარა ერანი**), თან ბენჩიჩი კარიერაში პირველ ფინალთანაც ახლოს იყო - ის გადამწყვეტ ტაიბრეიკზე 4:1-ს იგებდა, მაგრამ მაინც დათმო კარიერის ჯერჯერობით მთავარი მატჩი - 6:4, 5:7, 7:6(7).

ბადის ქვედა მხარეს ფავორიტი **ელენა იანკოვიჩი** იყო. მეორე ნომერმა მეოთხედფინალამდე მიაღწია მაგრამ იქ სამ სეტში წააგო **ეჟენი ბუშართან** - 3:6, 6:4, 3:6. თავის მხრივ, კანადელს ნახევარფინალში სულ ცოტა არ ეყო გერმანელი **ანდრეა პეტკოვიჩის** დასამარცხებლად. ეს უკანასკნელი, როგორც იქნა, ჩრდილიდან გამოვიდა და რამდენიმე მატჩში თითქმის იდეალური თამაში აჩვენა. მაგალითად, თანამემამულე **საბინ ლისიცკი** 6:0, 6:1 გაანადგურა, ასევე მოუგო **ლუსი საფაროვას**. რაც შეეხება ბუშართან მატჩს, პეტკოვიჩმა 1:6 წააგო პირველი სეტი, მესამე სეტში კი 2:5 იყო ჩამორჩენილი, მაგრამ ზედიზედ ხუთი გეიმი აილო და ფინალის საგზური მოიპოვა - 1:6, 6:3, 7:5.

გერმანელმა ფინალშიც შეძლო საჭირო დროს მომატება. პირველ პარტიაში ის 4:5 ჩამორჩა და ჩეპელოვას სეტბოლი ჰქონდა. თუმცა პეტკოვიჩმა ეფექტური შეტევებით დაასრულა გეიმი თავის სასარგებლოდ. აქედან მოყოლებული, ანდრეამ ზედიზედ რვა გეიმი მოიგო და მეორე სეტში 5:0 დაწინაურდა. ბუნებრივია, მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო - 7:5, 6:2 და პეტკოვიჩმა 2011 წლის შემდეგ, WTA-ის პირველი ტიტული აილო. ეს მისი მესამე ტრიუმფია კარიერაში. ამ მოგებით, გერმანელმა რეიტინგის TOP30-ში შეაღწია.

**ჩარლსტონი (აშშ)**

**ფინალი**

**ანდრეა პეტკოვიჩი (გერ)**-იანა ჩეპელოვა (სლოვაკ) 7:5, 6:2.



ანდრეა პეტკოვიჩი

# პირველი სერბული ფინალი

უცნაური ამბავია, მაგრამ გასულ კვირამდე, WTA-ის ტურში სერბული ფინალი არასოდეს ჩატარებულა, არადა, **ანა ივანოვიჩი** და **ელენა იანკოვიჩი** დიდი ხანია წამყვან როლებზე არიან ქალთა ტურში. საბოლოოდ, ისტორიული უსამართლობა მოულოდნელად გამოასწორა 20 წლის **იოვანა იაკშიჩმა**. მონტერეიში მას ძალიან გაუმართლა სატურნირო ბადის მხრივ. პირველ წრეში ორ სეტში მოუგო იტალიელ **კარინ კნაპს** (6:3, 6:4), შემდეგ ტაივანელ **ლუკსიკა კუმხუმთან** აილო ორი პარტია ტაი-ბრეიკზე, ამას მოჰყვა იოლი მოგება ნაკლებად ცნობილ ამერიკელ **ჯულია ბოუზრაპთან** (6:3, 6:0). მთავარი მატჩი იაკშიჩმა, რა თქმა უნდა, **კიმიკო დატესთან** მოიგო. 43 წლის იაპონელი ისევ გვაკვირვებს თავისი საჩოგბურთო დღეგრძელობით. ამჯერად, აზიელმა სენსაცია შემოგვთავაზა პირველ წრეში **ფლავია პენეტას** დამარცხებით. იაპონელს ორი გეიმი აკლდა ფინალამდე, მაგრამ იაკშიჩმა მისი ასაკისთვის შესაშური სიმშვიდე გამოიჩინა და გადამწყვეტ მომენტში მეტოქეს საკუთარი მოწოდებებით აჯობა. სულ სერბმა 11 ეისი ჩააწოდა - 6:7, 6:4, 6:4.

ფინალის მეორე მონაწილე გახდა **ანა ივანოვიჩი**, რომელმაც სატურნირო გზა არასტაბილურად გაიარა. პირველ წრეში პარტია დაუთმო **ურსულა რადვანსკას** - 4:6, 6:3, 6:3, შემდეგ „მშრალად“ დათმო სეტი **მაგდალენა რიბარიკოვასთან** - 6:1, 0:6, 6:2. თუმცა ტურნირზე მთავარ მატჩს ივანოვიჩი ოპტიმალურ კონდიციებში შეხვდა. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მსოფლიოს ყოფილი პირველი ნომრები - ივანოვიჩი და **კაროლინ ვოზნიაცკი**. თამაში სანახაობრივი გამოვიდა. ორი მძიმე სეტი სერბის სასარგებლოდ დასრულდა - 7:6, 6:4.

ტიტულის ასაღებად ივანოვიჩს ერთი საათი დასჭირდა - 6:2, 6:1. იაკშიჩმა სახელოვან თანამემამულეს სერიოზული ბრძოლა ვერ გაუმართა, მიუხედავად ამისა, მონტერეიში მისი გამოსვლა გამარჯვების ტოლფასი იყო. თავის მხრივ, ივანოვიჩმა წელს უკვე ორი ტიტული მოიგო. ასეთი რამ მან პირველად შეძლო 2010 წლის შემდეგ.



იაკშიჩი და ივანოვიჩი

**მონტერეი (მექსიკა)**

**ფინალი**

**ანა ივანოვიჩი (სერ, 2)**-იოვანა იაკშიჩი (სერ) 6:2, 6:1.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ჩიკაგო-სტ. ლუისი 4:2**

0:1, 2:0, 2:1

**გოლები:** 0:1 შვარცი-24 (მოროუ-12, პიეტრანჯელო-43), 1:1 მორინი-3 (ბიკელი-3), 2:1 შარპი-33 (მორინი-6, შოუ-18), 3:1 კრუგერი-8 (ნორდსტრიომი-2), 3:2 სობოტკა-9 (ბეკსი-30, ბოუმისტერი-33), 4:2 ბ. სმიტი-13 (ვერსტიგი-24).

**ფლორიდა-დალასი 3:2**

0:1, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ჯეიმი ბენი-33 (სეგუინი-46, დელეი-14), 0:2 სეგუინი-36 (გოლიგოსკი-35, დელეი-15), 1:2 აპშოლი-15 (გუდბრანსონი-6, პირი-11), 2:2 პირი-12 (ჰეიესი-7, ბატლერი-1), 3:2 ბერგენჰაიმი-16 (რობაკი-1, გომესი-10).

**კოლამბუსი-აილენდერსი 4:0**

2:0, 2:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ჯენერი-14 (ლეტესტუ-22, იოჰანსენი-26), 2:0 ჯ. ჯონსონი-5 (ვისნიევსკი-41, დუბინსკი-32), 3:0 ლეტესტუ-9 (ჯენერი-11, ფრატინი-5), 4:0 მიურეი-4 (ატკინსონი-19, დუბინსკი-33).

**ფილადელფია-ბაფალო 5:2**

1:0, 3:0, 1:2

**გოლები:** 1:0 რიდი-21 (შტრაიტი-27), 2:0 რინალდო-2 (რიდი-17, შტრაიტი-28), 3:0 ბ. შენი-19 (შტრაიტი-29, ლეკავალიე-16), 4:0 ლეკავალიე-19 (ვორაჩეკი-36, მეისონი-1), 4:1 ჰოჯსონი-19 (ერჰოფი-27, ენისი-21), 5:1 ბ. შენი-20 (სიმონდსი-31, ტიმონენი-28), 5:2 მ. უებერი-1 (ჰოჯსონი-22, დ'აგოსტინი-7).

**ედმონტონი-ანაჰაიმი 4:2**

0:1, 3:0, 1:1

**გოლები:** 0:1 სილფვერბერგი-9 (კოლიანო-19, რაკელი-4), 1:1 ტ. ჰოლი-27 (power-play) (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-36, შულცი-21), 2:1 პერონი-27 (სემ განიე-26, ლარსენი-7), 3:1 შულცი-11 (ებერლე-37, ტ. ჰოლი-49), 3:2 პერი-42 (გეტცლაფი-54, ლინდჰოლმი-22), 4:2 ებერლე-27 (ტ. ჰოლი-50).

**კოლორადო-პიტსბურგი 2:3 (ბ)**

0:0, 0:2, 2:0, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სატერი-12 (გლასი-9, ნისკანენი-33), 0:2 სატერი-13 (ი. იოკინენი-36, ჯ. ნილი-32), 1:2 რ. ო'რაილი-28 (მაკგინი-18, ჯ. მიტჩელი-21), 2:2 ბორდელო-5 (ბერი-24, ჰოლდენი-14).

**ბულიტები გაიტანეს:** ი. იოკინენი (პიტსბურგი).

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# რეკორდების დღე

მატჩი „მაიამისა“ და „ნიუ იორკს“ შორის შეიძლებოდა პლეი ოფის პირველი რაუნდის რეპეტიცია ყოფილიყო. მაგრამ ახლა, „ნიქსის“ მარცხისა და პარალელურად „ატლანტას“ მოგების გათვალისწინებით, უფრო სავარაუდოა პლეი ოფის პირველ ეტაპზე „ჰიტისა“ და „ჰოქსის“ შეხვედრა. არადა, **მაიკ ვუდსონის** შეგირდებისთვის მატჩი კარგად იწყებოდა.

სასტარტო შტურმმა „ნიქსს“ მესამე წუთისთვის 13-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. მაგრამ შემდეგ, „მაიამიმ“ საკმაოდ სწრაფად დაიმორჩილა სტუმრები და უკვე პირველი მეოთხედის ბოლოსთვის გაათანაბრა ანგარიში. მეტოქეებმა დიდი ხანი ქულა ქულაში თამაშობდნენ. ასე გრძელდებოდა მესამე მეოთხედის ბოლო წუთებამდე. იქ კი შვიდმა უპასუხო ქულამ „ჰიტს“ ცხრაქულიანი უპირატესობა მოუტანა.

ბოლო მეოთხედის სტარტი „ნიუ იორკისთვის“ კიდევ უფრო გამანადგურებელი აღმოჩნდა. „ჰიტმა“ ექვსიდან ხუთი ტყორცნა გამოიყენა, რის შემდეგაც, სხვაობა 15 ქულა გახდა. „ნიქსის“ ლიდერი **კარმელო ენტონი** მოქმედი ჩემპიონების წინააღმდეგ უძლური აღმოჩნდა - მისი სიზუსტის პროცენტი 25-ზე დაბალი იყო. სამაგიეროდ, მიზანი გასწორებული ჰქონდა **ჯეი არ სმიტს**. სწორედ მან სცადა თამაშის გადარჩენა. სმიტის სამქულიანებით, „მაიამის“ უპირატესობა ექვს ქულამდე შემცირდა სირენამდე 1.51 წუთით ადრე. მაგრამ მეტის გაკეთება სტუმრებმა ვერ შეძლეს.

სამაგიეროდ, სმიტმა NBA-ის ორი რეკორდი დაამყარა: ბოლო სამ მატჩში მან 24 სამქულიანი ჩააგდო, გარდა ამისა, გუშინდელ მატჩში 22-ჯერ ისროლა შორიდან, რაც NBA-ის ისტორიაში არასოდეს მომხდარა. წინა რეკორდი ეკუთვნოდა **დემონ სტაუდმაიერს**, რომელმაც 2005 წლის აპრილში, „პორტლენდისა“ და „ნიუ ორლეანის“ მატჩში 21 სამქულიანი შეასრულა, თუმცა მხოლოდ ხუთჯერ მოახვედრა კალათში. ჯეი არმა კი 10 სამქულიანი ჩააგდო, რაც „ნიქსის“ ახალი რეკორდია.

სტატისტიკური მიღწევის გარეშე არც **ლებრონ ჯეიმსი** დარჩენილა. ამ მატჩის შემდეგ, მისი კარიერული მონაგარი 23 ათას ქულას გადაცდა. „ჰიტის“ ლიდერი ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელია (29 წლის, 116 დღის), ვინც ამ ზღვარს მიაღწია.

„მაიამიმ“ გაიმყარა აღმოსავლეთში ლიდერობა, რადგან მისმა კონკურენტმა „ინდიანამ“ წააგო „ნიუ იორკის“ კონკურენტ „ატლანტასთან“.

■ ■ ■

დღეიდან, „ოკლაჰომას“ ლიდერ **კევინ დურანტს** ახალი მიზანი აქვს. გუშინ, MVP-ის პრიზის მთავარმა პრეტენდენტმა ზედიზედ 41 მატჩში გადააბიჯა 25-ქულიან ზღვარს, რითაც **მაიკლ ჯორდანი** ჩამოიტოვა უკან. დურანტის მორიგი სამიზნე გახდა **ოსკარ რობერტსონი**, რომლის მსგავსი სერია 1963-64 წლებში 46 მატჩის განმავლობაში გრძელდებოდა.



ჯერ არ სმიტი

კევინისთვის სამწუხარო ის არის, რომ მისი შედეგიანობა საკმარისი არ აღმოჩნდა მოგებისთვის. ამის მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ „ოკლაჰომას“ დაცვამ „ფინიქსს“ თამაშიდან 58.4 პროცენტი ჩააგდებინა. და მაინც, „თანდერს“ ჰქონდა მოგების შანსი. საჯარიმოს ხაზიდან 34-ე და 35-ე ქულის დაგროვების შემდეგ, „დურანტულამ“ წინ გაიყვანა თავისი გუნდი სირენამდე 2.39 წამით ადრე. თუმცა დარჩენილ დროში „სანზი“ უფრო აგრესიულად მოქმედებდა, ცხრა საჯარიმო ჩააგდო, „ოკლაჰომას“ კი არ ეყო არც ტყორცნების სიზუსტე და არც კონცენტრაცია.

ახლა, „ფინიქსი“ გაუთანაბრდა „მემფისს“ დასავლეთში პლეი ოფის ბოლო საგზურისთვის ბრძოლაში.

**მაიამი-ნიუ იორკი 102:91**

25:26, 23:24, 25:14, 29:27

მ: ჯეიმსი (38), ჩელმერსი (15), ბოში (14), ალენი (12), ჰასლემი (6+11 მოხსნა).

ნ-ი: სმიტი (32), ფელტონი (15+4 ჩაჭრა), ენტონი (13), სტაუდმაიერი (12), ჩენდლერი (10+11 მოხსნა).

**კლიპერსი-ლეიკერსი 120:97**

25:22, 32:27, 37:23, 26:25

კ: გრიფინი (23), პოლი (23), რედიკი (15), კოლისონი (14), ჯორდანი (11+12 მოხსნა+4 დაფარება), თურქოგლუ (10).

ლ: ჰილი (22), იანგი (18), მიქსი (17), ჯონსონი (10), მარშალი (10+11 პასი), საკრე (9+10 მოხსნა).

**საკრამენტო-დალასი 91:93**

24:29, 24:16, 17:23, 26:25

ს: გეი (32+8 პასი), კაზინსი (28+10 მოხსნა).

დ: ელისი (23), კარტერი (17), ნოვიცკი (15), კალდერონი (14), დალემბერი (6+11 მოხსნა).

**ინდიანა-ატლანტა 88:107**

11:33, 12:22, 36:24, 29:28

ი: ჯორჯი (18+6 ჩაჭრა), უესტი (13), ჰილი (12), მაინმი (10), სკოლა (10).

ა: ტიგი (25), ანტიჩი (18), მილსეპი (17+11 მოხსნა), მეკი (13), კორვერი (11).

**ჰიუსტონი-დენვერი 130:125 (ო)**

22:27, 47:25, 19:36, 29:29, 13:8

ჰ: ჰარდენი (32+10 პასი+4 ჩაჭრა), ლინი (19), აშიქი (18+23 მოხსნა), პარსონსი (15), კანაანი (15), ჯონსი (14), გარსია (11).

დ: ფურნიე (26), ბრუქსი (24+15 პასი), მილერი (19+4 დაფარება), ფარიდი (16+13 მოხსნა), მოზგოვი (15), ფოიე (11).

**სან ანტონიო-მემფისი 112:92**

26:10, 28:28, 27:29, 31:25

ს-ა: ჯინობილი (26), ლეონარდი (26), დანკანი (13), პარკერი (10).

მ: ჯონსონი (20), კონლი (18).

**გ. სტეიტი-იუტა 130:102**

35:22, 31:30, 35:21, 29:29

გ-ს: ტომპსონი (33), კარი (31+16 პასი), გრინი (11), იგუოდალა (11), ბარნსი (10), კროუფორდი (10), ო'ნილი (7+10 მოხსნა), ბოგუტი (6+11 მოხსნა).

ი: ბერქსი (24+4 ჩაჭრა), ბერკი (24+15 პასი), ჰეივორდი (10), ფეივორსი (10), კანტერი (8+12 მოხსნა).

**ფინიქსი-ოკლაჰომა 122:115**

28:25, 34:28, 32:38, 28:24

ფ: დრაგიჩი (26), გრინი (24), ტაკერი (22), ბლედსოუ (18), მარკიფ მორისი (10), მარკუს მორისი (10).

ო: დურანტი (38+11 მოხსნა), უესტბრუკი (33+8 პასი), ჯექსონი (11), იბაკა (11).

**პორტლენდი-ნ. ორლეანი 100:94**

25:25, 23:30, 29:14, 23:25

პ: ოლდრიჯი (25+18 მოხსნა+4 დაფარება), მეტიუზი (21), ლილარდი (20), ბატუმი (16+12 მოხსნა).

ნ-ო: მოროუ (17), დევისი (15+4 დაფარება), რივერსი (14), აჯინკა (13), რობერტსი (13), ევანსი (10+8 პასი).

ევროპული თამაშები

# ბებერი კონტინენტის ოლიმპიადა 19 სახეობით




2015 წელს, აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში ისტორიაში პირველად გაიმართება ევროპული თამაშები.

კომისიამ, რომლის რიგებში შედიოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 16 წევრი, გუშინ განსაზღვრა სპორტის 19 სახეობა, რომელშიც პირველობა გათამაშდება. ევროპის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის **პატრიკ ჰიკის** სიტყვებით, *„ახალმა სპორტულმა ფორუმმა უნდა აამაღლოს ევროპელი სპორტსმენებისა და მთლიანად ევროპული სპორტის პროდუქტიულობა“*.

იმ რვა სახეობაში, რომელიც ოლიმპიურ პროგრამაშია შესული, აზერბაიჯანში გასამართი ევროპული თამაშები სალიცენზიო იქნება 2016 წლის რიო-დე-ჟანეიროს ზაფხულის ოლიმპიადისთვის. ამასთან, ბაქოში გათამაშდება მედლები ისეთ დისციპლინებში, რომლებიც წარმოდგენილი არ არიან ოლიმპიადებზე.

აღვნიშნავთ, რომ ევროპული თამაშები ბაქოში 12-28 ივნისს გაიმართება. აზერბაიჯანის დედაქალაქის სტუმარი იქნება 49 ქვეყნის 6 ათასზე მეტი სპორტსმენი. ისინი გამარჯვებისთვის იბრძოლებენ სპორტის შემდეგ სახეობებში: ბადმინტონი, სტრიტბოლი (სამი სამზე კალათბურთი), კრივი, ჭიდაობა, ველოსპორტი, საწყლოსნო სახეობები (წყალბურთი, ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა), ფრენბურთი, ბაიდარებითა და კანოეთი ნიჩბოსნობა, ტანვარჯიში (აკრობატიკა, აერობიკა, ბატუტზე ხტომა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში), ძიუდო, კარატე, მძლეოსნობა, პლაჟის ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, მშვილდოსნობა, ტყვიის სროლა, ტრიატლონი, ტაეკვანდო და ფარიკაობა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ტოტენჰემი-სანდერლენდი | 5:1 |
| **იტალია** | |
| იუვენტუსი-ლივორნო | 2:0 |
| ჯენოა-მილანი | 1:2 |
| **ესპანეთი** | |
| ლევანტე-ბილბაო | 1:2 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ინგოლშტადტი-ფიურტი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეცი-ისტრი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აიაქსი II-ეინდჰოვენი | 1:2 |
| პსვ II-დენ ბოში | 1:4 |
| **პორტუგალია** | |
| ბენფიკა-რიუ ავე | 4:0 |
| **შოტლანდია** | |
| ჰიბერნიანი-აბერდინი | 0:2 |
| **დანია** | |
| ვესტსიელანდი-ნორდსიელანდი | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამ კამი-ჰიოდი | 0:1 |
| **შვედეთი** | |
| კალმარი-ატვიდაბერგი | 2:2 |
| გიოტებორგი-მალმიო | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ასირისკა-ჰამარბიუ | 0:1 |
| **ავსტრია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვენა-ჰორნი | 2:2 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| შაფჰაუზენი-ვინტერტური | 2:0 |
| **თურქეთი** | |
| ტრაბზონი-გენჩლერი | 3:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ბუკა-ადანასპორი | 1:3 |
| სამსუნი-მერსინი | 3:3 |
| **ირლანდია** | |
| ეთლონი-ბოჰემიანი | 1:3 |
| ბრეი-სტ. პატსი | 1:3 |
| დანდალკი-დერი | 3:0 |
| სლიგო-დროგედა | 1:1 |
| შემროკი-უნივერსიტი | 2:0 |
| **უელსი** | |
| პორტ ტელბოტი-აფან ლიდო | 0:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-მორავცე | 1:0 |
| **რუსეთი** | |
| ლოკომოტივი-ვოლგა | 3:0 |
| **პოლონეთი** | |
| რუხი-კორონა | 2:0 |
| **უნგრეთი** | |
| კაპოშვარი-მეზოკოვეშდი | 1:0 |
| **რუმინეთი** | |
| გაზ მეთანი-პანდური | 0:1 |
| საჯეატა-უნივერსიტატეა | 1:0 |
| დინამო-ოცელული | 3:1 |
| **მოლდოვა** | |
| სპერანტა-დაჩია | 0:1 |
| აკადემია-ტირასპოლი | 0:2 |
| მილსამი-ვერისი | 2:3 |
| ოლიმპია-შერიფი | 0:5 |
| კოსტულენი-ზიმბრუ | 1:2 |
| **ისრაელი** | |
| ირონი (ქ-შ)-მაკაბი (თ-ა) | 2:2 |
| **ჩინეთი** | |
| ბეიჯინგი-გუანგჯოუ RF | 2:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **საბერძნეთი** | |
| ოლიმპიაკოსი-დრამასი | 83:71 |
| **თურქეთი** | |
| ბეშიქთაში-ეფესი | 71:57 |
| გალათასარაი-პინარი | 70:72 |
| **საფრანგეთი** | |
| ნანტი-სტრასბური | 89:93 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 4:0 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-ტაპარა | 2:3 (ო) |
| სეიპა-კერპეტი | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ზლინი-ტრშინეცი | 4:3 |
| ბრნო-სპარტა | 3:5 |
| **შვედეთი** | |
| ფერიესტადი-ვექსიო | 1:2 (ო) |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. კასაბლანკა** | |
| სოუზა-სისლინგი | 6:2, 6:4 |
| გაბაშვილი-ბერლოკი | 4:6, 1:6 |
| **WTA. ბოგოტა** | |
| პერეირა-დომინგეს ლინო | 2:6, 4:6 |
| კინგი-მაიერიჩი | 6:1, 7:5 |
| კნაპი-სხეპერსი | 3:6, 6:7 |
| პანოვა-მლადენოვა | 6:1, 4:6, 6:2 |
| **WTA. კატოვიცე** | |
| პეერი-მარტიჩი | 6:4, 6:4 |
| ბეკი-ბარტელი | 6:1, 6:4 |
| ვან უიტვანკი-სუარეს ნავარო | 4:6, 0:6 |
| ვიკმაიერი-კადანტუ | 6:3, 1:6, 1:6 |
| პიტერი-ჯორჯი | 0:6, 1:6 |

TV პროგრამა

**8 აპრილი. სამშაბათი**

**I არხი**

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. ჩელსი-პსჟ. პირველი მატჩი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

10:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტურის მიმოხილვა.
11:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. დორტმუნდი-ვოლფსბურგი.
14:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVI ტური. ფერეირა-სპორტინგი.
16:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. ჰერტა-ჰანოვერი.
18:00 პროგრამა - იმედის ფსონი.
19:00 ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. პორტო-სევილია. პირველი მატჩი.
21:00 პორტუგალიის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
22:00 ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. დორტმუნდი-რეალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
00:45 გერმანიის ჩემპიონატი. XXIX ტური. აუგსბურგი-ბაიერნი.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ვაალვაიკი.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. ჟალგირისი-გალათასარაი.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MUNDIAL.
15:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ლიონი-იუვენტუსი. პირველი მატჩი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. იტალია-შოტლანდია.
19:00 სპორტ-NEWS.
19:30 პროგრამა - სპორტი ქუსლებზე.
20:00 ქართული სპორტის დიდი სახელები. ოთარ ქორქია.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მაიამი. აშშ.
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰიუსტონი. აშშ.
13:50 სპორტ-NEWS.
14:20 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ჰიუსტონი. აშშ.
16:10 ჩოგბურთი. დევისის თასი. მიმოხილვა.
17:10 სპორტ-NEWS.
17:40 ჩოგბურთი. დევისის თასი. 1/4 ფინალი. შვეიცარია-ყაზახეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 6 | 20 | (წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 18 | (მზე) |
| ბათუმი | 12 | 14 | (მზე) |
| ფოთი | 12 | 15 | (მზე) |
| ზუგდიდი | 12 | 17 | (მზე) |
| გორი | 6 | 19 | (წვიმა) |
| თელავი | 3 | 22 | (წვიმა) |
| სიღნაღი | 2 | 21 | (წვიმა) |
| გუდაური | -4 | 5 | (წვიმა) |
| ბაკურიანი | -1 | 8 | (წვიმა) |
| ბორჯომი | 3 | 12 | (წვიმა) |
| მესტია | 2 | 12 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.3984 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.7495 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.8993 |
| 100 რუსული რუბლი | 4.9280 |

● ფორმულა 1

# ხმაურს ბრძოლა სჯობია

BBC SPORT-ზე საკუთარ ტრადიციულ ბლოგში ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა **დევიდ კულტჰარდმა** ბაჰრეინის გრანპრის შედეგები შეაჯამა...

ჩვენ ფანტასტიკური რბოლა ვიხილეთ, რომელშიც გამარჯვებული ფორმულა 1 გამოვიდა. დიახ, „მერსედესის“ გუნდი დომინირებს სეზონის ამ ნაწილში და მათ იოლად შეეძლოთ გამარჯვების გაფორმება, მაგრამ ამ გუნდის ხელმძღვანელებმა სტარტიდან ფინიშამდე ბრძოლის უფლება მისცეს თავიანთ პილოტებს.

ბაჰრეინში ძალიან მაღალია საწვავის ხარჯვა და შეიძლებოდა ბოლიდებს ფინიშამდე ვერ მიეღწიათ. და ვიფიქრე,



მერსედესის მეომრები

რომ გუნდი უბრძანებდა პილოტებს პოზიციების შენარჩუნებას, მაგრამ „მერსედესის“ ტექნიკური დირექტორის **პადი ლოუს** რეპლიკა სულ სხვაგვარი აღმოჩნდა: *„ბიჭებო, პატივი ეცით ერთმანეთს. ჩვენ ფინიშზე უნდა მივიდეთ“.* საბედნიეროდ, ორივეს დართეს ბრძოლის ნება და ჩვენ დავინახეთ **ლუის ჰემილტონის** არანორმალური მოტივაცია და გამარჯვებისკენ სწრაფვა.

**ნიკო როსბერგმა** წინ გასასვლელად ყველა ვარიანტი სცადა, მაგრამ მას ვერ უშველა ვერც უსაფრთხოების მანქანის გამოსვლამ და რბოლის ბოლო ნაწილში რბილი საბურავების გამოყენებამ. ნიკო ჯერ ისევ ლიდერობს ჩემპიონატში, მაგრამ ბაჰრეინში ჰემილტონის ეს გამარჯვება და ერთი კვირით ადრე, მალაიზიაში პარტნიორის განადგურება ბრიტანელის პილოტის სერიოზულ განწყობას ადასტურებს.

ნიკო - ნამდვილი მებრძოლია, მაგრამ ახლა კარგად გვესმის, რატომ სურდა „მერსედესს“ „მაკლარენიდან“ ლუისის გადაბირება. დღეს ის ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს, მსგავს სიტუაციაში კი ჰემილტონი, შესაძლოა, ფორმულა 1-ის საუკეთესო პილოტია.

დაუჯერებელია, როგორ მოახერხა მან რბოლის ბოლო ნაწილში ლიდერობის შენარჩუნება. როსბერგისგან განსხვავებით, მან უფრო ხისტი საბურავებით გაიარა ეს მონაკვეთი და თან DRS-ის გამოყენება არ შეეძლო. ნიკო გამუდმებით უტევდა. პირველ მოსახვევში 300 კმ/სთ-დან დამუხრუჭება, საწვავი კლებულობს, ყოველ წრეზე იზრდება მანქანის ეფექტურობა... ერთი მცირე შეცდომა და შენ თამაშგარე მდგომარეობაში ხარ. ასეთ სიტუაციაში რბოლის ლიდერზე პრესინგი ძალიან მაღალია, ხოლო ის, ვინც უკან მოძრაობს, უფრო უადვილდება ბრძოლა. სწორედ ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს რბოლა ერთ-ერთი საუკეთესო იყო ჰემილტონის შესრულებით.

„მერსედესის“ გადაწყვეტილება - საკუთარი პილოტებისთვის ბრძოლის საშუალება მიეცა, ძალიან თამამი იყო, რადგან ასეთ ბრძოლაში ყოველთვის არსებობს რისკის ელემენტი. ავარია რომ მომხდარიყო და პილოტები რბოლას ჩამოშორებოდნენ, გუნდი სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, მაგრამ სხვა ვარიანტი არ არსებობს - ფორმულა 1-ში რისკის გარეშე სანახაობრივ ბრძოლას ვერ იხილავთ. ქუდს ვიხდი „მერსედესის“ წინაშე იმის გამო, რომ მათ ასეთი რბოლა გვაჩუქეს. ამ ეტაპს მრავალი წლის შემდეგაც გაიხსენებენ.

ლიდერობისთვის ბრძოლის გარდა, ბაჰრეინში სხვა საინტერესო დუელებიც ვიხილეთ. **დანიელ რიკარდომ** ძალიან კარგად დაიწყო კარიერა „რედ ბულში“ და საჰირის ტრასაზე ეს შთაბეჭდილება მხოლოდ გაიზარდა. მან საკუთარ თავში დამაჯერებლობა გვიჩვენა, როცა თანაგუნდელს დაეწია და გუნდს რადიოთი უთხრა: *„ბიჭებო, უნდა გადავწყვიტოთ, როგორ ვიმოქმედოთ შემდეგ?“* საბოლოოდ, რიკარდო მეოთხე მივიდა ფინიშთან, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი - მხოლოდ მეექვსე.

„რედ ბულში“ არ გამოიყენეს გუნდური ტაქტიკა და რიკარდო უფრო სწრაფი აღმოჩნდა. შესაძლოა, ფეტელს პრობლემები შეექმნა, მაგრამ დანიელმა, ნებისმიერ შემთხვევაში, კარგად შეასრულა თავისი სამუშაო.

„ფორს ინდია“ იმსახურებს კომპლიმენტებს ბაჰრეინში პოდიუმის გამო. ეს შედეგი მნიშვნელოვანია **სერხიო პერესისთვის** შარშანდელი წარუმატებელი სეზონის შემდეგ. მის თანაგუნდელს **ნიკო ჰიულკენბერგს** დისტანციაზე პრობლემები ჰქონდა ძრავასთან დაკავშირებით, ასე რომ, ის კმაყოფილი უნდა იყოს მეხუთე ადგილით. სხვათა შორის, პერესს შარშანაც კარგი რბოლა ჰქონდა ბაჰრეინში. როცა სერხიო კარგ ფორმაშია, შეუძლია მაღალი შედეგის მიღწევა, მაგრამ მან ეს რეგულარულად უნდა აკეთოს და არა ერთ ან ორ გრანპრიზე.

უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვის მომწონდა ხმაურიანი ძრავები ფორმულა 1-ში, მაგრამ დაძაბული ბრძოლა ტრასაზე - ხმაურის შესანიშნავი ალტერნატივაა. არავის სჭირდება უბრალო ხმაური ბრძოლის გარეშე. მესამე რბოლის შემდეგ, ბევრმა შვებით ამოისუნთქა - ახლა შეიძლება იმის თქმა, რომ ახალ ფორმულა 1-ში ყველაფერი კარგადაა.



ბაჰრეინში დიდი ბრძოლა იყო

# მერსედესში ბრძოლა უყვართ

ბაჰრეინის გრანპრის შემდეგ, „მერსედესის“ ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საკუთარ პილოტებს ტრასაზე ბრძოლის საშუალებას აძლევს.

*„სასიამოვნო სანახავია, როცა ორი ძლიერი პილოტი პატიოსან ბრძოლას აწარმოებს ტრასაზე. და ისინი პატივისცემას გამოხატავენ ერთმანეთის მიმართ. არ მგონია, ვინმეს ამაზე უკეთესი სანახაობის მოლოდინი ჰქონოდა. დღეს ბევრი აკრიტიკებს ფორმულა 1-ს, მაგრამ ეს რბოლა „დიდი ცირკის“ კარგი რეკლამაა.*

*პილოტები თავისუფალნი არიან არჩევანში იქამდე, სანამ მათი მანქანები დაუზიანებელი რჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ერთად დავსხდებით და კიდევ ერთხელ განვიხილავთ - როგორ ვიმოქმედოთ მომავალში. მაგრამ ისინი პილოტები არიან, ასე რომ მათთვის ჭკუის დარიგებას დიდი აზრი არ აქვს.*

*ჩემი აზრით, პილოტებამდე უნდა მივიტანოთ - რა არის საჭირო გუნდისთვის. საჭიროა შევუნარჩუნოთ იმიჯი ჩვენს ბრენდს. მსხვილ კომპანიას წარმოვადგენთ, ამიტომაც მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, როგორ იმოქმედონ. ამჯერად, პილოტებმა ყველაფერი სწორად გააკეთეს და მათი ბრძოლის ხილვა ძალიან საინტერესო იყო“,* - განაცხადა „მერსედესის“ ერთ-ერთმა შეფმა **ტოტო ვოლფმა**.

# ორი ახალი მიღებულია

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ „სამეფო რბოლებში ორი ახალი გუნდი მიიღეს.

*„NASCAR-ის სერიაში საჯინიბოს მფლობელის* ***ჯინ ჰაასის***

განაცხადი მიღებულია. იგივე შემიძლია ვთქვა კიდევ ერთ განაცხადზე. სხვა საკითხია, მიიღებენ თუ არა ისინი მონაწილეობას ჩემპიონატში. მოხარულები ვართ, რომ ჩვენს ოჯახს ორი ახალი გუნდი შეემატა. თავის დროზე, მე ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს ჟან ტოდტს ველაპარაკე და შევთანხმდით იმის შესახებ, რომ თუ კიდევ ორი გუნდი მოისურვებს ფორმულა 1-ში მონაწილეობას, ჩვენ მათ მივიღებთ“, - განუცხადა სააგენტო „როიტერს“ ექლსტოუნმა.



ბერნი ექსლტოუნი

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28)
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (რედაქცია). 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608